

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный рецензи-
руемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

10-11, 2018

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; ხ. ბერიშვილი; მ. გვიჩია; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (იტალია); პ. კოლუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. მალაშხია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (აშშ); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (რუსეთი); დ. ქავთარაძე (რუსეთი); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ლურწყაია; გ. ლავთაძე; ვ. ყუფუნია; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩხილაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралова А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Беришвили Х., Гвичия М., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурккая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Купуня Г., Кураташвили А., Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхия Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (Украина), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (Россия), Читанова Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаური Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; KH. BERISHVILI; M. GVICHIA; N. SHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (ITALY); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (USA); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHNAVA; O. SOLDATENKO (UKRAINE); A. SKHIRTLDZE; T. FEDOROVA (RUSSIA); D. QAVTARADZE (RUSSIA); A. QUTATELDADZE; R. QUTATELDADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLARI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.

თბილისი - 2018

შინაარსი

ეკონომიკა-100

რევაზ შენგელია - ჟურნალი „ეკონომიკა“ 100 ნლისაა-----6

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ნინო ჯიბუტი - კონკურენციის რეგულირების
ეკონომიზაციის საფუძვლები -----8

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ნოდარ ქიტანავა - ლეო ჩიქავას თეორიული
მემკვიდრეობის პრაგმატული მნიშვნელობა----- 21
კობა სოსხაძე - საბაზრო ეკონომიკის
ფორმირების ზოგიერთი საკითხი ----- 30
ნინო ჯიბუტი - კონკურენციის რეგულირების
თანამედროვე გამოწვევები----- 40
შორენა ხალვაში - მენარმეობრივი და საკუთრებითი
ურთიერთობების განვითარების ინსტიტუციური ანალიზი----- 53

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ზურაბ ლიპარტია - ეკონომიკური ორგანიზაციის სტრატეგიული
ფინანსური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები----- 61
სალომე სულაბერიძე - გაცვლითი კურსზე მოქმედი ფაქტორები - 73
მარინა ლუარსაბიშვილი, თენგიზ ლაჭყევიანი - საქართველოს
კაპიტალის ბაზრის ფორმირების სრულყოფის მიმართულებები --- 85

დარგობრივი ეკონომიკა

სალომე ოდიშარია - სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება:
კრიტიკერიუმები და შეფასების მათოდები ----- 92
მაია ჩეჩელაშვილი, ლია ბერიკაშვილი -
სამეცნიერო ჟურნალის იმპაქტ ფაქტორისა და
მისი ფორმირების მეთოდების საკითხისათვის----- 106

| | |
|--|-----|
| რეზო სახეიშვილი - თერმული წყლები - ენერგეტიკული უსაფრთხოების ერთ-ერთი კომპონენტი ----- | 116 |
|--|-----|

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

| | |
|--|-----|
| მაია ჩეჩელაშვილი, ლია ბერიკაშვილი - მარკეტინგი VS მენეჯმენტი ----- | 124 |
| როდენ მემარნიშვილი - მყარი მინერალური რესურსების მართვის საერთაშორისო პრაქტიკის მნიშვნელობა საქართველოსთვის ----- | 132 |
| სოფიკო ღვინიაიძე - თანამედროვე ბიზნესში ინოვაციურ ფაქტორებზე მოქმედი გარემოს ანალიზი ----- | 143 |
| თამარ დევიძე, დავით შოშიტაშვილი - მცირე და საშუალო მენარმეობის ხელშეწყობა საქართველოში ----- | 150 |

მსოფლიო ეკონომიკა

| | |
|---|-----|
| Agnieszka Rzepka - Public Debt in Poland in the Context of Accession to the European Union - Evaluation Attempt----- | 159 |
| მარია ლლონტი - ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მართვა საზღვარგარეთის ქვეყნებში: პრობლემები, გადაჭრის გზები, ტენდენციები ----- | 182 |
| სალომე სულაბერიძე - ინფლაციის საზღვარგარეთული გამოცდილება საქართველოსათვის----- | 193 |
| მარიამ დარჩია, მარიამ განუგრავა - ევროკავშირის ინსტიტუციური არქიტექტურა: სუპრანაციონალური, ინტერგოვერნმენტალისტური თუ ჰიბრიდული სისტემა? ----- | 208 |
| როდენ მემარნიშვილი - საერთაშორისო საფონდო ბირჟები და სამთო კომპანიების მონაწილეობის საკითხი ----- | 219 |
| სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- | 230 |

CONTENTS

ECONOMICS-100

| | |
|--|---|
| Revaz Shengelia - 100 th Year Anniversary of the Journal “ Economics ” ----- | 6 |
|--|---|

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

| | |
|--|---|
| Nino Djibouti - The Basis for Economics of Regulation of Competition ----- | 8 |
|--|---|

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

| | |
|--|----|
| Nodar Chitanava - Pragmatic Meaning of Leo Chiqava’s Theoretical Heritage----- | 21 |
| Koba Sokhadze - Some Issues of the Market Economy ----- | 30 |
| Nino Djibuti - Contemporary Challenges of Regulation of Competition ----- | 40 |
| Shorena Khalvashi - Institutional Analysis of the Entrepreneurial and Property Relations ----- | 53 |

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

| | |
|--|----|
| Zurab Lipartia - Priority Directions of Strategic Financial Development of the Economic Organization ----- | 61 |
| Salome sulaberidze - Factors influencing on the Exchange Rate----- | 73 |
| Marina Luarsabishvili, Tengiz Lachkebiani - Improving Directions of the Formation of the Capital Market of Georgia ----- | 85 |

SECTORAL ECONOMY

| | |
|--|-----|
| Salome Odisharia - Economic Security of the Enterprise: Criteria and Assessment Methods ----- | 92 |
| Maia Chechelashvili, Lia Berikashvili - On the Issue of the Impact Factor of a Scientific Journal and Methods of its Formation ----- | 106 |

| | |
|---|-----|
| Rezo Sakheishvili - Thermal Waters – One of the Components of Energy Safety ----- | 116 |
|---|-----|

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

| | |
|---|-----|
| Maia Chechelashvili, Lia Berikashvili - Marketing VS Management---- | 124 |
| Roden Memarnishvili - Importance of International Practices of Mineral Resources Management for Georgia ----- | 132 |
| Sofiko Gvinianidze - Analysis of the Environment influencing on Innovative Factors in Modern Business ----- | 143 |
| Tamar Devidze, David Shoshitashvili - Small and Medium Entrepreneurship Promotion in Georgia ----- | 150 |

WORLD ECONOMY

| | |
|---|-----|
| Agnieszka Rzepka - Public debt in Poland in the Context of Accession to the European Union - Evaluation Attempt ----- | 159 |
| Maria Ghlonti - Innovative IT Project Management in Foreign Countries : Problems, Solutions, Trends ----- | 182 |
| Salome sulaberidze - Inflation Foreign Experience for Georgia----- | 193 |
| Mariam Darchia, Mariam Ganugrava - Institutional Architecture of the European Union : A Supranational, Intergovernmental or Hybrid system? ----- | 208 |
| Roden Memarnishvili - International Stock Exchanges and the Issue of Participation of Mining Companies ----- | 219 |
| The Publication Requirements ----- | 230 |

ჟურნალი „ეკონომიკა“ 100 წლისაა

2018 წელი საქართველოსთვის სასიამოვნოდ დატვირთული აღმოჩნდა ისეთი მეტად მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღებით, როგორცაა-ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის 100 წლისთავი.

ამ ლამაზ თარიღებთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური პროფილის ქართულენოვანი სამეცნიერო ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“, ამჟამად „ეკონომიკის“ დაარსების 100 წლის იუბილე.

მსგავსი ღონისძიების ჩატარების ტრადიცია რედაქციაში ასე თუ ისე დამკვიდრებულია და გვერდს ვერ ავუვლიდით ამ თარიღს.

90 წლის იუბილე 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო არ აღნიშნულა. რაც შეეხება 80 წლისთავს, იგი ჩატარდა ორი ათეული წლის წინ, როცა ჟურნალ „ეკონომიკის“ რედაქციას ფართო საზოგადოებამ დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა.

ამჟამად ჟურნალის 100წ. იუბილეს აღსანიშნავად შევძელით მკითხველებისათვის სპეციალური გამოშვებით მიგვეწოდებინა ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველსავე წელს (1918) ორივე ენაზე გამოსული სულ 6-ვე ნომრის მთლიანი მასალა (#9,2018 წ.). მასში მოცემული თემატიკა აქტუალურია დღესაც და დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის გამოცდილების თვალსაზრისით, მით უმეტეს როცა ჟურნალის პირველი ნომრების გამოცემის პერიოდი, ეპოქა და დღევანდელი გარკვეულწილად ერთმანეთს მიესადაგება.

ჟურნალ „ეკონომიკის“ 100 წლისთავი საკმაოდ მასშტაბურად აღინიშნა 2018 წ. 13 სექტემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. მნიშვნელოვანი იყო მთა-

ვრობის მხრიდან ჟურნალი „ეკონომიკის“ რედაქციისადმი საქართველოს პრემიერ მინისტრის-ბატონი მამუკა ბახტაძის მოლოცვა. თითქმის არ დარჩენილა არცერთი ეკონომიკური პროფილის სამთავრობო დანესებულება თუ კერძო სტრუქტურა, უმაღლესი სასწავლებლები, ეკონომიკური პროფილის ჟურნალები და გაზეთები, სწავლული ეკონომისტები, რომლებიც არ გამოხმაურებიან ამ ღონისძიებას. ყოველივე ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ჟურნალის რედაქციას. გვჯერა, რომ დიდი ტრადიციაგამოვლილი ჟურნალი მომავალშიც კვლავ მაღალი ენთუზიაზმით გააგრძელებს თავის შემოქმედებით საქმიანობას და ჯეროვან წვლილს შეიტანს ეროვნული ეკონომიკის აღორძინების საქმეში.

რევაზ შენგელია

მთ. რედაქტორი,
ემდ, სტუ პროფესორი



**ეკონომიკური რეფორმა:
ანალიზი, პრობლემატიკა,
პერსპექტივები**



**კონკურენციის რეგულირების ეკონომიზაციის
საფუძვლები**

ნინო ჯიბუტი
დოქტორანტი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

რეზიუმე

მონოპოლიზაციის პროცესი სამართლებრივად მონოპოლიური ქცევის ნორმებით განიხილება, მაშინ როდესაც ის შეიძლება შეადგენდეს ფორმების ეფექტიანობის უზრუნველყოფისა და განვითარების, მათ შორის ინოვაციური განვითარების სტრატეგიას. ამდენად კონკურენციის დაცვის სამართლებრივი ნორმების გამოყენებისას გასათვალისწინებელია მომხმარებელთა სარგებელი, რამაც გამოიწვია კონკურენციის რეგულირების ეკონომიკური დოქტრინების წარმოშობა, რაც დაიწყო ჩიკაგოს სკოლის მიერ და კონკურენციის დაცვის ეკონომიზაციამდე განვითარდა.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, რეგულირება, სამართლის ეკონომიზაცია

ძირითადი ტექსტი

კონკურენციის შესახებ კანონმდებლობა ეკონომიკასა და ეკონომიკურ ქცევებს ეხება, ამიტომ მნიშვნელოვანია ეკონომიკის იმ კონცეფციების შესახებ ცოდნა, რომელიც ანტიმონოპოლიური კანონების ეფექტიანად განხორციელების საშუალებას იძლევა.

ჩიკაგოს სკოლამ (ჯ. პოპზნერი) კონკურენციის რეგულირების თეორია ოთხი მიმართულებით გაამდიდრა: (1) თამაშთა

თეორიით, (2) დანახარჯების გადაკისრების თეორიის შემოტანით სამართლამცოდნეობაში (3), ჰორიზონტალური შერწყმის კონკურენტული ეფექტითა და (4) შესვლის ბარიერების ახალი პერსპექტივების განსაზღვრით.¹

თამაშთა თეორია იძლევა ფირმების სტრატეგიული ღირებულების, დროს და ინფორმაციული სტრუქტურის განსაზღვრის საშუალებას. დანახარჯების გადაკისრება ემყარება მიწოდების შემცირებისა და ფასების ზრდის ტაქტიკას იმ მიზნით, რომ ფირმა უფრო ეფექტიანი იყოს. ჰორიზონტალური შერწყმა მართალია იწვევს ფასების ცალმხრივ ზრდას ზღვრული დონის ზემოთ, მაგრამ შერწყმის შედეგად მიღებული მასშტაბის ეკონომია კი ამცირებს ფასს, თუმცა ქმნის ბაზარზე შესვლის ეკონომიკურ ბარიერებს და მონოპოლიურ მოგებას.

ეს ეკონომიკური ქცევები მონოპოლიების განხილვის დროს იძლევა იმის დასკვნის გაკეთების საშუალებას თუ ფირმების სტრატეგია და ტაქტიკა რამდენად აბრკოლებს კონკურენტობას და რამდენად არის გამომწვეული კონკურენტული ბრძოლის კანონზომიერებებით. ეს მიდგომები მოითხოვს განსხვავებული იქნეს სამართლებრივი დრო ეკონომიკური რეალური დროისგან.² როდესაც იცვლება ეკონომიკის განვითარების პირობები და ფირმების საქმიანობის ეფექტიანობა, ის რაც კონკრეტულ დროში სამართლებრივად მონოპოლიურ ქცევად განიხილებოდა, ეკონომიკურად შეიძლება ფირმების ეფექტიანობის უზრუნველყოფის სტრატეგიას შეადგენდეს. სწორედ ამიტომ სახელმწიფოს კონკურენტობის დაცვის საქმიანობა არის კომპლექსური, რთული, ამავე დროს შეზღუდული ანტიმონოპოლიური სამართლებრივი ნორმების მისადაგებით კონკრეტული ფორმების ქცევებთან. ასეთი ფირმების შეფასებისას მხოლოდ ფორმალური სამართლებრივი ნორმების გამოყენება არ იქნება მიზანშე-

1 Carrier Michael A., Antitrust After the Interception: Of a Heroic Returner and Myriad Paths; A Review of Richard Posner, Antitrust Law (2d ed. 2001), theantitrustsource www.antitrustsource.com , March 2002, გვ. 3., https://www.americanbar.org/content/dam/aba/publishing/antitrust_source/03_02.authcheckdam.pdf

2 იქვე გვ. 7.

ნონილი, თუ მასში არ იქნებიან ჩართულნი დარგის ექსპერტები. ეკონომისტების კონსულტაციები და რჩევები სულ უფრო დიდ როლს თამაშობენ რეგულირების საკითხებში. კონკურენციის დაცვის კანონმდებლობას უხდება ურთიერთსანინააღმდეგო მიზნებთან ურთიერთობა, ამიტომ იგი ეკონომიკური ლოგიკით უნდა ხელმძღვანელობდეს. ფირმების შერწყმის ეფექტიანობა და სარგებელი არ განისაზღვრება როგორც ფირმების შემოსავლებით და ფასებით, ასევე მომხმარებლების სარგებელით, მაგრამ ინფორმაციული შეზღუდულობის გამო შესაძლებელია შერწყმა არარაციონალური აღმოჩნდეს რომელიმე სუბიექტისათვის, მაშინ ეს მოვლენა ჩვეულებრივ „ბაზრის ჩავარდნად“ მიიჩნევა. მონოპოლიზაციის მრავალმხრივი შედეგების გათვალისწინება შემთხვევების კომპლექსურ და სისტემურ ანალიზზე დაფუძნებული, სადაც ეკონომიკური მიდგომა ასრულებს საკვანძო როლს.

ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკის მრჩეველთა ჯგუფმა (Economic Advisory Group for Competition Policy- EAGCP) გამოქვეყნა მოხსენება ეკონომიკური მიდგომის შესახებ, სადაც ძირითადი კითხვა იყო, თუ რატომ გვჭირდება ეკონომიკური მიდგომა ანტიმონოპოლიურ პოლიტიკაში, საწარმოების შერწყმისა და გაერთიანების საკითხში, რომელიც განსაზღვრულია ევროკავშირის კონკურენციის კანონით (მუხლი 82). მათ აღნიშნეს ეკონომიკური მიდგომის ორი ძირითადი მიზანი. პირველი, ანტიკონკურენტული ქცევა არ უნდა გასცდეს სამართლებრივ ჩარჩოს და ფოკუსირებული უნდა იყოს კომპანიების საქმიანობის ეფექტიანობაზე და არა მათი ქცევების ფორმაზე. ასეთი მიდგომა იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთი და იგივე შედეგი, რომელიც სხვადასხვა ქცევით მიიღება, შედარდეს და გაანალიზდეს. მეორე, ეკონომიკაზე დაფუძნებული მიდგომა იძლევა იმის გარანტიას, რომ ნორმატიული დებულებები არ შეაფერხებენ კონკურენტუნარიანი სტრატეგიების მოქმედებას. ეფექტიანობაზე დაფუძნებული ანალიზი სრულად ავლენს იმ ფაქტს, რომ მრავალ ბიზნეს პრაქტიკას შეიძლება განსხვავებულ პირობებში განსხვავებული ხასიათი ჰქონდეს: კონკურენციის

რღვევა ერთ შემთხვევაში და ეფექტიანობისა და ინოვაციების დანერგვა სხვა შემთხვევაში. კონკურენციის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ამ დუალისტურ შედეგს, უნდა უზრუნველყოფდეს მომხმარებელთა ინტერესების დაცვას და ფირმების მწარმოებლურობის ზრდის ხელშეწყობას.¹

აშშ-ში ვაჭრობის ფედერალურმა კომისიამ (FTC) გამოიყენა ეკონომიკური მიდგომები და მის საფუძველზე განსაზღვრა არასამართლიანი ვაჭრობის პრინციპები შემდეგნაირად:² ა/. საზოგადოებრივი მორალი ან მცირე ბიზნესის მხარდაჭერა არ არის გათვალისწინებული; ბ/. ჰორიზონტალური შერწყმისას ეფექტიანობა არ არის ბუნდოვანი სანარმოებს ეფექტიანობა არ მიიღება მხედველობაში და ითვალისწინებს მხოლოდ მომხმარებლების კეთილდღეობას; გ/. ბაზარი მიიჩნევა როგორ თვითორგანიზებადი სისტემა; დ/. ბაზარზე შესვლის ბარიერებს სახელმწიფო აწესებს კერძო ინტერესების სასარგებლოდ; ე/. მაღალი კონცენტრაციის დაშვება მიზანშეწონილი ხდება მასშტაბის ეკონომიის მისაღწევად და რომლის ბენეფიციარები არიან მომხმარებლები; ვ/. ფირმების ყველა ქცევები ემყარება მოგების მაქსიმიზაციას; ზ/. არასწორი პოზიტიური გადაწყვეტილება უფრო საშიშია, ვიდრე არასწორი ნორმატიული გადაწყვეტილება, რამდენადაც პოზიტიურ გადაწყვეტილებას აქვს კონკურენციაში მონაწილე სანარმოების სტიმულების შემავსებელი ეფექტი; თ/. ეფექტიანობაზე ორიენტირებული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა არის ქვაკუთხედი და აპოლიტიკური ქმედება.

თითქმის ყველგან ამ პრინციპებში ეკონომიკური კონტექსტია ნაგულისხმევი.

კონკურენციის დაცვის პოლიტიკისადმი ეკონომიკური მი-

1 Jordi Gual, Martin Hellwig, Anne Perrot, Michele Polo, Milan Patrick Rey, Rune Stenbacka. Report by the EAGCP An economic approach to Article 82, July 2005, გვ 1-2. http://ec.europa.eu/dgs/competition/economist/eagcp_july_21_05.pdf

2 Bouhette P., Deschamps M., Marty F., (2014), When Economics Met Antitrust: The Second Chicago Scholl and the Economization of Antitrust Law, GREDEG Working Paper # 2014-23. გვ. 3-4.

დგომა მომხმარებლის კეთილდღეობის გაუმჯობესებას ემსახურება და ემყარება ბაზრების კვლევას, შეფასებას და კომპანიების სტრატეგიების ზემოქმედების შესწავლას მომხმარებელზე.

კომპანიების ეფექტიანობაზე დაფუძნებული პრინციპი, მათი ქცევების ფორმაზე დაფუძნებულ ანალიზს მეორეხარისხოვან როლს ანიჭებს და ეკონომიკურ დანაკარგებსა და სარგებელს აქცევს ყურადღებას.

მონოპოლიური ძალაუფლების მიღება ემყარება საბაზრო ძალაუფლების მოპოვებისათვის განუვალ არამონარმოებლურ დანახარჯებს, მოგების მაქსიმიზაციას გამოშვების შემცირების გზით (x-inefficiency)¹ და მაღალ ფასებს მომხმარებელთა საზიანოდ. ამ შემთხვევაში კომპანიების მიერ დაკავებული ბაზრის წილების შესაბამისად განისაზღვრება მონოპოლიზაციის შემთხვევა, თუმცა ეს პრინციპი არ იძლევა მონოპოლიზაციის და მომხმარებელთა მიერ მიღებული სარგებელი-ზარალის განსაზღვრის საშუალებას.

ძალაუფლების მოპოვების პროცესში ფირმები სხვადასხვა სტრატეგიას ანხორციელებენ და ყალიბდებიან როგორც ინოვაციური სანარმოები, რომლებიც ანარმოებენ ტექნიკურ პროდუქციას, რისი შესაძლებლობაც აქვთ მხოლოდ მსხვილ დომინატურ კომპანიებს. მათ შეუძლიათ ხარჯები გაიღონ კვლევებზე (ვიოლენტები), ხოლო ინოვაციებზე ორიენტირებული ექსპლერენტების² ფინანსური შესაძლებლობები მცირეა და იძულებულნი არიან ვიოლენტებთან ერთად განახორციელონ ინოვაციური საქმიანობა. ვიოლენტები უმსხვილესი კომპანიებია რომლებიც ახორციელებენ ინოვაციური პროდუქციის მასობრივ და სერიულ წარმოებას. მონოპოლიურ ძალაუფლებას ღებულობენ ქსელურად გაერთიანებული კომპანიებიც. მათი მიზანი არის არა დომინანტობა, არამედ ბაზრის მომხმარებელთა უკეთ დაკმაყოფილება.

1 Leibenstein, Harvey (1966), "Allocative Efficiency vs. X-Efficiency", *American Economic Review*, 56 (3): 392–415, <https://msuweb.montclair.edu/~lebelpl/LeibensteinXEffAER1966.pdf>

2 უახლესი ტექნოლოგიებისა და პროდუქციის მწარმოებლები, როგორც წესი მცირე ზომის ფირმები

არსებობენ ბუნებრივი რესურსების წვდომაზე დაფუძნებული მონოპოლიები. ამ შემთხვევებში მონოპოლიზაცია შეიძლება არ ამცირებდეს მომხმარებელთა სარგებელს, პირიქით ზრდიდეს კიდევ მას. შესაბამისად კომპანიები ცდილობენ ჰქონდეთ ადექვატური ბაზარი, ან გარკვეული საბაზრო ძალაუფლება იმისათვის, რომ თავიანთი საქმიანობა ეფექტიანად განახორციელონ და რიგ შემთხვევაში, როდესაც მათი საბაზრო წილი 40 პროცენტს აღემატება, მათი დაშლა იწვევს ეფექტიანობის შემცირებას, მომხმარებელთა მომსახურების გაუარესებას ან ფასის ზრდას.

საინტერესოა, რომ ზოგიერთი მკვლევარი ანვითარებს შეხედულებას, რომლის თანახმად საბაზრო ძალაუფლება, რომელიც გამოხატულია ბაზრის წილით, არ არის ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი, რამდენადაც იგი მხედველობაში არ ღებულობს მწარმოებლების და მომხმარებლების ელასტიურობას.¹

კანონმდებლობის მიზანია ეფექტიანი კონკურენციის ხელშეწყობა, ხოლო ეფექტიანი იქნება კონკურენცია მაშინ, თუ კომპანიები საბაზრო ძალაუფლების მოპოვების მიზნით სტრატეგიების განხორციელებისას იმოქმედებენ სამართლიანი გარიგებების გზით. სამართალი კი არ ცნობს ეფექტიან კონკურენციას და იგი არ აისახება ქვეყნების საკანონმდებლო დებულებებში. მისი განმარტება ექსპერტების, უპირველეს ყოვლისა, ეკონომისტების პრეროგატივაა.

სამართლებრივად საწარმოების გაერთიანებები ქმნის მონოპოლიზაციის საშიშროებას, ხოლო ეკონომიკურ აზრით, კი იგი მეტ შესაძლებლობას უქმნის მომხმარებელს. მაგალითად, საქართველოში ხშირად გაისმის კრიტიკა ე.წ. „კონგლომერატული გაერთიანებების“ საწინააღმდეგოდ საბანკო სექტორში, სადაც ბანკები იერთებდნენ ეკონომიკის სხვა სექტორების - მშენებლობის, ვაჭრობის, მრეწველობის საწარმოებს, რომლებიც

1 Stigler G., The economist and the problem of monopoly, University of Chicago Law School, The University of Chicago, Occasional Papers, # 19, 1982, p. 17.

აღმოჩნდნენ კრიზისულ სიტუაციაში მაღალი დავალიანებების გამო. კონგლომერატულმა გაერთიანებებმა შექმნეს შესაძლებლობა ბანკებს დაებანდებინათ ინვესტიციები არაპროფილურ საქმიანობაში - უძრავ ქონებაში, დეველოპერულ კომპანიებში, მარკეტინგულ საწარმოებში, სამედიცინო სფეროში, სადაზღვევო სექტორში და სხვა. ამ გზით განხორციელდა მათი კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა 2009 წლის შემდგომ პერიოდში, თუმცა მალევე დაიწყო აქტიური მსჯელობა მათი მონოპოლიური მდგომარეობის შესახებ. ჯერ 2010 წელს და შემდეგ კი 2014 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დასვა საკითხი შეეზღუდათ კომერციული ბანკების არატრადიციული, არაპროფილური საქმიანობა, ორი არგუმენტი: ა/. ინტერესთა კონფლიქტის არსებობით ძირითადად დეველოპერულ საქმიანობაში; ბ/. კონკურენტული გარემოს გასაუმჯობესებლად. გამკაცრდა ახალი ნებართვების გაცემა არატრადიციული საქმიანობის წამოწყებაზე, და კომერციულ ბანკებს მიეცათ ვადა გამოსულიყვნენ არასაფინანსო სფეროდან.¹ ანალოგიურად, ბანკების დამოუკიდებელ კომპანიებად გამიჯვნის, ან კიდევ კონგლმერაციაში გაერთიანების საკითხი დგას ევროპაშიც.

ბანკების შერწყმა და გაერთიანება საქართველოში ინტენსიურად განვითარდა და 2016 წლიდან გამოიკვეთა ორი დიდი მსხვილი ბანკი (სს „თბს ბანკი“ და სს „საქართველოს ბანკი“), რომელთა წილმაც საბანკო აქტივებში შეადგინა 60 პროცენტზე მეტი. შესაბამისად საკითხი დადგა თუ რამდენად არის საქართველოს საბანკო სექტორი მონოპოლიზებული.

ცხადია მაღალი კონცენტრაცია არ ნიშნავს იმას, რომ ბანკები მონოპოლიურ მდგომარეობაში არიან, მით უმეტეს, რომ მათი ქცევები კონკურენტულია, რაც განპირობებულია იმით, რომ საქართველოს საბანკო ბაზარზე შესვლა გამარტივებულია, არ არსებობს ბარიერები და არც ბაზარზე შესვლის დანახარჯია მაღალი. მართალია ამ ბანკების სამომხმარებლო და კორპორაციული სესხების წილი 70 პროცენტს აღემატება, მაგრამ მათი

¹ საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადება, 31.10.2014. www.nbg.gov.ge

საპროცენტი განაკვეთი, ანუ პროდუქტის ფასი, არ არის იმაზე მაღალი, ვიდრე მას მცირე ბანკები გასცემენ. შესაბამისად ფასნარმოქმნა არ არის მონოპოლიური, პირიქით, მსხვილი სესხები აძლევს მათ საშუალებას დააფინანსონ მსხვილი პროექტები მცირე საპროცენტო განაკვეთებით. ამის საშუალება კი არ აქვთ მცირე ბანკებს.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკურად მაღალი ეფექტიანობა მაღალ მომგებიანობასთან არის დაკავშირებული და იგი არ გამომდინარეობს მაღალი ფასების არსებობით, არ აისახება ფასნარმოქმნაში, მაგრამ სამართლებრივ ასპექტში ბაზრის კონცენტრაცია ქმნის საბაზრო ძალაუფლებას, რომელიც ქმნის ფასების ზრდის შესაძლებლობას და აქედან გამომდინარე, ხდება მოგების გაზრდის პირობა. საბაზრო ძალაუფლება ეკონომიკური თვალთახედვით კი არის დივერსიფიცირებული სერვისები, მაღალეფექტიანი მომსახურება, საიმედოა და ა. შ.

ცხადია საბაზრო კონცენტრაცია გავლენას ახდენს მის მომგებიანობაზე, ბაზრის წილის ზრდა ზრდის შემოსავლებს და ქმნის მეტ საბაზრო ძალაუფლებას, მაგრამ საბაზრო ძალაუფლება არ გულისხმობს ეფექტიანობის არსებობას. სწორედ ამიტომ ეფექტიანობის თეორია არის საბაზრო ძალაუფლების ალტერნატივა და არა სინონიმი, ის რაც სამართლებრივად ძალაუფლებას გამოხატავს, ეკონომიკურად არ ნიშნავს მონოპოლიზაციას. შესაბამისად კონკურენციის დაცვის პოლიტიკა ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტების ამ წინააღმდეგობრივ ლაბირინთში იკვალავს გზას.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განსაზღვრაში ბაზრის ეფექტიანობის დომინანტობა დაკავშირებულია ეფექტიანობის იდენტიფიკაციასთან. განსხვავდება სხვადასხვა სახის ეფექტიანობა, რომელიც დაკავშირებულია მიწოდებასთან. განაწილებასთან, სანარმოო ოპერაციებთან, მომსახურებასთან და სხვ. მისი მამოძრავებელი ძალებია სანარმოთა კონცენტრაცია და კორპორაციული მართვა, მაკროეკონომიკური გარემო და სახელმწიფო რეგულაციები, კორპორაციების სტრატეგიები, მარკეტინგული მენეჯმენტი და სხვ. იგი მრავალგანზომილები-

ანი საქმიანობაა. კონკურენციის სამართლის ეკონომიზაცია ეფექტიანობას მომხმარებელთა და საზოგადოების კეთილდღეობისა და სარგებლის კავშირში განიხილავს. შესაბამისად ეფექტიანი ბაზრის თეორია ქმნის საკითხის სამართლებრივი განხილვის თეორიულ პირობას.¹ საწარმოების შერწყმა/გაერთიანების პროცესი ბაზრის ეფექტიანობის ცვლილების თვალსაზრისით ვლინდება და მისი შეფასებები სამართლებრივი გადანყვეტილების მიღების პრეროგატივაა.

საბაზრო ეფექტიანობა იზრდება მაღალი ტექნოლოგიების დარგების განვითარებასთან ერთად. ხდება ბაზრის კონცენტრაციის ზრდაც. ტექნოლოგიური ცვლილებები ქმნიან კონკურენციის განხორციელების პრობლემებს. ფირმები იძენენ მონოპოლიურ ძალაუფლებას, რომელიც შემდგომი ტექნოლოგიური ცვლილებების შედეგად იმსხვრება. „ახალ ეკონომიკასთან“ დაკავშირებული ეს პროცესი ინვესს მრავალ კითხვას, თუ რამდენად მკაცრი უნდა იყოს კანონდებლობა და ამ პროცესებზე როდის უნდა მოხდეს ანტიმონოპოლიური რეაგირება. თუ მონოპოლიური ძალაუფლების წარმოშობა, რომელიც დამყარებულია ახალ ტექნოლოგიებზე, დროებითია, მაშინ სამართლებრივი ანტიმონოპოლიური ქმედება მეორეხარისხოვანია, მიუხედავად იმისა, რომ ახალი ეკონომიკა ქმნის უფრო მეტ მონოპოლიზაციის შესაძლებლობას, ვიდრე ეს წინა პერიოდში იყო, მაგრამ ასეთი ქმედებები არ აგნებს მომხმარებელს, პირიქით, იგი ზრდის მის სარგებელს.

ამდენად, კონკურენციის რეგულირება პოლიტიკის, ეკონომიკისა და სამართლის გადაკვეთაზე გადის. ეს კი ქმნის რეგულირების მოდელის ფორმირების სირთულეს, რამდენადაც მიზნები განსხვავებულია და შედეგებიც ყოველთვის არ არის ნათელი.

საბაზრო ჩავარდნების რეგულირება არსებითად სოციალურ დანახარჯებს, საბაზრო ძალაუფლებას და არაადექვატურ ინ-

1 ეფექტიანი ბაზრის თეორია განსაზღვრულია ნაშრომში: Shaw, R. Improving Marketing Effectiveness — the methods and tools that work best, Economist Books, 1998,

ფორმირებას ეხება. ქოუზის ამ თეორიაზე დაყრდნობით რეგულაციები ეკონომიკურ მიდგომას მოითხოვს და ნაკლებად ეხება იმას, თუ ვინ რა დანაშაული ჩაიდინა. თუმცა ეკონომიკურ მიდგომას არ შეუძლია ამ ჩავარდნების პრევენცია. ამასთან მეორე მხარისადმი ზიანის მიყენებისას, განსაკუთრებით გარემოს დაცვის თვალსაზრისით, დანაშაულის დასჯა არაეფექტიანია და იგი სტიმულებისა და საბაზრო მექანიზმებით უნდა შეიცვალოს. მაგალითად, ქალაქში გამონაბოლქვების შემცირება ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების და ტექნიკის გამოყენების სტიმულებით ხორციელდება. სამართლებრივად დასჯა არ ქმნის გამოსწორების რაციონალურ პირობას. ჯევისის პარადოქსის მსგავსად, რომლის თანახმად, ტექნოლოგიების ზრდასთან ერთად ეკონომიკის ზრდა კიდევ უფრო მეტად აძლიერებს რესურსების გამოყენებაზე მოთხოვნას,¹ რაც უფრო მეტად ხდება ბუნებრივი რესურსების ხარჯიანი გამოყენებაზე მკაცრი რეგულაციების დანერგვა, მით უფრო მეტად ინტენსიური ხდება მისი გამოყენებაც.

სამართლებრივი რეგულაციები ითვალისწინებს საპროცესო ხარჯებს; აღსრულების ხარჯებს (სააღსრულებო ხარჯები); ხარჯებს, რომლებიც დაუნესდა ზიანის მიმყენებელ ორგანიზაციებს, ასევე სოციალური ხარჯებს. ხარჯების შეფასება და დანახარჯი-სარგებლის განსაზღვრა საკანონმდებლო რეგულირების საფუძველი ხდება. ანტიმონოპოლიურ პოლიტიკაში პოლიტიკის ზეგავლენის ანალიზი (RIA, PIA, EIA და სხვ.) ავლენს დანახარჯებისა და სარგებლის თანაფარდობას, რისკებსა და შესაძლებლობებს.² მრავალ ქვეყანაში რეგულაციების ზემოქმედების ანალიზი

1 Bauer, Diana; Papp, Kathryn "Book Review Perspectives: The Jevons Paradox and the Myth of Resource Efficiency Improvements". Sustainability: Science, Practice, & Policy. 5 (1), March 18, 2009. Archived from the original on 29 May 2015. https://web.archive.org/web/20150529111127/http://sspp.proquest.com/static_content/vol5iss1/book.polimeni-print.html

2 საქართველოში ეს მნიშვნელოვანი თემა ყველა სახელმწიფო ორგანიზაციისათვის. „ასოცირების შესახებ შეთანხმებაში, ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“ აღნიშნულია, რომ მხარეები თანხმდებიან თანამშრომლონ რეგულირების ხარისხისა და შეს-

დანერგვით და იგი სახელმძღვანელო პრინციპია ანტიმონოპოლიური საქმიანობის განხორციელებისას.

მილტონ ფრიდმანი ერთ-ერთ ნაშრომში წერდა: ჩემი საკუთარი შეხედულებები ანტიმონოპოლიური კანონების შესახებ მნიშვნელოვნად შეიცვალა დროთა განმავლობაში. როცა ბიზნესში დავინყე საქმიანობა, კონკურენციის მნამდა, მე ვიყავი ანტიმონოპოლიური კანონების დიდი მხარდამჭერი. მე ვფიქრობდი, რომ მათი განხორციელება იყო ერთ-ერთი სასურველი ქმედება, რომელიც მთავრობას შეეძლო გაეკეთებინა მეტი კონკურენციისთვის. მაგრამ, როგორც მე ვუყურე რა ხდებოდა სინამდვილეში, დავინახე, რომ კონკურენციის ხელშეწყობის ნაცვლად, ანტიმონოპოლიური კანონები უფრო სანინააღმდეგოდ მოქმედებდა, რადგან ისინი სამთავრობო სხვა საქმიანობის მსგავსად ცდილობდნენ ხალხზე ზენოლით რეგულირებასა და კონტროლს. ასე რომ, დროთა განმავლობაში მე თანდათანობით მივედი იმ დასკვნამდე, რომ ანტიმონოპოლიური კანონები ბევრად უფრო მეტ ზიანს აყენებს, ვიდრე აკეთებს კარგს და ჩვენ, უკეთესი იქნებოდა, თუ საერთოდ არ გვექნება იგი და თავს დავალწევთ მისგან. მაგრამ ჩვენ გვაქვს ეს კანონები.¹

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამართალი მოწოდებულია დაადგინოს ეფექტიანი ბაზარი დანახარჯი-სარგებლის მოდელისა და ეფექტიანი ბაზრის პრინციპების გამოყენებით მომხმარებელთა ინტერესების სასარგებლოდ. იგი გამოხატავს ეკონომიკის, სოციოლოგიისა და ეთიკის პრინციპებთან კავშირს. ანტინონოპოლიური გადანყვეტილებების მიღებისას კეთილდღეობითი (განაწილებითი) მიდგომა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური მიზნების კომპლექსს გულისხმობს. თითოეული ეს ასპექტი ავტონომიური შეიძლება იყოს.

რულების ხელშესაწყობად, მათ შორის, რეგულირების პოლიტიკასა და რეგულირების გავლენის შეფასებაზე ინფორმაციის გაცვლისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით (მუხლი 225).

1 Friedman Milton, Policy Forum: "Milton Friedman on business suicide", Cato Institute< Cato Policy Report, March/April 1999. <https://www.cato.org/policy-report/marchapril-1999/policy-forum-milton-friedman-business-suicide>

დასკვნა:

ანტიმონოპოლიური რეგულირება კომპლექსური და რთული მრავალნაზნაგოვანი საქმიანობაა, რომლის ეკონომიზაციით ხორციელდება სამართლებრივი ნორმების გამოყენება და რეგულირება.

ეკონომიკა სამართლის გამოყენების მეთოდოლოგიას ქმნის ანტიმონოპოლიურ პოლიტიკაში. მისი თეორიები მრავალმხრივია, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კანონშემოქმედებაში. სამართლის ნორმები, რომლებიც მხარის ქმედებით გამოწვეული ზარალის აღკვეთასა და კომპენსაციაზეა დაფუძნებული, განმტკიცებულია სოციალური სარგებლის მიღების მოტივით და დამყარებულია პოზიტიური ქცევების წახალისებაზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ეკონომიკური ფაქტორების როლი, რომელთა გამოყენებით ხდება საზოგადოებრივი ღირებულებების დაცვა და გამრავლება.

ლიტერატურა/ LITERATURE :

1. Carrier Michael A., Antitrust After the Interception: Of a Heroic Returner and Myriad Paths; A Review of Richard Posner, Antitrust Law (2d ed. 2001), theantitrustsource www.antitrustsource.com , March 2002
2. Jordi Gual. Martin Hellwig, Anne Perrot, Michele Polo, Milan Patrick Rey, Rune Stenbacka. Report by the EAGCP An economic approach to Article 82, July 2005
3. Bouhette P., Deschamps M., Marty F., (2014), When Economics Met Antitrust: The Second Chicago Scholl and the Economization of Antitrust Law, GREDEG Working Paper # 2014-23.
4. Leibenstein, Harvey (1966), "Allocative Efficiency vs. X-Efficiency", American Economic Review, 56 (3).
5. Stigler G., The economist and the problem of monopoly, University of Chicago Law School, The University of Chicago, Occasional Papers, # 19, 1982
6. Shaw, R. Improving Marketing Effectiveness — the methods

and tools that work best, Economist Books, 1998

7. Friedman Milton, Policy Forum: “Milton Friedman on business suicide”, Cato Institute< Cato Policy Report, March/April 1999.

8. Bauer, Diana; Papp, Kathryn “Book Review Perspectives: The Jevons Paradox and the Myth of Resource Efficiency Improvements”. Sustainability: Science, Practice, & Policy. 5 (1). March 18, 2009. Archived from the original on 29 May 2015.

9. Friedman Milton, Policy Forum: “Milton Friedman on business suicide”, Cato Institute< Cato Policy Report, March/April 1999.

THE BASIS FOR ECONOMICS OF REGULATION OF COMPETITION

Nino Djibouti

Doctoral student of Andrew the First Called Georgian
University of the Patriarchate of Georgia

RESUME

The bases of economics of regulation of competition, the directions of the development of competition regulation theory by the Chicago School are characterized and the economic basis of EU regulations are defined; It is noted that competition regulation is the complex and multifaceted activity, and theories of economics are used to implement and regulate legal norms. The regulation of competition runs through the use of political doctrines, economics and law; the role of economic factors of the efficient market and benefit for consumers are determined in the regulations. Furthermore, the well-being (distribution) approach is based on the utilization of a complex economic, social and political goals while taking antimonopoly decisions.

Key words: competition, regulation, law economics.



**ლეო ჩიქავას თეორიული მემკვიდრეობის
პრაგმატული მნიშვნელობა**

ნოდარ ჭითანავა
ემდ, პროფესორი, აკადემიკოსი

2018 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა მე-6 საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ლეო ჩიქავას დაბადებიდან 90 წლისთავს.

მოხსენება გააკეთა პროფესორმა ნოდარ ჭითანავამ, რამაც საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია.

გთავაზობთ მის მოსაზრებებს აკადემიკოს ლეო ჩიქავას შემოქმედებაზე.

დღევანდელ შეხვედრას, რომელიც კონფერენციის ფორმით ტარდება, **შემეცნებით და ემოციურ** დატვირთვასთან ერთად, მკაფიოდ გამოკვეთილი საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აქვს.

ტექნიკური უნივერსიტეტი პატივს მიაგებს ლეო ჩიქავას ხსოვნას, პიროვნებისას, რომლის პროფესიონალად ფორმირება პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოხდა. აქ დიდი ტრადიციების სასწავლო კერაში ლეო ჩიქავა ჩამოყალიბდა, როგორც უმაღლესი სკოლის **უმაღლესი რანგის პედაგოგი**, მასშტაბური აზროვნების მკვლევარი, მეცნიერების თვალსაჩინო ორგანიზატორი. აქედან დაიწყო ლეო ჩიქავას გამორჩეულ **საზოგადო მოღვაწედ აღიარებაც.**

ნიშანდობლივია, რომ ბ-ნი ლეო სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ნაყოფიერად მოღვაწეობდა ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სისტემაში ფუნქციონირებად საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების სამეცნიერო ცენტრში. ამიტომ, ასე მასშტაბურად მისთვის პატივისმცემა ლოგიკურია და ადამიანური მოფერების კარგი მაგალითიც.

ცენტრის კოლექტივმა დამავალა მადლობა გადავუხადო დღევანდელი კონფერენციის ორგანიზატორებს. დიდი სიამოვნებით ვასრულებ მათ დავალებას:

გმადლობთ!

ამასთან, ვსარგებლობ შემთხვევით და ერთხელ კიდევ გავიმეორებ ამავე დარბაზში ადრე ჩემს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას.

ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, საქართველოს ეკონომისტთა თვალსაჩინო წარმომადგენლების ძლიერი ჯგუფი ქუჩაში დარჩა. ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ისინი მოიწვია, მათ სარბიელი მისცა. ამით რამდენიმე გონივრული ნაბიჯი გადაიდგა. სწავლების ხარისხის ამაღლების ხელსაყრელი გარემო შეიქმნა, რაც მთავარია, მათი პოტენციალი და ღირსება დაცული იქნა. უფრო მეტიც, რამდენიმე მათგანს ვარსკვლავი გაუხსნეს.

ეს მოვლენაა, თანაც უნიკალური. ამით ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დღენიადაგ ხელს უწყობს ნიჭიერ მეცნიერთა ქვეყნის აღმშენებლობაში ჩართვას. ეს მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს სხვა სასწავლებლებისა და, საერთოდ, განათლების მთელი სისტემისათვის.

ახლა კონკრეტულად თემაზე ლეო ჩიქავას თეორიული მემკვიდრეობის პრაგმატული მნიშვნელობა.

ბატონ ლეოს სამეცნიერო მოღვაწეობაში პირობითად, პირველი მიახლოებით, ხუთი მთავარი მიმართულება შეიძლება გამოვყოთ.

1. ეკონომიკური თეორიის გენეზისი, არსებული თეორიების სისტემური შეფასება, თეორიისა და პრაქტიკის ორგა-

ნული ერთიანობის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური საფუძვლები, ბუნებრივი, შრომითი და შრომით შექმნილი მატერიალური რესურსების გამოყენების პრობლემები და სხვ. ამ პრობლემებს მიეძღვნა მისი „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“. იგი ამ ნაშრომს საკუთარ შრომებში საუკეთესოდ მიიჩნევდა. მთლიანად ვიზიარებ ნიგნის მთავარი რედაქტორის, ქალბატონ როზეტა ასათიანის, მოსაზრებას, რომ „ამ ნაშრომის მთავარი ღირებულება ისაა, რომ იგი თავისუფალია გადაჭარბებული იდეოლოგიზაციისაგან, მოძველებული დოგმებისაგან. პოლიტიკური ეკონომიის ფორმაციულ განხილვაზე უარის თქმამ საშუალება მისცა ავტორს, შეექმნა პრინციპულად ახალი სტრუქტურა, რომელიც საკითხთა ფართო წრეს მოიცავს და უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს“. კარგად არის ნათქვამი.

2. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები და მათი გადაწყვეტის თავისებურებანი საქართველოში. ამ პრობლემას მიეძღვნა ბ-ნი ლეოს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, რომლებშიც მოცემული დასკვნები, რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა საქართველოში კვების მრეწველობის გადაადგილების გენერალურ სქემაში და სპეციალიზაციის გაღრმავების პროგრამებში.

3. დემოგრაფიის პრობლემები და მათი გადაწყვეტის ძირითადი მიმართულებები. ამ პრობლემას მიეძღვნა მონოგრაფია „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა. ავტორმა პირველად დააყენა, დაასაბუთა „დემოგრაფიის“, როგორც მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ მეცნიერული დისციპლინის, ფორმულირების „დემოლოგიით“ ჩანაცვლების მიზანშეწონილობა.

4. **დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემა საქართველოში.** ამ პრობლემაზე მონოგრაფიულ გამოკვლევაში ავტორმა შესძლო უნიკალურ სიტუაციაში - საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში - კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად აეხსნა უმუშევრობის გამომწვევი ტრადიციული და ახალი გარემოებებით განპირობებული მიზეზები (ობიექტური

და სუბიექტური ფაქტორები) და მიეცა პრობლემის დაძლევის არგუმენტირებული რეკომენდაციები.

5. ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება-განვითარების პრობლემები საქართველოში. პრობლემა აქტუალურია, იგი ღრმა მეცნიერულად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, განსაკუთრებით ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში. ამიტომ ნაშრომი მნიშვნელოვანწილად პოლემიკური ხასიათისაა. ავტორი თითქმის ყველა საკითხზე გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას და აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს და იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს ინოვაციური ეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრისათვის.

ყველა ზემოთაღნიშნული პრობლემა-მიმართულება ზოგადსაკაცობრიოსთან ერთად ზოგად-ეროვნული მნიშვნელობისაა. მით უფრო, დღევანდელ საქართველოში, როცა საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა პერმანენტული კრიზისის პირობებში ფუნქციონირებს. დღეს მსოფლიოში აღიარებენ, რომ 5 პრობლემა ხელს უშლის განვითარებას, აღრმავებს სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს. ესენია: **სიღარიბე, უმუშევრობა, უნიგნურობა, ავადმყოფობა, უთანასწორობა.** ბუნებრივია, ყველა ეს პრობლემა მეტ-ნაკლები მასშტაბით შესწავლილი და განზოგადებულია ბ-ნ ლეოს ნაშრომებში. მეცნიერული კვლევის ფონზე მან პრობლემის გადანყვეტის სწორი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები მოგვცა.

თუ ქვეყანაში მდგომარეობა არ უმჯობესდება ამას მეცნიერებს ვერ დავაბრალებთ. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით რა ჰქვია იმ საზოგადოებას, რომელშიც ვცხოვრობთ. ბევრ კითხვაზე პასუხიც არა გვაქვს. მაგალითად, გვიჭირს იმის ახსნა, რომ ზემოთ აღნიშნული პრობლემები 3 ათეული წლის წინათ გადანყვეტილად რომ მიგვაჩნდა, დღეს „დამოკლეს მახვილივით“ რატომ ჩამოეკიდა ქვეყანას? ვერც იმის გაცნობიერების უნარი აღმოგვაჩნდა, ორგანიზების ნაცვლად დროს უაზრო ლაპარაკსა და დისკუსიებში რატომ ვფლანგავთ, რატომ ვეგუებით სხვის ხარჯზე ცხოვრებას, რატომ ვიკვებებით უცხოური პურიით, ვეჩვევით უცხოურ აზროვნებას, უცხოურია ირგვლივ ყველაფერი,

მათ შორის ისიც, რაც ქართული ფენომენისათვის მიუღებელია. ენა იჩაგრება, სარწმუნოებას კი შიგნითაც და გარედანაც ებრძვიან, ტერიტორიული მთლიანობა მორღვეულია, საზოგადოების ცალკეული ჯგუფების ინტერესებს ამოფარებული რევანშისტული სულისკვეთება ისევ მძლავრობს.

ასეთია მწარე რეალობა.

ასეთ ფონზე მიზანშეწონილად მიმაჩნია, ლეო ჩიქავას მოღვაწეობის ზემოთდასახელებული თემატიკიდან ზოგიერთ საკითხზე მოკლედ და რეგლამენტის შესაბამისად მოგახსენოთ.

წარმოების ფაქტორები და მათი გამოყენების თავისებურებანი სისტემურად არის განხილული, თითოეული ფაქტორის (მინა, შრომა, კაპიტალი, მენარმეობრივი უნარი) როლი და ადგილი ზედმიწევნით ობიექტურად განსაზღვრული. ამასთან, ავტორი აყენებს საკითხს - შეიძლება თუ არა მეხუთე ფაქტორად საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ვალიართო. აქ პაუზას უშვებს (თუმცა, ამავე ნაშრომში სპეციალური თავი მიუძღვნა ამ პრობლემას) და მკითხველს თხოვს თვითონ ჩამოყალიბდეს და დასმულ კითხვას გამოკვეთილი პასუხი გასცეს. რა მოხდა? სტრიქონები იწერება 90-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა, ჯერ კიდევ, არ არის საკმარისი ემპირიული მასალა, რათა განზოგადდეს საბაზრო სისტემაში, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი. ამასთან, იგი როგორც გამოცდილი მკვლევარი ანგარიშს უწევს საზოგადოების ეიფორიულ მდგომარეობას, განსაკუთრებით მისი აქტიური ნაწილის „ახალი ხილის“ სურნელებით ტკბობის (თუმცა, არავინ იცის იმ ხილის მომცემი მცენარე თუ იხარებს საქართველოში) სპონტანურად ჩამოყალიბებულ სიტუაციას.

შემდგომ, ბატონი ლეო, შესაბამისი არგუმენტაციით, სახელმწიფოს როლს საბაზრო სისტემაში ფაქტორად განიხილავს.

როგორია ჩემი, როგორც მკითხველის, აზრი აღნიშნულ პრობლემაზე? ჩემი აზრით, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება არა მხოლოდ ფაქტორია, არამედ, უნივერსალური ფაქტორიც, როგორც იტყვიან, ფაქტორთა საერთო ჯაჭვში ის ცენტრალური რგოლია, რომლის ამონევიტ მთელი ჯაჭვის ამო-

წვეა ხდება. ეს დადასტურდა სოციალისტურად აღიარებული საქართველოს ეკონომიკის კლასიკური კაპიტალიზმის XIX საუკუნის მოდელზე გადასვლის ექსპტრემალურ პერიოდში, რომელსაც გარდამავალს ვეძახით.

„შოკურმა თეარაპიამ“, რომელსაც 3 ავტორი ყავს: აშშ ფინანსთა სამინისტრო, საერთაშრისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის მინიმიზაციის აუცილებლობის არგუმენტაციით, საქართველოს თავს მოახვია ისეთი მექანიზმი, რომელმაც საბაზრო პრინციპების თითქოს უმტკივნეულოდ დამკვიდრების ნაცვლად, **ძირფესვიანად ამოძირკვა ეროვნული ეკონომიკის მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლები.** დღეს ქვეყანა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარსაც ვერ აწარმოებს, „შოკური თეარაპის“, როგორც დოქტრინის ზემოქმედებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ჯართის სახით ქვეყნის გარეთ გატანის შემდეგ. ცოცხალი გამწვევი ძალისათვის ნალის საჭირო რაოდენობით წარმოებაც ვერ ხერხდება. თუ გულწრფელად ვიტყვით, ქვეყანაში სისტემური კრიზისის გახანგრძლივების უმთავრესი მიზეზი ფორმირებადი **სახელმწიფოს მიერ საკუთარი ეკონომიკური ექსკლუზიური ფუნქციების გაუცნობიერებლობაა.** განვლილმა პერიოდმა დაადასტურა, რომ მთავარი არა საკუთრების ფორმაა, არამედ საკუთრების მართვის უნარი, ე.წ. მენეჯმენტი. ამჟამად საქართველოში სამრეწველო პროდუქციის 96%, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია თითქმის მთლიანად, მშენებლობის 99%, ტრანსპორტის 60%-ზე მეტი, მომსახურების სფეროს პროდუქცია მთლიანად კერძო სექტორში იქმნება. მაშინ რატომ არ არის სისტემა ეფექტიანი? პასუხი ერთადერთია. **წარმოების ზემოთ დასახელებული ფაქტორები დეფორმირებულია, ხოლო მათზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა ლოგიკურად არაეფექტიანია.**

ბატონი ლეო, ყოველმხრივ ასაბუთებს ცოდნის, როგორც ასეთის, განსაკუთრებულ როლს საზოგადოებრივ განვითარებაში და ყოველმხრივ უპირატესობას ანიჭებს ილიასეულ პოზიციას, „კაცი მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაუღესია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს, რომ ცოდნას

დიდი მადლთან ერთად ცოდვაც შეუძლიან, ოღონდ კაცმა ნამუსზე ხელი აიღოს“. ილიას ეს მოსაზრება გაფრთხილებად უნდა მივიღოთ და რეალურად გავაცნობიეროთ, რომ საზოგადოებრივი განვითარება უმთავრეს ზნეობრივ პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს, რომელსაც ქართულად **პატიოსნებას ეძახიან**. სამწუხაროდ, მასზე საზოგადოებაში მოთხოვნაც არ არის, ასევე მოთხოვნა არ არის ცოდნაზე, არც შრომაზე, აი, რატომ ჩამოვრჩით. კითხვაზე საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალი არ არის საკმარისი, რომ ქვეყანა წარმატებით განვითარდეს? პასუხი ერთადერთია, საკმარისია, მაგრამ გვაგინყდება დიდი ილიას შეგონება **„მარტო ნიჭი არის ძალა ბრმა, უსინათლო, მისი ნაყოფიერება გაუნდომელია (ე.ი. განუსაზღვრელია), როცა მას დაერთვის მეცადინეობა, შრომა, ჭკუით განზრახული მოქმედება“**.

პატიოსნებაზე, ნიჭზე, ცოდნაზე, შრომაზე მოთხოვნის ორგანიზაცია სახელმწიფოს ექსკლუზიური ფუნქციაა, მით უმეტეს, სოციალურ და სამართლებრივ სახელმწიფოდ ფორმირების კონსტიტუციურ მოთხოვნად აღიარების ქვეყანაში.

ბ-ნი ლეოს ხელნერის ერთი „ნიუანსის“ შესახებაც. რთული პრობლემის განხილვა-გადანყვეტისას ბ-ნი ლეო, ჩემი აზრით, უაღრესად ცდილობს ქართული წყაროების წამოწევის, მერე მათი შეჯერებით, მოუხმობს მსოფლიოში აღიარებულ სწავლულთა გამონათქვამებს, ასეთ **დროს ანალიზი უფრო დამაჯერებელი ხდება, ხოლო სინთეზი - ლოგიკური**. აი, მაგალითებიც. ცოდნის, როგორც მენარმეობრივი რესურსისა და წარმოების ფაქტორის განხილვისას იყენებს ცოდნის ქართულ ცნობიერებაში დამკვიდრებულ მიდგომებს (გამონათქვამებს), რომ **ცოდნა „არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების, ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების“ (დავით გურამიშვილი)**, ცოდნა თავისთავადაც სიმდიდრეა. მერე იმისთანა მადლიანის სიმდიდრეა, რომ რაც არ უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება რა, თუ არ მოგემატება... შრომითა და გარჯით, ცოდნითა და ხერხით მოსული თან გაგვიტანს... თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებთ **(ილია)**. „შრომა, ცოდნა და სიმართლე გნამდეს

ესაა მთავარი“ (გალაკტიონი). ასეთი ბრძნული აზრების ერთ სიბრტყეზე განთავსების შემდეგ ავტორი სრულიად მოულოდნელად სვამს კითხვას: ქონება თუ ცოდნა? და შუასაუკუნეების ესპანელ სწავლულს ხუან მანუელს ათქმევინებს: **“ცოდნა ჰქმნის და იცავს ქონებას, ქონება არ იძლევა ცოდნას“**.

დღეს საქართველოში მენტალიტეტი ქონებისკენ იხრება. ეს გაფრთხილებაა საზოგადოებისათვის. აქტუალური მნიშვნელობა აქვს ვოლტერის მოსაზრებას „ქვეყანას, რომელიც მეცნიერების განვითარებაზე არ ზრუნავს მომავალი არა აქვს“. ამ სტრიქონების არსს საქართველოში კარგად ჩანვდნენ. ავტორმა ნიუტონიც აალაპარაკა: „მე დეკარტეზე უფრო შორს ვიხედები, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მასზე უფრო ჭკვიანი ვარ, არამედ იმიტომ, რომ გიგანტის მხრებზე ვდგევარ“. **ესეც გაფრთხილებაა, რომელიც გვეუბნება მეცნიერებაში მემკვიდრეობითობა უნივერსალური პრინციპიაო.**

როცა ბ-ნი ლეო რთულ პრობლემაზე მსჯელობისას იძულებულია პასუხი გასცეს კითხვას, არის თუ არა ეკონომიკური ცოდნის დიდი დეფიციტი საზოგადოებაში, იგი პაუზას უშვებს და სიტყვას აძლევს ფრიდმენს. **იგი ამბობს „ეკონომიკა მომხიბლავი მეცნიერებაა. მას მიმზიდველს ხდის ის რომ მისი ფუნდამენტური პრინციპები, სიმარტივის გამო, შეიძლება ყველასათვის გასაგებად მართო ერთ ფურცელზე დატოო. მიუხედავად ამისა, იგი ძალიან ცოტას თუ ესმის“**. გამგები იგებს. აქვე ბ-ნი ლეო ამხნევებს მათ, ვისაც ცოდნა არა აქვს, რომ ეკონომიკური ცოდნის შექმნა შეიძლება თუ დაიცავთ შემდეგ მოთხოვნასო და აქაც აღიარებული სწავლულის სახელით იტყვის, რომ ამისათვის საჭიროა „აქლემისებური ამტანობა და ნმინდანისებური მოთმინებაო“. გარკვეულწილად დაზღვევაზეც მიდის და სამუელსონს ათქმევინებს: „ადამიანი, რომელსაც არასოდეს უსწავლია ეკონომიკური თეორია, ჰგავს ყრუს, რომელიც ორკესტრის შეფასებას ცდილობს“.

ამონარიდებს იყენებს იმისათვის, რომ გაუადვილოს მკითხველს სრაფად გაერკვეს ავტორისეულ ჩანაფიქრში. ასეთი ხერხი მსჯელობისა აკეთილშობილებს მეცნიერულ კვლევას,

უფრო მიმზიდველს ხდის მას, აადვილებს მის აღქმას, ამ ხერხით, ბატონმა ლეომ, გვიჩვენა, რომ იგი ბრძენი კაცია, მას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ჭკვიანი კაცი ყველა კრიტიკული სიტუაციიდან გამოსავალს ნახავს, ხოლო ბრძენი კრიტიკულ სიტუაციებს არ დაუშვებსო. ეს მან პრაქტიკულად გვიჩვენა.

როგორ მოახერხა ეს? ორიოდე სიტყვა ამის შესახებ.

ლ. ჩიქავას სოციალური პორტრეტი მხოლოდ მეცნიერული მოღვაწეობით არ განისაზღვრება, იგი საინტერესო და მისაბაძი პიროვნებაა, ძირძველ ოჯახურ ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი კაცი, დიახ კაცი! როგორც დიდი ილია იტყოდა: **„ოჯახის კაცი, გვარის კაცი, თემის კაცი, ერის კაცი, ზოგად კაცი“**.

მასში ყველაზე მეტად შრომისმოყვარეობა და ობიექტურობა მომწონდა. იგი საბჭოთა ეპოქაში დაიბადა, აღიზარდა, მისი მამულიშვილად აღიარება იმ დროს მოხდა, როცა რიგი ისტორიული მოვლენების გავლენით საქართველოს მიეცა საშუალება სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო, ბატონი ლეო ერთგულად ჩადგა ახალი საქართველოს აღმშენებლობაში. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ბ-ნი ლეო ხელს აწერს. დამოუკიდებელ საქართველოში ფართო მასშტაბები მიიღო მისმა მრავალმხრივმა მოღვაწეობამ. ცხოვრების სტილით, მრავალმხრივი მოღვაწეობით მან დაამტკიცა, რომ მთავარი ის კი არ არის სამშობლოს რომელ ისტორიულ ეპოქაში დაიბადე, მთავარია, მუდამ ერთგულად ემსახურო მას, როგორც მამულიშვილი.

გარდაცვალების შემდეგაც ბ-ნი ლეო ჩიქავას მოღვაწეობის, მისი მეცნიერული მემკვიდრეობის მიმართ საზოგადოების მხრივ ინტერესი იზრდება. საზოგადოებისათვის ლეო ჩიქავა მისაბაძი მაგალითია.

ჩვენ კი მეგობრები ვამაყობთ იმით, რომ ლეო ჩიქავას თანამედროვენი ვიყავით.

საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ზოგიერთი საკითხი

კობა სოხაძე
ემდ, სტუ პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების საკითხის განხილვის დროს ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს როლზე, სამენარმეო საქმიანობის წარმართვის რეგულირებაზე. კვლევის პროცესში ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქმე გვაქვს ურთულეს მოვლენებთან, რის გამოც სახელმწიფოს სამენარმეო საქმიანობის ეფექტიანობა ყოველთვის განისაზღვრება დროის კონკრეტული პერიოდისათვის მისი შედეგებით და მას სრულიადაც არა აქვს უნივერსალური ხასიათი. თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ რიგითი გადასახადის გადამხდელის ან ბიზნესმენის პოზიციებიდან გამომდინარე მთავარი საკითხია, რა უჯდება მას სახელმწიფოს მომსახურება და რამდენად ეფექტურია ეს მომსახურება.

საკვანძო სიტყვები: სამენარმეო საქმიანობა, სახელმწიფოს ფუნქცია, გადასახადის გადამხდელი, კრიზისი, დეპრესია, პრიორიტეტები, ეროვნული ინტერესები, უსაფრთხოება, ეკონომიკური პოლიტიკა, განვითარების დინამიკა, საკუთრება, ბიზნესი, კორპორაციები, კონკურენცია.

ძირითადი ტექსტი

საზოგადოების განვითარების ისტორიაში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების მიზანი და ერთ-ერთი უმთავრესი ამოსავალი ამოცანაა წარმოების ეფექტიანობის სრულყოფა მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით. სტატიის მიზანია აჩვენოს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ზრდა ქვეყანაში სამენარმეო გარემოს ფორმირებისათვის. გაკეთდეს ანალიზი და შეფასება მისი ეფექტური საქმიანობისათვის რეალური მექანიზმების შექმნის მიზნით. ვაჩვენოთ, რომ სახელმწიფოს გავლენა

არსებითაა არა მარტო მისი ეკონომიკური ფუნქციებიდან გამომდინარე, არამედ როგორც თავისებური გარანტი საზოგადოების ყველა წევრის მიერ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა და ეთიკური ნორმების დაცვის მიზნით. შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე კრიტერიუმი, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლებს.

თუმცა ავლნიშნავთ იმასაც, რომ რიგითი გადასახადის გადამხდელის, ბიზნესმენის პოზიციებიდან გამომდინარე მთავარი საკითხია, რა უჯდება მას სახელმწიფოს მომსახურეობა და რამდენად ეფექტურია ეს მომსახურეობა. თუმცა ბიზნესისათვის საკითხის ასე დასმა და გადაჭრა საკმარისი არაა, მისთვის მთავარია როგორ პირობებს ქმნის სახელმწიფო სამენარმეო საქმიანობისათვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. თავის მხრივ, საზოგადოება დაინტერესებულია, რომ კრიზისები და დეპრესიები თავიდან იქნას აცილებული.

საზოგადოების მხრიდან არის ინტერესი მთელი რიგი საკითხების გასარკვევად, პირველ რიგში ესაა: როგორ იხარჯება სახელმწიფო სახსრები; თუ სახელმწიფო ეწევა სამენარმეო საქმიანობას, როგორია მისი შედეგები; ქვეყნის მსოფლიო პოზიციები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში ასევე შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებად.

სახელმწიფოს სამენარმეო საქმიანობის კვლევის პროცესში ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქმე გვაქვს ურთულეს მოვლენებთან, რის გამოც სახელმწიფოს სამენარმეო საქმიანობის ეფექტიანობა ყოველთვის განისაზღვრება დროის კონკრეტული პერიოდისათვის მისი შედეგებით და მას სრულიადაც არა აქვს უნივერსალური ხასიათი.

სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე პირველ რიგში მის მიერ პრიორიტეტების განსაზღვრაში აისახება, რომელთა შორის უმთავრესია ეროვნული ინტერესების და საკუთარი ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა. აღნიშნულის მიღწევის გარანტიაა მიზანდასახული სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის მთავარი ამოცანა ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის რეა-

ლიზაციაა, რომლის ღირძია ეკონომიკის ეფექტურად გაძლოა და საბაზრო ეკონომიკის უკრიზისო ფუნქციონირებისათვის ხელის შეწყობა.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკის განვითარების დინამიკა ცვალებად ხასიათს ატარებს, ზოგიერთი დარგები სუსტება და კვდება, ხოლო დარგების ნაწილი ძლიერდება და ეკონომიკაში დომინანტის როლს თამაშობს, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებიდან გამომდინარე იქმნება ახალი დარგები.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური სიძლიერის მიღწევა შესაძლებელია საკუთრების მრავალფეროვანი ფორმების განვითარებისათვის ხელის შეწყობით. ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა **ეკონომიკური ეფექტიანობის საფუძველია საკუთრებისა და ბიზნესის მრავალფეროვანი ფორმების განვითარება.**

აუცილებელია, რომ ბიზნესს უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მხრიდან მისი დაცვის გარანტიები, რისთვისაც ის იხდის გადასახადებს. სახელმწიფო დაინტერესებულია ბიზნესის განვითარებით, რადგან ბიზნესის გამართული საქმიანობა, სახელმწიფოს შემოსავლების მთავარი წყარო და გარანტიაა. ცნობილია, რომ მენარმეობის ნებისმიერი საქმიანობა ხდება საკუთრების სხვადასხვა ფორმის პირობებში. ჩვენს მიერ არსებული მასალის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, ეროვნულ მეურნეობაში, როგორც წესი ფუნქციონირებს შემდეგი საწარმოო წარმონაქმნები:

- ინდივიდუალური საკუთრების მქონე;
- ორი ან უფრო მეტი მეტი პარტნიორის მონაწილეობით შექმნილი;
- სააქციო საწარმოები ან კომპანიები.

ამ უკანასკნელმა განვითარებულ ქვეყნებში მიიღო კორპორაციების დასახელება. მაგალითად, დღეისათვის აშშ-ი არ არსებობს ერთიანი სახელმწიფო საკუთრება, რაც მიმართულია სამენარმეო საქმიანობისაკენ. თუმცა ფედერალურ და შტატების ხელისუფლებას ეკუთვნის მნიშვნელოვანი საკუთრე-

ბა, რომლებიც თავისი სოლიდური მოცულებების მიუხედავად ეკონომიკაში განმსაზღვრელ როლს არ თამაშობენ.

საქმე იმაშია, რომ მხოლოდ 500 უმსხვილესი სამრეწველო საწარმო იძლევა აშშ-ის ერთობლივი პროდუქტის დაახლოებით 40%, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბაზარზე მოქმედებენ ათეული ათასობით სააქციო კომპანიები, რომლებიც ამინდს ვერ ქმნიან, წარმოედგენენ უმსხვილესი სამრეწველო კომპანიების ეკონომიკური პოლიტიკის დანამატს.

რეალური სიტუაცია კი იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკულ ეკონომიკას სჭირდება როგორც მსხვილი, ისე საშუალო და წვრილი ბიზნესი, რაც ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების საფუძველია და უზრუნველყოფს მის სტაბილურ განვითარებას.

თუკი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ქმნის ბაზარზე სხვადასხვა საკუთრების მქონე ბიზნესის ეკონომიკური საქმიანობისათვის თანაბარ პირობებს, მაშინ სახელმწიფო ასრულებს ეროვნული ეკონომიკის ეფექტური განვითარების გარანტიის ფუნქციას.

შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ კონკურენცია არის ბაზრის გენერატორი, თუკი არსებობს კონკურენცია, მაშინ არის საზოგადოების განვითარება, წინსვლის გარანტია და პერსპექტივები. სწორედ კონკურენცია კარნახობს ბაზარს მოქმედების მკაცრ კანონებს, რაც თავისთავში მოიცავს გადარჩენის, წარმატების და მუდმივი ცვალებადობის პერსპექტივებს.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კონკურენციული მექანიზმი ყველა სფეროში შეზღუდვის გარეშე უნდა მოქმედებდეს. აქ აღსანიშნავია საბაზრო გარემოს ტერიტორიული ფაქტორები. უნდა ითქვას, რომ ბაზრის ტერიტორიული ფაქტორები განისაზღვრება არა მარტო გეოგრაფიული პარამეტრებით, არამედ პირდაპირაა დაკავშირებული ეროვნულ, კულტურულ, კლიმატურ, ისტორიულ და სხვა პირობებთან და პირდაპირ განსაზღვრავს ბიზნესის საქმიანობის მიმართულებებს.

სახელმწიფო მაქსიმალურადაა დაინტერესებული, რომ ბიზნესს გააჩნდეს არა მარტო სრული თავისუფლება, არამედ აი-

ლოს პასუხისმგებლობა როგორც საკუთარ საქმიანობაზე, ისე ბიზნეს გარემოს ფორმირებაზე.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად სახელმწიფოს როლი სულ უფრო რთულდება. იქმნება სიტუაცია, რომ, ერთი მხრივ, სახელმწიფო - მთლიანად საბაზრო სისტემის თავისებური გარანტია, ხოლო, მეორე მხრივ, მას არ შეუძლია უზრუნველყოს ბიზნესის უკრიზისო განვითარება.

ამასთან კიდევ ერთხელ უნდა გავამახვილოთ ყურადღება სახელმწიფოს საბაზრო ეკონომიკაში ჩარევის აუცილებლობაზე. თუ კი სახელმწიფო შეეცდება გარკვეული დოზით შეცვალოს ბაზარი და კონკურენცია, აქაც რეალურად ადგილი აქვს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევას. მაგრამ თუ კი სახელმწიფო გამოდის მხოლოდ თამაშის წესის გარანტად, მაშინ მან მხარი უნდა დაუჭიროს საზოგადოების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ისეთ სფეროებს, სადაც სახელმწიფო გამოვა საბაზრო ეკონომიკის წარმატებულად ფუნქციონირების გარანტად და იგი ორგანულად ერთვება საზოგადოების საბაზრო ურთიერთობების სისტემაში.

სახელმწიფოს ბაზარზე მოქმედების რაოდენობრივი პარამეტრები. თუკი ვისაუბრებთ სახელმწიფოს ეკონომიკურ და სოციალურ როლზე, მაშინ მისი განსაზღვრისათვის გამოიყენება სხვადასხვა მაჩვენებლები, რომელთა შორის შედარებით არსებითია ორი - სახელმწიფო საკუთრების როლი და სახელმწიფო გასავლების წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში.

რაც შეეხება გადასახადის გადამხდელების პოზიციებს, ისინი პირველ რიგში დაინტერესებულნი არიან იმით, რომ გადასახადების მოცულობა იყოს მცირე და მეორე გადასახადის გადამხდელების ფული სახელმწიფოს მიერ იხარჯებოდეს ეფექტურად. როგორც პრაქტიკამ დაამტკიცა, სახელმწიფო მოხელეების ეფექტურობა და საიმედოობა დამოკიდებულია არა მათ წოდებაზე, არამედ მუშაობის კარგი ორგანიზაციიდან და მათი შრომის მოტივაზაციიდან. როგორც მონინავე ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რაც უფრო ნაკლებია მუშაკზე სუბიექტური ფაქტორის გავლენა, მით მეტია სახელმწიფო ინსტი-

ტუტების ბაზრზე პოზიტიური ზეგავლენის შედეგი.

სახელმწიფო ორგანოების საქმიანობისათვის აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ გამართულ სამართლებრივ სივრცის არსებობას, რაც მაღალგანვითარებულ ქვეყნებში უზრუნველყოფს ეკონომიკური საქმიანობის აქტივობის წახალისებას. ამ შემთხვევაში სამეურნეო სამართალი გამოდის როგორც საბაზრო ეკონომიკის იურიდიული საფუძველი. ყოველ ადამიანს, ბიზნესმენს, კომპანიას შეუძლია იყოს და უნდა იყოს დარწმუნებული თავისი საქმიანობის წარმატებაში, მან იცის, რომ თუკი ის იცავს კანონს, მაშინ ის დაცული იქნება კანონის მიერ.

საბაზრო პრინციპების უნივერსალურობა ბიზნესში, თავისთავად ვერ მოახდენს რეალიზებას. თუკი სახელმწიფო თუნდაც წამიერად დაკარგავს სიფხიზლეს მისი დაცვის მიმართულებით, მონოპოლიები ამით მაშინვე ისარგებლებენ და საზოგადოებას თავს მოახვევენ საკუთარ მერკანტილისტურ (მათთვის სასარგებლო) ინტერესებს. არ უნდა დაგვავიწყდეთ, რომ კონკურენცია არჩევს საბაზრო მეურნეობაში საუკეთესოებს და ეფექტურებს, რითაც გაუაზრებლად თვითონ უწყობს ხელს მონოპოლიების შექმნას. დაიცვას თავისუფალი კონკურენცია და აღკვეთოს მონოპოლიების შექმნა - საკმაოდ რთული ამოცანაა, რომელიც მუდმივად დგას მაღალგანვითარებული სახელმწიფოს წინაშე.

სახელმწიფომ ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარების დროს უნდა გაითვალისწინოს დროის ფაქტორი. მაგალითად, XXI საუკუნეში არნახულ ტემპებს მიაღწია ეკონომიკის გლობალიზაციამ, გაჩნდნენ მეურნეობის და ბიზნესის ისეთი დარგები (მაგალითად, კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა), რომლებიც არ არსებობდნენ ათეული წლების წინ), ინფორმაციული საზოგადოების პირობებში საბაზრო პარამეტრები ახალ სახეს იღებს, რის გამოც ძალზე მნიშვნელოვანია მაღალგანვითარებულმა სახელმწიფომ თავისი ადგილი იპოვოს, ისე რომ მხარი დაუჭიროს კონკურენციას და პროგრესს, დაიცვას

ინტელექტუალური საკუთრება. აქ არ არის სტანდარტული გადანყვეტილებები, აქ არის მასა პრობლემები, რომელთა გადანყვეტაც შესაძლებელია სახელმწიფოსა და ბაზრის მჭიდრო მჭიდრო კოოპერაციის შედეგად.

აქედან გამომდინარე ახალი რეალობის გათვალისწინებით, ეკონომიკურად ეფექტური სახელმწიფო შენარჩუნებული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ეროვნული ეკონომიკის ხარისხობრივი პარამეტრები გაუძლებენ მსოფლიო ეკონომიკის კონკურენციული ბრძოლის მოთხოვნებს.

გამართლებული არ იქნება ცალკე სახელმწიფოსა და ცალკე ბაზრის იდეალიზება. ერთსაც და მეორესაც გააჩნია ნაკლოვანებანი. მაგრამ თუ კი ბაზრის ცნობილი ნაკლოვანებები შეიძლება დაძლეული იქნას სახელმწიფოს მიერ, სახელმწიფოს „შესწორებებზე“ შეუძლია მიუთითოს მხოლოდ საზოგადოებამ, რომლის დემოკრატიული ინსტიტუტები მონოდებულნი არიან რეაგირება გააკეთონ თავისი სახელმწიფოს გადაცდომებზე.

ბოლო პერიოდში გამოცემულ მსოფლიო ბანკის მასალებში „სახელმწიფო ცვალებად სამყაროში“ - აღნიშულია, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდება, ასევე ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ბაზრის აყვავებას, ხოლო ადამიანებისათვის შექმნის ჯანმრთელ და ბედნიერ ცხოვრებას, რომლის გარეშეც შეუძლებელია ეკონომიკისა და სოციალური სფეროების განვითარება. აღნიშნულის დაუთანხმებლობა არ შეიძლება.

ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფოს საქმიანობის შედეგებით დაინტერესებულია ყველა: ბაზარი, რომელიც სახელმწიფოს დაცვის გარეშე დაუცველი ხდება, და კონკურენცია, რომელსაც მხოლოდ სახელმწიფოს დახმარებით შეუძლია გაუძლოს მონოპოლიების ზენოლას და მოსახლეობის ფართო მასები, რომლის უფლებების გარანტიც სახელმწიფოა და ბიზნესიც, რომელიც დაინტერესებულია თამაშის ნათელი და სტაბილური წესებით, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ. ყველასათვის გასაგები ხდება, რომ ეკონომი-

კურად ეფექტური სახელმწიფო - ესაა ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფო. აქ ეფექტურობის კრიტერიუმად გამოდის საზოგადოების და საბაზრო პრინციპების დემოკრატიული დანვითარება. თავის მხრივ, დემოკრატიული და საბაზრო სისტემა წარმოადგენს საიმედო საფუძველს შესაბამისი სახელმწიფოს, მისი ძალაუფლების ინსტიტუტებისა და ატრიბუტების შექმნისა და ფორმირებისათვის. ამასთან არასწორი იქნებოდა დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, რომ უკვე ნაპოვნია სახელმწიფოს საერთო და კერძოდ ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის ოპტიმალურად განვითარების გასაღები. საქმე იმაშია, რომ თანამედროვე მსოფლიო განვითარების დინამიზმი და ტურბულენტობა (მოუწესრიგებლობა) მუდმივად აყენებს ქვეყნის წინაშე ახალ დასკვნებსა და გამოწვევებს, რომელშიც, პირველ რიგში, უნდა გაერკვეს სახელმწიფო და გააკეთოს შესაბამისი რეაგირება. სწორედ აღნიშნულის გამო კიდევ ხანგძლივი დროის განმავლობაში დარჩება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური ეფექტიანობის ძიება, იმ შემთხვევაშიც კი თუ დარჩება ეკონომიკური ეფექტიანობის დღეისათვის არსებული მაჩვენებლები.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, რომ საბიუჯეტო სისტემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის გამართული ფუნქციონირებისათვის. მისი პირველხარისხოვანი მნიშვნელობა განისაზღვრება სახელმწიფოს ძირითადი დებულებებებით ეკონომიკის განვითარების შესახებ, რომელიც თამაშობს არა მარტო მარტივი კონტროლის ან მოქმედების წესის, არამედ მისი შენარჩუნების როლს, რომელიც დღესდღეობით წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვანს - კერძო მენარმეობის პარტნიორობისათვის.

გასული საუკუნის 30-იანი წლების ცნობილი კრიზისის შემდეგ მნიშვნელოვნად გაძლიერდა ბიჯეტის როლის გაცნობიერება და აღქმა როგორც სახელმწიფოს ეკონომიკის მდგომარეობის სტაბილიზაციის გარანტი. აქ მნიშვნელოვანია გადასახადების ზრდის და სახელმწიფოს ხარჯების შემცირების საერთო მეთოდის სრულყოფა, ინფლიაციური ტენდენციების შემცირებისათვის და, პირიქით, გადასახადების შემცირება და

ბიუჯეტის გასავლების გადიდება სამეურნეო სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

დღეისათვის ნათელია, რომ საბაზრო აქტიურობის გასაძლიერებლად აუცილებელია კოორდინირებული შეთანხმება საბიუჯეტო-საგადასახადო ღონისძიებებისა საკრედიტო-ფულად (მონეტარულ) ბერკეტებთან, რომლებიც ზემოქმედებენ როგორც სამთავრობო ფინანსებზე, ასევე კერძო სექტორის დანახარჯებზე. თავის მხრივ, ეს სფეროები მჭიდროდ უკავშირდება იმ ღონისძიებებს, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული საბიუჯეტო ან მონეტარულ ურთიერთობასთან, მაგრამ მათზე ახდენენ ძლიერ ზეგავლენას (მაგალითად საამორტიზაციო ან დარგობრივი პოლიტიკა და ა.შ.).

დასკვნა:

თანამედროვე მსოფლიო განვითარების დინამიზმი და ტურბულენტობა (მოუნესრიგებლობა) მუდმივად აყენებს ქვეყნის წინაშე ახალ გამოწვევებს, რომელშიც პირველ რიგში უნდა გაერკვეს სახელმწიფო და გააკეთოს შესაბამისი რეაგირება. სწორედ აღნიშნულის გამო კიდევ ხანგძლივი დროის განმავლობაში დარჩება სახელმწიფოს ეკონომიკური ეფექტიანობის ძიება ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.

REFERENCES

1. Olivier J. Blanshard; Macroeconomics, fifth edition, 2010;
2. J. Kakhniashvili; Macroeconomics, textbook. 1996;
3. K. Ghurtskaya; T. Ghurtskaya; Macroeconomics, GTU, 2013.

SOME ISSUES OF MARKET ECONOMY FORMATION

Koba Sokhadze
PhD, GTU Professor

RESUME

The article deals with the role of State to direct the entrepreneurship during the formation of the market oriented economy. The research revealed the process involved complicated problems and the phenomena due to which the efficiency of the State production is always defined for a certain period based on its results and it is not universal. Though it is noteworthy that for ordinary taxpayer or businessman the main issue is the cost of the state service and its effectiveness.

Keywords: entrepreneurship, state function, taxpayer, crisis, depression, priority, national interests, security, economical policy, dynamics of development, property, business, corporation, competition.

კონკურენციის რეგულირების თანამედროვე გამონვივები

ნინო ჯიბუტი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

კონკურენციის განვითარება იწვევს მისი ფორმების ცვლილებას. კონკურენციის თავისებურებები განსაზღვრავს მონოპოლიური სტრატეგიებისა და კონკურენციის დაცვის სისტემების ცვლილებას. აშშ-ში, ევროპისა და სხვადასხვა ქვეყნებში კონკურენციის რეგულირების მოდელების შესწავლა ცხადყოფს, რომ განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, კანონმდებლობები დაახლოებულია და კონკურენციის რეგულირების საკითხებზე ეკონომიკური მიდგომები გაძლიერებული.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, მონოპოლია, რეგულირება, სამართლის ეკონომიზაცია

ძირითადი ტექსტი

გავრცელებული შეხედულებით, კონკურენცია არის საბაზრო ურთიერთობების საფუძველი და თავისუფალი ეკონომიკური არჩევანის სიმბოლო, სადაც ფასები ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე და საბაზრო ძალაუფლებას განსაზღვრავს „უხილავი ხელი“. იგი სამეურნეო სუბიექტებს შორის ისეთი მეტოქეობაა, რომლის დროსაც მათი დამოუკიდებელი მოქმედებები ზღუდავენ მეტოქის შესაძლებლობას უპირატესობა მოიპოვონ ბაზარზე. იგი ზრდის წარმოების ეფექტიანობას და ზღუდავს რომელიმე კომპანიის გავლენას ფასებზე.

კონკურენტული ბრძოლის დროს ცალკეული ფირმები ახდენენ ბაზრებზე გაბატონებას და მონოპოლიურ მდგომარეობის მიღებას პროდუქციის მასშტაბის ზრდისა და სხვადასხვა ორგა-

ნიზაციულ-ტექნოლოგიური ფირმებისა და ინოვაციების გამოყენებით.

მონოპოლია ემსგავსება ბაზარზე გაძლიერებული როლის მქონე კომპანიას. სინამდვილეში კი ეს შეიძლება იყოს კომპანია, რომელმაც შექმნა ინოვაცია და რაღაც პერიოდის განმავლობაში მას დომინანტი პოზიცია უკავია ბაზარზე. თუმცა ნებისმიერ სხვა კომპანიას თავისუფლად შეუძლია შევიდეს ბაზარზე და კონკურენცია გაუწიოს მას. ასევე ეს შეიძლება იყოს კომპანია, რომელიც საკუთარი პროდუქციის მაღალი ხარისხისა და კარგი მენეჯმენტის საშუალებით ბაზარზე დომინანტ პოზიციას ინარჩუნებს დიდი ხნის განმავლობაში.

პრაქტიკაში კონკურენციის შესახებ შეფასებები და შეხედულებები არის წინააღმდეგობრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით მისი გარკვევა სამართლებრივი კონტექსტის გარეშე შეუძლებელია, ისევე როგორც მხოლოდ სამართლებრივად იგივე განისაზღვრება ეკონომიკური კონტექსტის გარეშე.

ბაზარზე ხორციელდება ოთხი განსხვავებული პოლიტიკა: მასშტაბის და ბაზრების დიფერენცირება, ბაზრის სეგმენტაცია და განსაკუთრებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. ეს პოლიტიკა ორიენტირებულია ბაზრის სხვადასხვა პირობებზე და განსხვავებულ რესურსულ უზრუნველყოფაზე. ამ ოთხი პოლიტიკის შესაბამისად ყალიბდება ფირმების განსხვავებული ტიპები, განსხვავებული ძალაუფლების ხარისხი და კონკურენტული სტატუსი.

ლიტერატურაში აღიარებულია, რომ თავისუფალ ბაზარს აქვს ჩავარდნები, რომლის ქვეშ საბაზრო ძალაუფლებების არაპროპორციული და რესურსების არაეფექტიანად განაწილება იგულისხმება. მისი მიზეზი მხოლოდ ბაზრის ბუნება არ არის, იგი შეიძლება სახელმწიფომ შექმნას ხელოვნურად რომელიმე საბაზრო ინსტიტუტის მხარდაჭერით. ამასთან საბაზრო ჩავარდნის გამოსწორების პირობად მხოლოდ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მიიჩნევა.

მონოპოლიები და ოლიგოპოლიები არიან ბაზარზე ფასნარმოქმნის საბაზრო ძალაუფლების მქონე ინსტიტუტები. გარდა

ამისა, საბაზრო ჩავარდნებს ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც ჩნდება ბუნებრივი მონოპოლია, კომპანიების მიერ ხდება გარემოს დაბინძურება. იგი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული უარყოფითი გავლენის მქონეა. ამ დროს ხარჯები ეკისრება მთლიანად სახელმწიფოს და საზოგადოებას და არსებობს ინფორმაციული ასიმეტრიები. ასეთი ასიმეტრიები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მიმწოდებელი უფრო მეტ ინფორმაციას ფლობს პროდუქციაზე, ვიდრე მომხმარებელი. მაგალითად, შეუძლებელია მომხმარებელმა იცოდეს საკვები პროდუქციის ქიმიური შემადგენლობა რამდენად მაკნეა ჯანმრთელობისათვის, ამიტომ სახელმწიფო აწესებს მინიმალურ სტანდარტებს, რომელთა გათვალისწინებაც სავალდებულოა ყველა კომპანიისთვის. ეს უკანასკნელი თეორია განავითარა ჯ სტიგლიცმა.¹

დღეს გლობალურ გარემოში სულ უფრო ინტენსიური ხდება ვაჭრობისა და ეკონომიკური კავშირურთიერთობების განვითარება. თვისებრივად შეიცვალა ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულება და თავისუფალი კონკურენციას სულ უფრო მეტად დაემუქრა მონოპოლისტური ტენდენციები. ასევე ცხადი გახდა, რომ სამართლის ნორმებზე დაყრდნობით მონოპოლიზების პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების ზომები უფრო ქმედითად უნდა წარიმართოს, რამდენადაც მონოპოლიზაციის პროცესმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო, კომპანიების შერწყმა, ასევე მსხვილი ტრანსეროვნული კომპანიების ქვეყანაში შემოსვლა გარდუვალი გახდა და ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა დაიკავეს გაბატონებული როლი საერთაშორისო ბაზრებზე, რომლის წინააღმდეგაც ეროვნული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობები ზოგჯერ უძლურნი არიან. შესაბამისად დაიწყო კანონმდებლობების ჰარმონიზაციის პროცესი ინტეგრირებულ ბაზრებზე და საერთაშორისო თანაშრომლობის გაღრმავება ანტიმონოპოლური რეგულირების სფეროში. ერთი ბაზრის ქვეყნებში კონკურენციის დაცვა შესაბამისობაში

1 Stiglitz J., Information and the Change in the Paradigme in Economics, Prize Lecture , December 8, 2001, Columbia Business School, Columbia University, https://www.nobelprize.org/nobel_prizes/economic-sciences/laureates/2001/stiglitz-lecture.pdf

მოდის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებთან.

მონოპოლიების წარმოშობა ხდება განსხვავებულ პირობებში, სხვა ფორმების კონკურენტული პოტენციალის შემცირების ხარჯზე. მისი მიზანია: ჯერ დაიქვემდებარონ, შემდეგ გაუწიონ კონტროლი და ბოლოს გამოდევნონ ბაზრიდან კონკურენტი ფორმები. ამ მიზნის განხორციელება ხდება კონკურენტის წილის შემცირებით ბაზარზე და საკუთარი წილის გაზრდით. მონოპოლიზაცია შეიძლება განხორციელდეს: ა/. როდესაც მეტოქე ხდება არაპერსპექტიული კონკურენტებთან ურთიერთობაში და იგი არ არის მისაზიდი ტექნოლოგიურად, ნოუ-ჰაუთი და სხვ. ასეთ დროს იგი განიხილება როგორც ბარიერი საკუთარი ბიზნესის მიზნების მიღწევაში.

ყველზე გავრცელებული მიდგომით მონოპოლია განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ ბაზრის რა წილს აკონტროლებს. ეს წილები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, აშშ-ში მონოპოლიად ითვლება კომპანია, თუ იგი აკონტროლებს ბაზრის 60 პროცენტს, რუსეთში - 65 პროცენტს, სხვა ქვეყნებში ასეთი ზღვარი 35-60 პროცენტია.

ბაზრისათვის დამახასიათებელია მუდმივი ინტეგრაციული პროცესები ხდება ეტაპობრივად: იწყება პარტნიორობით, შემდეგ ერთი ფორმა გარდაიქმნება უმცროს პარტნიორად და ბოლოს სტრუქტურულ ერთეულად. ეს ხდება ან აქციების შესყიდვით, ან კიდევ დავალიანების გადაუხდელობით (ურთიერთსაკრედიტო ხაზების გამოყენების გზით). შესაბამისად ფორმების შერწყმა სხვადასხვა ფორმას ღებულობს და იქმნება სინდიკატი, როდესაც წარმოებული პროდუქცია არის სინდიკატის საერთო საკუთრება, ხოლო წარმოების საშუალებები კი მასში შემავალი ფორმების საკუთრება. სინდიკატის პირობებში შენარჩუნებულია საწარმოო დამოუკიდებლობა, მაგრამ მასში შემავალ კომპანიებს დაკარგული აქვთ კომერციული დამოუკიდებლობა.

კონკურენციის რეგულირება არის სამართლის ერთ-ერთი სფერო, სადაც აქტიურად განიხილება მისი ეკონომიზაციის საკითხი. სხვადასხვა ქვეყანაში კონკურენციის რეგულაცია გა-

ნსხვავებულია და სხვადასხვა ღონისძიებებსა და შედეგებზეა ორიენტირებული, რაც უკავშირდება ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებებს.

ქვეყნების განსხვავებული პოლიტიკა შეიძლება მიმართული იყოს მონოპოლიების წარმოშობის პრევენციაზე, მსხვილი კომპანიების იძულებით დაშლაზე, ფირმების კონტროლზე, მონოპოლიური ფასების შეზღუდვაზე, რესურსების დეცენტრალიზაციაზე და სხვ. მაგრამ მთლიანობაში ყველა ანტიმონოპოლიური პოლიტიკა არის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება არასამართლიანი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით. იგი არის კონკურენციის დაცვის ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს მონოპოლიური საქმიანობის თავიდან აცილებას, შეზღუდვასა და ჩახშობას, ყველა ბიზნეს სუბიექტის თანაბარი პირობების უზრუნველყოფას ბაზარზე.

ცნობილია კონკურენციის რეგულირების ორი მოდელი: 1. ამერიკული, რომელიც კრძალავს მონოპოლიებს როგორც სტრუქტურულ ერთეულებს; 2. ევროპული, რომელიც ორიენტირებულია კომპანიების ბოროტად გამოყენების კონტროლზე.

აშშ-ში არსებობს ორი სახის სახელმწიფო რეგულირება: ბუნებრივი მონოპოლიების მკაცრი შეზღუდვები და კერძო სექტორში კომპანიების ბიზნესის რეგულირება მათი შერწყმისა და შთანთქმის დაშვებებისა და საქონლის ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტების გამოყენებით, აგრეთვე ღონისძიებების არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღსაკვეთად. ანტიმონოპოლიური რეგულირების ამერიკული მოდელი ეფუძნება მონოპოლიების როგორც სტრუქტურული ერთეულის აკრძალვის პრინციპს, მიუხედავად მათი საქმიანობის შედეგებისა.

ანტიმონოპოლიური რეგულირების ამერიკული მოდელი არ ახდენს ფასების იდენტიფიკაციას, თუ რამდენად არის იგი "მონოპოლიურად მაღალი" და ფასწარმოქმნა არ არის ანტიმონოპოლიური ინსტიტუტების პრეროგატივა. აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ დემპინგურად დაბალ ფასებზე, უსამართლო გარიგებებზე და სხვა გამოვლინებებზე, რომელიც ეწინააღმდეგება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. რამდენადაც კომპანიე-

ბის დიდი ნაწილი არის სააქციო საზოგადოებები, ამიტომ მათი გაერთიანებები, შესყიდვები, გამოყოფა და სხვა პროცესები ხდება ყურადღების ცენტრში.

ევროპული კონკურენციის პოლიტიკა, ამერიკულისაგან განსხვავებით, უფრო მეტ ყურადღებას უთმობს კონკურენტების ინტერესების დაცვას, ვიდრე საბოლოო მომხმარებელის კეთილდღეობას.

გლობალიზაციასთან ერთად აქტუალური ხდება ამერიკული და ევროპული რეგულირების დაახლოება. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. ორივე ქვეყნისათვის საერთოა ის, რომ ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტი უნდა იყოს ეფექტიანი კონკურენცია და არა მხოლოდ კონკურენტები. ამასთან განასხვავებენ მონოპოლიური ძალასა და დომინანტურ საბაზრო ძალას. ისინი არ არიან ერთიდაიგივე. პირველი იძლევა ფასების კონტროლის საშუალებას და გამორიცხავს კონკურენციას. აშშ-სა და ევროპის კანონმდებლობის თანახმად, მონოპოლიური ძალა და დომინირებული პოზიცია არ ნიშნავს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევას, თუმცა ევროკავშირის კანონმდებლობა კონკრეტულად აღწერს პოტენციურად უკანონო ქმედებებს.

ევროპაში, უფრო სკეპტიკურად უყურებენ ფასების დისკონტირებას და სანარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას, ახალი პროდუქტებისა და მომსახურების ბაზარზე შესვლის უნარს. ასევე განსხვავებულია მიდგომები მტაცებლური ფასების (predatory pricing) მიმართ.

ეკონომიკურ ეფექტიანობას ევროპული კანონმდებლობა არ მიიჩნევს მონოპოლისტურად, თუ იგი ზიანს არ აყენებს მომხმარებელს, ხოლო აშშ-ს კანონმდებლობაში კი - თუ კომპანია კანონიერად აკეთებს ბიზნესს.

განსხვავებულია ქვეყნების ანტიმონოპოლიური პოლიტიკა ბუნებრივი და ხელოვნური მონოპოლიების მიმართ. ბუნებრივი მონოპოლია ეკონომიკურად გამართლებულია, ხოლო ხელოვნური მონოპოლია იქმნება შერწყმის, შექენისა და შეერთების მეშვეობით.

ქვეყნების პრაქტიკაში ხდება ბაზარზე ტრანსანაციონალური და მსხვილი კომპანიების დომინანტური როლის სანინალმდეგოდ კომპანიების კოოპერაციის სტრატეგიის დაპირისპირება, რომლის მიზანია როგორც სხვა კონკურენტების რიცხვის შემცირება ასევე კონკრეტულ შემთხვევაში წინააღმდეგობა გაუწიონ ტრანსანაციონალურ კორპორაციებს. იგი ეფუძნება დისკრიმინაციულ ღონისძიებებს, რომელიც შეცვლის ბაზრის ბალანსს, მაგრამ ამასთანავე უზრუნველყოფს საბაზრო რისკების შემცირებას ხანგრძლივი, საშუალო და ხანმოკლე კოოპერირებით და საკუთარი მდგომარეობის სტაბილიზაციას, რომელიც მონოდებულია შეამციროს ბაზრისაგან ძლიერი მოთამაშეების აგრესია. ამასთან კოოპერირება ეფუძნება არა პრინციპს: “მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება“, არამედ - ბაზარზე გაძლიერების ინტერესს.

საერთაშორისო დონეზე ფირმების კოოპერირებით იქმნება სტრატეგიული ალიანსი. სტრატეგიული ალიანსი ითვალისწინებს ერთობლივი კვლევების ჩატარებას, ტექნოლოგიების გაცვლას, საწარმო სიმძლავრეების ერთობლივ გამოყენებას, მარკეტინგს. მაგალითად ამერიკელები და იაპონელები იყენებენ მას ევროკავშირში ბაზრის შესაღწევად. ამისათვის ალიანსი იქმნება ადგილობრივ ფირმებთან (მაგალითად, იტალიაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოებაში). ალიანსის მიზანშეწონილობის განმსაზღვრელია: 1. წარმოების მასშტაბის ეკონომია; 2. ტექნოლოგიებში ცოდნის გაზრდის აუცილებლობა; 3. ბაზარზე დამკვიდრება. მისი უარყოფითი მხარეა: ფირმების განსხვავებული მოტივაცია, მიზნები, ენობრივი და კულტურული ბარიერები, ადგილობრივი კანონმდებლობა. ეს ფაქტორები ართულებენ მოლაპარაკებებს და ზრდის ურთიერთობის ტრანსცედენტალურ, არაცხად ხარჯებს. ამასთან, ეროვნული ფორმები, თუ მათ არ აქვთ დივერსიფიცირებული ბაზრები, ერთ ბაზარზე დანაკარგს ვერ ინაზღაურებენ მეორე ბაზარზე მოგებით და ვერ პასუხობენ უცხოურ კომპანიების მიერ ეროვნულ ბაზარზე ფასების შემცირებას.

საერთოდ, ქვეყნის მონოპოლიზებისაგან და საერთაშორისო

ალიანსებისაგან თავდაცვის კარგი სტრატეგიაა ბაზრების დივერსიფიკაცია და გლობალური სტრატეგიის განვითარება.

ასეთი მონოპოლიური ქცევების და სტრატეგიების ფორმალურ სამართლებრივი რეგულირება, თუ გათვალისწინებული არ იქნა ეკონომიკური და ინსტიტუციური გარემო, რომელიც აიძულებს კომპანიებს იზრუნონ გამსხვილებისათვის და მონოპოლიური ქცევების დამკვიდრებისათვის, არაეფექტანი იქნება ეროვნული კონკურენტუნარიანობის გაღიერების თვალსაზრისით. აქედენად გამომდინარე, არა ყველა მონოპოლიური ქცევა და მონოპოლიზაციის პროცესი რეგულირებულია სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ.

სხვადასხვა ქვეყანაში სახელმწიფო მონოპოლიების სანინააღმდეგოდ და მონოპოლიური სტრუქტურების დაშლის მიზნით, გამოიყენება განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალი, ღონისძიებები და მექანიზმები. ზოგჯერ მსხვილ კორპორაციებს ურჩევნიათ თავი შეიკავონ მონოპოლიური ქცევისგან, რათა არ დაექვემდებარონ სახელმწიფოს რეგულაციების ზემოქმედებას, რომელსაც შეუძლიან მათთვის ფინანსური ზიანის მიყენება.

რეგულირების ზეგავლენით ცვლილებები ხდება როგორც პირდაპირ მონოპოლიებზე ზემოქმედებით, ასევე არაპირდაპირ, კონკურენციის ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს ფორმირებით.

სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო რეგულირების ფორმები და მეთოდები განსხვავებულია: აშშ-ი ორიენტირებულია საბაზრო მექანიზმების გამოყენებაზე და ბაზრის სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება სამართლებრივი წესების ფორმირებით, რომელიც მონოდედული იქნება დანერგოს “თამამის წესები” და ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები. ეკონომიკაში სახელმწიფო ინტერვენციები მინიმალურია.

აშშ-ში შერმანის ანტიმონოპოლიური აქტი, რომელიც 1890 წელს ჩამოყალიბდა, მიზნად ისახავდა თანაბარი სასტარტო შესაძლებლობების შექმნას ყველა სანარმოსათვის და კონკურენციის მონოპოლიად გადაქცევის პროცესის ხელის შეშლას.

დღეს, აშშ-ის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ითვლება ერთ-ერთი ყველაზე კარგად განვითარებულ კანონმდებლობად, რომელმაც გაუძლო დროს. აშშ-ში მონოპოლიური საქმიანობისა და მონოპოლიზირებული ბაზრების ძირითადი მარეგულირებელი აქტებია, შერმანის აქტი, კლეიტონის აქტი, ფედერალური სავაჭრო კომისიის და სელერ-კეფაუერის (Celler-Kefauver) ცვლილებები. შერმანის აქტით კანონგარეშედ ცხადდება ყველა ხელშეკრულება და გარიგება, რომელიც მიზნად ისახავს ვაჭრობის და კომერციის შეზღუდვას.¹ კლეიტონის აქტში ყოველ ადამიანი, რომელიც ახდენს მონოპოლიზებას, ან აქვს მონოპოლიზების მცდელობა, განიხილება დამნაშავედ. იგი კრძალავს ფასების დისკრიმინაციას, ფასების ფიქსირებას და ექსკლუზიურ გარიგებებს.² ეს მძიმე დანაშაული ისჯება არა მხოლოდ ჯარიმით, არამედ ის თავისუფლების აღკვეთასაც ითვალისწინებს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სასამართლოს შეუძლია გადანყვიტოს ფირმის დეცენტრალიზაცია და დაანანევროს რამდენიმე მცირე ბიზნესად.

სელერ-კეფაუერის (Celler-Kefauver) შესწორება აზუსტებს კლეიტონის აქტს კონკურენტი კომპანიების მიერ აქტივების შეზღუდვების შესახებ.

ამერიკული კანონმდებლობით, მონოპოლიად ითვლება კომპანია, თუ ის აკონტროლებს ბაზრის 60 პროცენტზე მეტს და არსებობს მტკიცებულება კონკურენციისას არაკეთილსინდისიერი მეთოდების გამოყენების შესახებ. ეს მკაცრი წესები ეხება სანარმოების შერწყმა/გაერთიანებას. ასეთი ქცევები არაკანონიერად ცხადდება, თუ ჰორიზონტალურად, სადაც ორი კონკურენტი ერთიანდება, ან ვერტიკალურად, სადაც ერთი დამავე დარგის სანარმოების სხვადასხვა სანარმოო პროცესების შეერთება ხდება, მათი საერთო წილი ბაზარზე გადააჭარბებს გარკვეულ ზღვარს.

1 Sherman Antitrust Act, Cornell law School,

https://www.law.cornell.edu/wex/sherman_antitrust_act

2 Clayton Antitrust Act, Teaching American History. Org,

<http://teachingamericanhistory.org/library/document/clayton-antitrust-act/>

ევროპის ქვეყნებში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარდა. აშშ-ის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისგან განსხვავებით, რომელიც, კანონმდებლობის აღსრულებას ემყარება, ევროპის ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, რომელიც კონკურენციის საშუალებით პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს, ამიტომ პირდაპირი ადმინისტრაციული მეთოდები, როგორცაა შერწყმის პროცესების აკრძალვა, გამოიყენება შეზღუდული მასშტაბით, რამდენადაც მკაცრმა ანტიმონოპოლიურმა პოლიტიკამ შეიძლება ურყოფითად იმოქმედოს დარგების განვითარებაზე.

ევროკავშირის ანტიმონოპოლიური (კონკურენციის) კანონმდებლობა ატარებს მრავალფეროვან მიზანს, მათ შორის ეფექტიანობისა და სამომხმარებლო კეთილდღეობის ხელშეწყობას, საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკური თავისუფლების დაცვას და საბაზრო ინტეგრაციას.¹ როგორც ევროკომისიამ განაცხადა: “კონკურენციის პოლიტიკა არ შეიძლება იყოს იზოლაციაში, თავისთავადი, სამართლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კონტექსტის გრემე.”²

რეგიონალურმა ისტორიამ გავლენა მოახდინა ევროპის კონკურენციის პოლიტიკის ფორმირებაზე, რომელიც იცავს არა მხოლოდ კონკურენტების ან მომხმარებელთა ინტერესებს, არამედ ბაზრის სტრუქტურას და იგი ემსახურება ევროპის ბაზრის ინტეგრაციის მიზნებს. ეს უკანასკნელი არის ევროკავშირის კონკურენციის კანონის მამოძრავებელი ძალა, თუმცა საბაზრო ინტეგრაციის ეკონომიკური ბუნება და შიდა ბაზრის დაცვა არ შეიძლება ყოველთვის შეესაბამებოდეს სამომხმა-

1 Guidelines on the Application of Article 81(3) of the Treaty (2004) OJ C101/08 at para.13; Guidance on the Commission’s enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings, (2009) OJ C45/02 at paras. 5-7. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52004XC0427\(07\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52004XC0427(07))

2 Commission(EC), XXII -nd Report on Competition Policy 1992, 13. http://ec.europa.eu/competition/publications/annual_report/index.html

რებლო კეთილდღეობის განმტკიცების მიზანს.¹

ევროპის კონკურენციის კანონის გამოყენებაზე გავლენას ახდენს სხვა რეგულაციები სამრეწველო პოლიტიკის, გარემოსდაცვის, ინვესტიციების, ტრანსპორტის, სოციალური სფეროს, რეგიონალური განვითარების და სხვ. სფეროებში.

ევროკავშირის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა არის მოკლე და მოიცავს სამ მიმართულებას, როგორცაა მუხლი 81-ანტიკონკურენციული შეთანხმებები და კარტელები, მუხლი 82 - მონოპოლიზაცია და მუხლი 87- სახელმწიფო დახმარებები და შერწყმის რეგულაციები. ევროკავშირის ანტიმონოპოლიური წესები ცხადყოფს, ევროკავშირსა და აშშ-ს რეგულაციებს შორის გარკვეულ დაახლოებას, განსაკუთრებით ფირმების შერწყმის საკითხში. ევროკავშირმა და ამერიკამ ნაბიჯები გადადგეს შერწყმის მიმოხილვების კოორდინირების მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული უთანხმოებები.² ევროკავშირის ქვეყნებს კი აქვთ თავისი ეროვნული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და განსხვავებული მიდგომები.

საფრანგეთში, კანონმდებლობის ძირითადი აქცენტი ჰორიზონტალური შერწყმის თავიდან აცილებაზეა აგებული. გერმანიისათვის კი დამახასიათებელია ადმინისტრაციული საშუალებებით მონოპოლიური საქმიანობის რეგულირება, რომელიც სახელმწიფო დონეზეა აყვანილი, სადაც არავის არ შეუძლია ანტიმონოპოლიური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლა.

გერმანიაში ეროვნული ეკონომიკის მართვის სისტემაში, აქტიურად გამოიყენება ბაზრის მარეგულირებელი მეთოდები, როგორცაა კონკურენციის ხელშეწყობა, თავისუფალი ფასწარმოქმნა და მოქალაქეთა სოციალური დაცვის ეფექტიანი სისტემა.

1 Ezechiel A. Sponberg, *The University of Oxford Centre for Competition Law and Policy, Working Paper CCLP (L) 42*, p.6, <https://www.law.ox.ac.uk/sites/files/oxlaw/cclp42.pdf>

2 Bungarden L., *Antitrust Law in the European Union*, GRaziadio BUssiess Review, GBR, V.8, Issue 3, 2005, <https://gbr.pepperdine.edu/2010/08/antitrust-law-in-the-european-union/>

შვედეთში ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მართვა ხორციელდება შემოსავლების განაწილების და გადანაწილების პროცესში სახელმწიფოს აქტიური ინტერვენციის საფუძველზე, მოსახლეობის სოციალური დაცვის საერთო სისტემის განვითარებისა და თანასწორობისა და სოლიდარობის იდეების დომინირების საფუძველზე.

იტალიაში კონკურენციის რეგულირება ლიბერალურია და არ არის დანესებული ცალკეულ ფირმებზე შემზღუდავი ბაზრის წილი.

ევროპაში ტრანსნაციონალურ კომპანიებთან დაკავშირებით შემოღებული იქნა წესები და დანესდა შემზღუდავი ბაზრის წილი საერთოევროპულ ბაზარზე საერთაშორისო კომპანიების მიმართ.

იაპონიაში კონკურენციის რეგულირება ემყარება ცენტრალიზებულ მართვას, რომელსაც ანხორციელებს სახელმწიფო კორპორაციული სტრუქტურები და ითვალისწინებს ისეთ ღირებულებებს, როგორცაა კოლექტივიზმის ფსიქოლოგია, სოლიდარობა, პირადი ინტერესების დაქვემდებარება კოლექტიურ და სახელმწიფო ინტერესებზე და სხვ.. იაპონიაში მონოპოლიად განისაზღვრა საწარმოები, რომელსაც აქვს ბაზრის წილის ნახევარზე მეტი და მათთან ძირითადად მოლაპარაკების გზით ხდება კონკურენციის რეგულირება.

დასკვნა:

მიუხედავად კონკურენციის რეგულირებაში ქვეყნების მიხედვით დიდი განსხვავებებისა, ეკონომიკური მიდგომები საკითხისადმი არსებითია ევროპისა და აშშ-ს კანონმდებლობებისათვის¹ და აქედან გამომდინარე მთელი დანარჩენი მსოფლიოს კანონმდებლობისა და პრაქტიკისათვის.

1 Velianovski, C. The Economics of Law, The Institute of Economic Affairs, London, 2006, გვ. 107,

ლიტერატურა :

1. Stiglitz J., Information and the Change in the Paradigme in Economics, Prize Lecture , December 8, 2001, Columbia Business School, Columbia University
2. Bungarden L., Antitrust Law in the European Union, GRaziadio BUSniess Review, GBR, V.8, Issue 3, 2005
3. Ezechiel Ariel, Sponge, The University of Oxford Centre for Competition Law and Policy, Working Paper CCLP (L) 42
4. Commission(EC), XXII -nd Report on Competition Policy 1992, 13.
5. Guidelines on the Application of Article 81(3) of the Treaty (2004) OJ C101/08 at para.13; Guidance on the Commission's enforcement priorities in applying Article 82 of the EC Treaty to abusive exclusionary conduct by dominant undertakings, (2009) OJ C45/02 at paras. 5-7.
6. Velianovski, C. The Economics of Law, The Institute of Economic Affairs, London, 2006

**CONTEMPORARY CHALLENGES
OF REGULATION OF COMPETITION**

Nino Djibuti

Doctoral student of Andrew the First Called Georgian
University of the Patriarchate of Georgia

RESUME

The article characterizes the modern peculiarities of competition related to firms' scale economy, market differentiation, market segmentation and special requirements. Definition of monopolies origins, strategies and market regulatory restrictions are defined. The models of regulation of competition in the US, Europe and various countries are noted and it is disclosed that despite the different approaches to the issue, legislation of countries are approximating and economic approaches to competition regulation issues are strengthening.

Keywords: competition, monopoly, oligopoly, regulation, economics of law.

მენარმეობრივი და საკუთრებითი ურთიერთობების განვითარების ინსტიტუციური ანალიზი

შორენა ხალვაში
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

თანამედროვე სამყაროში, ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება სახელმწიფოს ეკონომიკური როლის განსაზღვრა, რაც გულისხმობს ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს მონაწილეობის ოპტიმალური ვარიანტის შემუშავებას. დღესდღეობით კერძო საკუთრების დაცვის მთავარ გარანტიად გვევლინება სწორედ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონები და ქვეყანაში მოქმედი ინსტიტუტების ხელშეწყობით მათი დაცვა. დავა და კამათი იმის შესახებ უნდა ჩაერიოს თუ არა სახელმწიფო საბაზრო ურთიერთობებში მუდმივად მიმდინარეობს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა დემოკრატიული ურთიერთობების მატარებელი ეკონომიკა, ე.წ. „laissez-faire“, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ბუნებაში არ არსებობს. აქ საკითხი დგას რამდენად და რა ფორმით შეიძლება დაარეგულიროს სახელმწიფომ საბაზრო ურთიერთობები ისე, რომ ყველა მხარის (სახელმწიფოს, მენარმეების, მომხმარებლების) ინტერესები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული. მოცემულ სტატიაში საუბარი შეეხება ინსტიტუციური თეორიაში საკუთრებითი და მენარმეობრივი ურთიერთობების განვითარებას და ანალიზს; ასევე, საქართველოში საკუთრების დაცვის და სამენარმეო საქმიანობის ინსტიტუციური რეგულირების ფორმებს.

საკვანძო სიტყვები: საკუთრების უფლება, მენარმეობა, ეკონომიკური ურთიერთობები, საბაზრო ეკონომიკა, სახელმწიფო, საკუთრებითი ურთიერთობები, ბიზნეს-გარემო.

ქირითადი ტექსტი

საკუთრების უფლების სისტემის ქვეშ მოიაზრება ის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ იშვიათი რესურსების ხელმისაწვდომობას. ეს ნორმები რეგულირდება როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების მიერ. საზოგადოებისთვის საკუთრების უფლება არის „თამაშის წესები“, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს ცალკეულ აგენტებს შორის. ცალკეული ინდივიდებისთვის კი საკუთრების უფლება არის „უფლებების ნაკრები“ ამა თუ იმ რესურსთან დაკავშირებით. რაც შეეხება საკუთრების და განკარგვის უფლების თანამედროვე თეორიას (Property Rights Theory), ის ჩამოაყალიბა რ. კოუზმა და ა. ალჩიანმა, შემდეგ კი დემსეცმა, დ. ნორტმა და პოზნერმა განავითარეს და განავრცეს. მოცემული თეორიის ავტორები სიტყვა „საკუთრება“-ს განმარტავენ არა როგორც საზოგადოდ მიღებულს, არამედ შემოაქვთ ტერმინი „საკუთრების უფლება“. რესურსი, როგორც ასეთი არ წარმოადგენს საკუთრებას, არამედ ის არის სრული ან ნაწილობრივი უფლება რესურსით სარგებლობისა. შეიძლება ითქვას, რომ საკუთრებითი ურთიერთობები გულისხმობს რესურსებზე წვდომის შეზღუდვას. რომის სამართალში საკუთრების უფლება განმარტებულია, როგორც ქონების ფლობის, გამოყენების და განკარგვის უფლება პირადი მოხმარების ნივთებსა და წარმოების საშუალებებს შორის ზღვარის გავლების გარეშე. იქ, სადაც არის ეკონომიკური საქმიანობა, ყოველთვის არსებობს საკუთრების პრობლემა. საკუთრებითი ურთიერთობები ეკონომიკური ურთიერთობების განუყოფელი ნაწილია და ისინი ადამიანების ცხოვრებაში დაბადებიდან იწყება. ადამიანები მუდმივად დაობენ საკუთრების გამო: ოჯახის წევრები ერთმანეთს ეცილებიან მემკვიდრეობის გამო, მეზობლები მიწის ნაგლეჯზეც ედავებიან ერთმანეთს. ამ თვალსაზრისით ცივილიზაცია ჯერ კიდევ არ წასულა შორს ცხოველთა სამყაროსაგან, სადაც ყველა თავის საცხოვრებელ გარემოს იცავს.

ქვეყნების საბაზრო ურთიერთობათა მექანიზმების და ინოვაციური პროცესების განვითარება განუყოფლად არის და-

კავშირებული მენარმეობის განვითარებასთან, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ტერმინი „მენარმეობა“ შემოიღო რიჩარდ კანტილიონმა როგორც მცდელობა ეკონომიკური ზრდის საფუძვლების ახსნისა. ადამ სმიტის აზრით, მენარმე მეტწილად არის კაპიტალისტი და მენარმეობის მატერიალური საფუძველი არის კერძო საკუთრება. მან პირველმა აღნიშნა მენარმის საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის ნეგატიური როლი, რადგან „მთავრობები - ყოველთვის და გამოწინააღმდეგებენ გარეშე, უდიდესი მფლანგველები არიან“. მაგრამ სამენარმეო სფეროში სახელმწიფოს ჩარევის პერსპექტივების შეფასება ცალსახად არ შეიძლება. გათვალისწინებულ უნდა იქნას მთელი რიგი გარემოებებისა, მაგალითად, ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან აცილება, ეკონომიკური ურთიერთობების კრიმინალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა, ეკონომიკური კრიზისების თავიდან აცილება, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ნაწილის დაცვა და სხვა.

ინსტიტუციონალისტი თ. ვებლენი (1857-1929), უ.კ. მიტჩელი (1874-1948), ჯ.მ. კლარკი (1884-1963), ჯ. კომონსი (1862-1945) განმარტავდნენ საბაზრო მეურნეობას არა როგორც წონასწორულს, არამედ როგორც ევოლუციონირებად სისტემას და აუცილებლად მიიჩნევდნენ სახელმწიფოს ჩარევას საბაზრო ურთიერთობებში. ჯ.კომონსი, ნეოკლასიკოსების მსგავსად, ამბობდა რომ შეზღუდული რესურსების პირობებში მენარმე სუბიექტებს შორის წარმოიქმნება კონფლიქტი მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს კონფლიქტი რეგულირდება ტრანსაქციების განხორციელებით, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოების საბაზო ინსტიტუტებს. ჯ. კომონსის განმარტების თანახმად, ეს საქონლის გაცვლა-გამოცვლა კი არ არის, არამედ არის საკუთრების უფლების გადაცემა და უარის თქმა ამ უფლებაზე.

რაც შეეხება საქართველოს, ქვეყანა სამენარმეო საქმიანობის განვითარების მაღალი დონით მაინცდამაინც არასოდეს გამოირჩეოდა. შედარებით დიდი სანარმოების შექმნა და პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე გატანა დაიწყო მეცხრამე-

ტე საუკუნის მეორე ნახევრიდან (ძმები ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი, მიტროფანე ლალიძე, გიორგი ბოლქვაძე), მაგრამ გასაბჭოების შემდეგ მსგავსი ტიპის საქმიანობა აიკრძალა და მენარმეობა სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადდა. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოში, მენარმეობა, როგორც ეკონომიკური რესურსი და მითუმეტეს, როგორც ეკონომიკური ფაქტორი, არ გამოიყენებოდა. მენარმეობა, როგორც ეკონომიკური ფაქტორი, საქართველოში „დაბრუნდა“ მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს. დღეისათვის, საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე საქართველოში საკუთრებით და სამენარმეო ურთიერთობებს არეგულირებს: საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, შრომის კოდექსი, კანონი ლიცენზირების შესახებ, კანონი გადახდისუნარიანობის შესახებ, საქართველოს ზოგადი ადმონისტრაციული კოდექსი და ა.შ. რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკის და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმთავრეს პირობას, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას და დაცვას, საქართველოში კერძო საკუთრება, პირველ რიგში, დაცულია საქართველოს უზენაესი კანონით - საქართველოს კონსტიტუციით.

ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუციური მექანიზმი მენარმეების უფლებების დაცვის და სამენარმეო საქმიანობისთვის ხელის შეწყობის თვალსაზრისით, საქართველოში არის „საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ“. რათქმაუნდა არსებობს უამრავი შენიშვნა და რეკომენდაცია კანონის კიდევ უფრო დასახვეწად. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მენარმეთა შესახებ კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის და 144 მუხლის მე-8 პუნქტივით, რომლებიც ეხება საწარმოს ლიკვიდაციას და რეორგანიზაციას, რომლის თანახმადაც ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ ნერილობითი შეტყობინების მიღებიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილები არიან საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრი ვალდებულებების ვადაზე ადრე შესრულება. იგივე ხდება საწარმოს რეორგანიზაციის პროცედურების დაწყების შემთხვე-

ვაშიც. მენარმეებს ამ მიმართულებით აქვთ პრეტენზიები და არსებობს ამის კონკრეტული მაგალითებიც, როცა ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე კრედიტორები ითხოვენ სანარმოსგან ნაკისრი ვალდებულებების ვადაზე ადრე შესრულებას, სანარმოთა მფლობელებს უჭირთ შემიჭიდრობულ ვადებში მათი ქონების რეალიზაცია მისაღებ ფასად, ვინაიდან, ლიკვიდატორები ხშირად ქონებას აფასებენ დაბალ ფასებში, რადგანაც არ არსებობს კრიტერიუმები, რომლითაც მათთვის ღირებულების ობიექტურად შეფასება იქნებოდა შესაძლებელი. ამიტომ, მენარმეები მიმართავენ ალტერნატიულ გზას და ლიკვიდაციის ნაცვლად „დროებით შეჩერებულის“ სტატუსს ირჩევენ და ამით ზიანდება როგორც კრედიტორების, ისე მენარმეთა ინტერესიც. საერთო ჭრილში კი ასეთი ტიპის სანარმოები სტატისტიკურ მონაცემებში ხვდებიან, როგორც მოქმედი სანარმოები, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენს. ამიტომ, საქართველოს კანონში მენარმეთა შესახებ მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის - „სანარმოს ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 4 თვისა“, სასურველი იქნებოდა ამ ვადის გახანგრძლივება.

„Fraser Institute“-ს 2017 წლის მონაცემებით ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით საქართველო 159 ქვეყნიდან მეათე ადგილზე იმყოფება, რაც უდავოდ ქვეყანაში არსებული ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს დამსახურებაა, რომელიც განპირობებულია საქართველოში მოქმედი სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანი მუშაობით და მენარმეობისათვის ხელის შეშეშობი საკანონმდებლო ბაზის არსებობით. მიუხედავად ასეთი შეფასებებისა, ბიზნეს გარემო საქართველოში იდეალურისგან ძალიან შორსაა. ქვეყანა საბოლოოდ ვერ განთავისუფლდა ე.წ. არაფორმალური ინსტიტუტების ზეგავლენისაგან. ინსტიტუტების განვითარება არ ხდება სინქრონულად, ერთი კურსით და მიზანმიმართულად.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოში ბევრი წარმატებული ეკონომიკური რეფორმა განხორციელდა, ჯერ კიდევ ბევრი არის გასაკეთებელი საკუთრების დაცვის კუთხით. ქვეყანაში ძალიან დაბალია სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობა, რასაც ადასტურებს საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები და დასკვნები. იმისათვის, რომ გატარებული რეფორმები იყოს წარმატებული, საჭიროა თანმიმდევრული, გააზრებული, წინასწარ დაგეგმილი და მომზადებული, გრძელვადიან ეფექტზე გათვლილი რეფორმების გატარება და ისეთი ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს საკუთრების უფლების უკეთ დაცვას, ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას და მენარმეობისთვის მაქსიმალურ ხელშეწყობას, რაც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ;
3. ა. სმიტი გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თსუ გამოცემა 1938წ.
4. დ. კვარაცხელია, საქართველოში ეკონომიკური ზრდის თავისებურებანი. ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი, #2, გვ.160-167; 2014წ.
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი <http://www.economy.ge/>
6. <http://www.economicportal.ru/ponyatiya-all/teoriya-prav-sobstvennosti.html>;
7. <http://www.aup.ru/books/m63/>; Ермишин П. Основы экономической теории (курс лекций);
8. <http://business.org.ge/reitingi-fraser-institute-ekonomikuriv-tavisuflebis-indeqsi-2017-wlis-reporti/>;

9. Жак Ле Гоффж Цивилизация средневекового Запада. М.: Прогресс-Академия, 1992.
10. Розмаинский И.В. Институционализм. // Журнал институциональных исследований. Том 2, № 4, 2010.
11. <http://business.org.ge/>

REFERENCES:

1. Constitution of Georgia;
2. Entrepreneurs Law of Georgia;
3. A. Smith „An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations“
4. D. Kvaratdkhelia „Peculiarities of Economic Growth in Georgia 2013“, Journal Business Engineering, # 2, p.160-167;
5. <http://www.economy.ge/>;
6. <http://www.economicportal.ru/ponyatiya-all/teoriya-prav-sobstvennosti.html>;
7. <http://www.aup.ru/books/m63/>; P. Ermishin, „Fundamentals of economic theory (lecture course)“;
8. <http://business.org.ge/reitingi-fraser-institute-ekonomikuri-tavisuflebis-indeqsi-2017-wlis-reporti/>;
9. Jacques Le Goff „Civilization of the Medieval West“; М .: Progress Academy, 1992;
10. Rozmainsky I.V. “Institutionalism“. // Journal of institutional research. Vol. 2, No. 4, 2010.
11. <http://business.org.ge/>

INSTITUTIONAL ANALYSIS OF THE ENTREPRENEURIAL AND PROPERTY RELATIONS DEVELOPMENT

Shorena Khalvashi

Doctoral student of
Georgian Technical University

RESUME

In the modern world, economic democracy is becoming increasingly important in determining the economic role of the state, which implies the development of an optimal variant of state participation in the functioning of the economy. Nowadays, the main guarantee of private property are the laws adopted by the state and the protection of the institutions in the country. The dispute and the debate about whether or not to intervene in state market relations is continually going on. However, it should be noted, that the economy, which is called “laissez-faire”, does not exist in nature without the intervention of the state. The question here is how the state can regulate market relations so that the interests of all parties (state, entrepreneurs, and consumers) should be maximally envisaged. This article deals with the development and analysis of property and entrepreneurial relations in the institutional theory; also, with the forms of institutional regulation of ownership protection and entrepreneurial activity in Georgia.

Key words: Property rights, entrepreneurship, economic relations, the market economy, state, Property relations, the business environment.



**ეკონომიკური ორგანიზაციის სტრატეგიული
ფინანსური განვითარების პრიორიტეტული
მიმართულებები**

ზურაბ ლიპარტია,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

სტატიის მთავარი მიზანია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური ორგანიზაციის სტრატეგიული ფინანსური განვითარების დომინირებული სფეროების გამოვლენა, სუბიექტის ფინანსური სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებზე აქცენტის გაკეთება, ბიზნესგარემოს ცვლილებებთან მიმართებაში სრულყოფილი სისტემის სამენარმეო პრაქტიკაში დამკვიდრება, რომელიც კვლევის მთავარი მიზნობრივი ფუნქციის – კორპორაციის საბაზრო ღირებულების ზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული მართვის კონცეფცია, დროის მენეჯმენტი, მართვა, ორგანიზაცია, ეფექტურობა, ფინანსური სტრატეგია, ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმები, ინტეგრაციული ფაქტორები, მცირე ბიზნესი, სტრატეგიული განვითარების ვარიანტის შერჩევის „6 ოქროს წესი“.

შესავალი

ეკონომიკური ორგანიზაციის სტრატეგიული ფინანსური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა თანამედროვე ეტაპზე ეფუძნება მართვის ახალი კონცეფციის – სტრატეგიული მართვის მეთოდოლოგიურ პრინციპებს, რომ-

ლებიც აქტიურად იქნა დანერგილი გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან აშშ-სა და ევროპის უმეტესი ქვეყნების კორპორაციულ მენეჯმენტში. ეკონომიკური სუბიექტების განვითარების ფინანსური სტრატეგია ფუნქციონალური სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობაა, რომელიც სუბიექტის ეფექტურ სამენარმეო საქმიანობასა და ფინანსური ურთიერთობების სრულყოფას უზრუნველყოფს. კერძოდ, ძირითადი მიმართულებების გრძელვადიანი ფინანსური მიზნების ფორმირების, მათი მიღწევის შედარებით ეფექტიანი გზების შერჩევის, ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების მიმართულებების ბიზნესგარემოს ცვლილებებთან მიმართებაში ადეკვატური კორექტირების გზით სტრატეგიული მენეჯმენტის მექანიზმების სრულყოფას განაპირობებს.

თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკური ორგანიზაციის განვითარების მართვის სისტემის სრულყოფა დიდ სირთულეებს უკავშირდება. სტრატეგიული არჩევანის გაკეთება და მართვის სტილის შეცვლა კორპორაციის საქმიანობის მმართველობით პროცესში შესაძლებელია თუ დავიცავთ მაღალგანვითარებული ქვეყნების სამენარმეო პრაქტიკაში აპრობირებულ მეთოდებს.


შესაბამისად, ეკონომიკის მიკროდონეზე სტრატეგიული მენეჯმენტის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფილი სისტემის ფორმირება და ეკონომიკური სუბიექტების (მენარმეების) პრაქტიკულ საქმიანობაში ბიზნეს-გეგმის ინსტრუმენტის დამკვიდრება, მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყანაში თავისუფალი მენარმეობის, საბაზრო ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას, განამტკიცებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის საძირკველს, მყარად და მაღალი ტემპებით განვითარებადი ეკონომიკის სახით.

ძირითადი ნაწილი

სტრატეგიული დაგეგმვა კორპორაციის მართვის სისტემაში როგორც განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა მოწმობს, სტრატეგიული მართვის პროცესებში, 1980-იანი წლებიდან და-

ინყო კორპორაციული დაგეგმვის პროცესების დომინირება. რომელიც ძირითადად მსხვილი კომპანიების ხარჯზე. ამ მოდელების და მეთოდების უმეტესობა სწორედ იმ პერიოდში შეიქმნა. თუმცა, ბევრი მოდელი არ პასუხობდა იმ სტრატეგიულ პრობლემებს, რომლებსაც აწყდებოდნენ ყველანაირი ფორმისა და ზომის ორგანიზაციები.

სიტუაციური მიდგომის თეორიისა და მართვის სისტემის ორგანიზაციის პრაქტიკიდან გამომდინარე მენეჯერების მიერ ორგანიზაციული სტრუქტურის ტიპის თუ ორგანიზების მეთოდის შერჩევას განაპირობებს შემდეგი **ფაქტორების** არსებობა, როგორცაა: ორგანიზაციული გარემო; ორგანიზაციის სტრატეგიის ტიპი; ორგანიზაციის მიერ გამოყენებული ტექნოლოგია; ორგანიზაციის ადამიანური რესურსების თავისებურებანი (იხ. ნახ. 1).



ნახ. 1. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ორგანიზაციულ სტრუქტურაზე.

თანამედროვე ეტაპზე, უმეტესწილად მრავალი კომპანია საერთაშორისო მასშტაბით ეწევა საქმიანობას. სახელმწიფო სტრუქტურებსაც კი, რომლებზეც ტრადიციულად თითქოს გავლენას არ ახდენდა საერთაშორისო ფაქტორები, მოუწევთ ახალ კონკურენციის მეთოდებთან **ადაპტირება**. გარდა ამისა, კორპორაციული დაგეგმვის „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომა, რომელსაც მსხვილი ორგანიზაციები იყენებენ, გზას დაუთმობს

ისეთ სტრატეგიულ მიზნებს, საჭიროების შემთხვევაში, რომელიც ზუსტად შესაფერისი იქნება ბიზნესის კონკრეტული დონის და, მაშასადამე, იმ კონკურენციული პირობებისა და სხვა ფაქტორების, რომელიც ორგანიზაციასა და მის ბიზნესზე ახდენს გავლენას.

კვლევები უჩვენებს, რომ **იაპონელი კომპანს** შეფასებით, [1] გლობალიზაციის მეთოდოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე, აუცილებელია განვითარების

ეკონომიკურ სტრატეგიაში **ინტეგრაციული ფაქტორების** გათვალისწინება, კერძოდ:

1. საჭირო და აუცილებელია გლობალიზაციის სწორი გაგება და მის მიმართ განზონასწორებული და გონიერი დამოკიდებულება;

2. გლობალიზაცია რეგიონის ქვეყნებს (მათ შორის საქართველოს) უქმნის შესაძლებლობას, მოახდინოს თავიანთი ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიის ადაპტირება გლობალიზაციის დინამიკასთან მიმართებაში, თავიანთი ეკონომიკის სტრატეგია შეუხამონ ევროპული და აზიური რეგიონალიზმის განვითარებას, აგრეთვე, ყველა დონის ინტეგრაციულ პროცესებს რეგიონულს, სუბრეგიონულს, ორმხრივს;

3. გლობალიზაციისადმი, როგორც მიზნისადმი მიდგომა, რომელსაც თავის თავის წინაშე აყენებენ მსოფლიოს ლიდერი ქვეყნები, საშუალებას იძლევა გლობალიზაციის პროცესი წარმართოს მდიდრებისა და ღარიბების ინტერესების შეხვედრისაკენ, მათ შორის მდიდრების სტრატეგიულ ინტერესებში გათვალისწინებისაკენ.

4. გლობალიზაციის პირობებში ეროვნული საქონელ-წარმოების დაცვის პრობლემის გათვალისწინება, რომელიც საჭიროებს ძალიან ანონილ-დანონილ მიდგომას;

5. შეფასდეს თუ როგორ იქნეს გამოყენებული სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტერესების სასარგებლოდ დასავლეთ ევროპის გაერთიანებასთან და აზიის რეგიონთან მრავალმხრივი ურთიერთობის შესაძლებლობები;


6. გასათვალისწინებელია, ასევე თუ როგორ იქნება გამოყენებული დასავლეთ ევროპისა და აზიის ინტეგრაციისა და თანა-

მშრომლობის შესაძლებლობები საქართველოსა და მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის უსაფრთხო-ებისა და იმ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, რაც დაკავშირებულია მსოფლიო საფინანსო რყევების წარმოქმნასთან, ელექტრონული ვაჭრობის გავრცელებასთან, ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და აზიაში ინვესტიციებთან;

7. ინტერნაციონალური ძალისხმევით როგორ გამოვაცოცხლოთ საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი და როგორ გამოვიყენოთ ის გლობალური

და რეგიონული ცოდნის კონტექსტში.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ **ნოდარ ჭითანავას** შეფასებით, საქართველოში საბაზრო ურთიერთობების წარმატებით დამკვიდრებისათვის აუცილებელია **რეგიონული** რესურსული, ტექნოლოგიური, სოციალური, საკანონმდებლო და სხვა **პრიორიტეტების გამოვლენა** [2].



ნახ. 2 რეგიონის სტრატეგიული განვითარების კონცეფციალური ბლოკ-სქემა.

რეგიონების განვითარების სოციალურ - ეკონომიკური ანალიზისა და თანამედროვე მდგომარეობის შეფასების როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივი თვალსაზრისით მიმართული უნდა იყოს შემდეგი სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაზე, კერძოდ: 1) რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მდგომარეობის ანალიზი-შეფასება; 2) რეგიონის ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, საწარმოო ინფრასტრუქტურა) შეფასება; 3) რეგიონის ძირითადი სამეურნეო დარგების ჭრილში შრომითი რესურსების გამოყენების შეფასება და უმუშევრობის სპეციფიკური თავისებურებების გამოვლენა; 4) მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასება; 5) რეგიონის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი; 6) რეგიონების რეგიონთაშორისი და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი; 7) წარმოების საექსპორტო რეზერვის გამოვლენა (იხ ნახ. 2 – რეგიონის სტრატეგიული განვითარების კონცეფციული ბლოკ-სქემა).

პრაქტიკის ანალიზი უჩვენებს, რომ რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოვლენა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივი ფინანსურ ურთიერთობათა მართვასა და რეგულირებაზე, სახელმწიფოსა და რეგიონალური ინტერესების ოპტიმალურ შეთანწყობაზე, მოსახლეობის ცალკეულ ფენებს შორის, მათი დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლებაზე, მაღალშემოსავლიანი ინვესტიციების სტიმულირების მექანიზმების შემუშავებასა და რეალიზაციაზე, სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე და სხვ.

შრომითი პროცესების დასაგეგმად და ეფექტურად განსახორციელებლად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი არის **დრო**, რომელიც ისეთივე მნიშვნელობის მქონეა, როგორც მაგალითად: მატერიალური რესურსი, ინფორმაცია, ტექნიკა, პერსონალი. სამუშაო დროის არაეფექტურმა მართვამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი, ვინაიდან ადამიანის შრომითი ენერჯის არარაციონალურმა გამოყენებამ შეიძლება მინიმუმამდე შეამციროს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობა. ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელიც

სათანადოდ ვერ აფასებს დროის ფაქტორს და არ შეუძლია მისი (დროის) ეფექტური მართვა, ვფიქრობთ, ფაქტობრივად განწირულია წარუმატებლობისთვის. ორგანიზაციის უმაღლესი რგოლის მენეჯერი ახდენს არამხოლოდ საკუთარი, არამედ დაქვემდებარებული თანამშრომლების სამუშაო რეჟიმის დაგეგმვას. ამიტომ მან, უპირველეს ყოვლისა, ზუსტად უნდა იცოდეს, თუ როგორ იხარჯება დაქვემდებარებულთა სამუშაო დრო [3].

თვალსაჩინო საერთაშორისო რანგის მეცნიერ-მკვლევარის, პროფესორ გენადი იაშვილის შემოთავაზებით, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად **პრიორიტეტული** მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მცირე ბიზნესის დარგობრივ და რეგიონულ განვითარების, საინოვაციო სამრეწველო პოლიტიკას, კერძო სექტორის ხვედრითი წილის ცვლილებას ინვესტიციებში, რეგიონებში ინვესტიციურ-სამშენებლო აქტივების ამალვას, რაც გულისხმობს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა პროცესების დარეგულირებისათვის კლიმატის შექმნისა და თავის მხრივ, განსაზღვრავს ინვესტიციების მიზანშეწონილობას მოცემულ ტერიტორიებზე. [4]

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მცირე ბიზნესის ფორმირებისა და განვითარებისათვის გატარებული ღონისძიებების დონე დღეისათვის მაინც დაბალია, ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში 10%-ს არ აღემატება, მცირე ბიზნესის როგორც დარგობრივი, ისე რეგიონული სტრუქტურა არაპროგრესულია. სახელმწიფოს მხრიდან მისი განვითარებისადმი მხარდაჭერის გარეშე ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს განვითარების სასურველი დონის მიღწევა შეუძლებელია.

ქვეყანის რეგიონებში მცირე ბიზნესის განვითარების **პრიორიტეტულ მიმართულებად** გვევლინება: მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის ფორმირება მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით, რომელმაც უნდა მოიცვას: ა) რეგულირების საკანონმდებლო და ნორმატიული უზრუნველყოფა; ბ) რეგულირების ინდიკატორთა და ღონისძიებათა სისტემა; გ) რეგუ-

ლირების ინსტრუმენტები და მეთოდები; დ) მცირე ბიზნესის მხარდაჭერი მაკროეკონომიკური ინფრასტრუქტურა; ე) მცირე ბიზნესში სახელმწიფო მენარმეობა, პრივატიზება ნაციონალ-იზაცია; ვ) მცირე ბიზნესისადმი საერთაშორისო დახმარების რეგულირება; ზ) მცირე ბიზნესის უსაფრთხოება რისკების გათვალისწინებით; თ) მცირე ბიზნესის განვითარებაზე რეგულირების კონტროლი. შესაბამისად, საქართველოში რეგიონულ ტერიტორიაში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ფინანსური რესურსების მიზნობრივი პროგრამების, საინვესტიციო პროექტებისა და ღონისძიებების განსახორციელებლად სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება მცირე ბიზნესის განვითარების ერთიანი ეროვნული ფონდის დაწესებას.

კვლევები მოწმობს, რომ **ბოსტონის უნივერსიტეტის** ფინანსების პროფესორ **ზვი ბოდის და მერტონ რობერტის-ჰარვარდის უნივერსიტეტის** პროფესორი, ეკონომიკის ნობელის ლაურეატის **სტრატეგიული მართვის კონცეფცია** ასახავს კორპორაციის ზუსტ სტრატეგიულ პოზიციონირებას. [5]

ეკონომიკური ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების შემუშავების საფუძველია ახალი **მმართველობითი პარადიგმის** - სტრატეგიული მართვის სისტემის შემდეგი **პრინციპები** (როგორც საოჯახო მეურნეობების, ასევე ფირმებისთვის) როგორცაა: კორპორაციის განხილვა, როგორც თვითორგანიზირებადი უნარის მქონე ღია სისტემად; კორპორაციის ოპერაციული საქმიანობის საბაზრო სტრატეგიის გათვალისწინება; ფინანსური საქმიანობის სტრატეგიული მართვის სამენარმეო სტილზე უპირატესი ორიენტაცია; სტრატეგიული ფინანსური განვითარების დომინირებული სფეროების გამოყოფა; ფინანსური სტრატეგიის მოქნილობის უზრუნველყოფა; სტრატეგიული ფინანსური არჩევანის ალტერნატიულობის უზრუნველყოფა; ტექნოლოგიური პროგრესის შედეგების განუწყვეტელი გამოყენების უზრუნველყოფა ფინანსურ საქმიანობაში; ფინანსური რისკის დონის გათვალისწინება სტრატეგიული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; ორიენტაცია ფინანსური მენეჯერების პროფესიონალურ აპარატზე ფინანსური

სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში; კორპორაციის შემუშავებული ფინანსური სტრატეგიის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისობის უზრუნველყოფა ფინანსური საქმიანობის მართვასთან და ორგანიზაციულ კულტურასთან.

კვლევები მონიშნავენ, რომ ბიზნესის სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის პროცესი მოიცავს: ბიზნეს-გეგმის ფორმირების კონცეფციის ფორმულირებას; საბაზრო სიტუაციის სტრატეგიულ ანალიზსა და მარკეტინგულ, პროდუქტიულ, ტექნოლოგიურ, მენეჯმენტისა და ფინანსური სტრატეგიების შემუშავებას; ბიზნეს-გეგმის ექსპერტიზას; პოტენციური პარტნიორების შენიშვნების გათვალისწინებასა და დამტკიცებას; საწარმოო პროგრამებისა და სამუშაოების განხორციელებაზე მონიტორინგის დანერგებას.

დასკვნა. მიკროეკონომიკურ დონეზე ჩატარებული კვლევის შედეგებიდან იკვეთება, რომ ბუნებრივია, სტრატეგიული დაგეგმვა უნდა წარმართოს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით დარგის (კორპორაციის) სტრატეგიულ განვითარებას, **რომელიც მოიცავს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს, როგორცაა:**

1. დარგის (კორპორაციის) როლის გამოვლენა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში და მისი ძირითადი სტრატეგიული მიზან-ამოცანების განსაზღვრა;

2. კორპორაციის მოსალოდნელი ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი ქვედანაყოფების (განყოფილებების) მითითებით განსაზღვრა;

3. საბაზრო მოთხოვნების განჭვრეტა, გაყიდვების მოცულობათა პროგნოზირებისა და გასაღების პროგრამების შედგენა მოსალოდნელი შემოსავლებისა და მარკეტინგზე დანახარჯების განსაზღვრით;

4. საწარმოო პროგრამის (პროგნოზის) შემუშავება საწარმოო სიმძლავრეების ოპტიმალურად გამოყენების გათვალისწინებით;

5. წარმოების ფაქტორების (მატერიალური, შრომითი) მოთხოვნათა განსაზღვრა მიმდინარე და მომავალ პერიოდებში მიწოდების უზრუნველსაყოფად;

6. მომავალში ნავარაუდები ტექნოლოგიებისა და პროცესების გამოყენების განჭვრეტა ინოვაციური დანახარჯების შეფასებით;

7. ფინანსური პროგრამის ფორმირება, რომელშიც აისახება მოთხოვნა აქტივებზე, საინოვაციო დანახარჯებზე, საწარმოს საქმიანობის ფინანსური (მოგების ნორმის) მაჩვენებლების შეფასება. შესაბამისად, ბიზნესის დაგეგმვის პროცესში ერთერთ რთულ კვანძად საწარმოო პროგრამის ფორმირება განიხილება, რომელსაც განაპირობებს გარდამავალ პერიოდში ნედლეულ-მასალების გაძნელებული მოპოვება, ენერგომატარებლების შეფერხებული მიწოდება და მათზე ფასების

მკვეთრი ზრდა, კრიზისული და კონფლიქტური სიტუაციები.

კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, კონკრეტული სუბიექტის სამენარმეო (ბიზნეს საქმიანობის) ეფექტურობის ასამაღლებლად, სტრატეგიული ვარიანტის შერჩევა დიდ სირთულეებს უკავშირდება, მაგრამ კორპორაციული მმართველობითი პროცესების სრულყოფა წარმატებით არის შესაძლებელი, თუ იქნება მენეჯერების მიერ გამოყენებული საზღვარგარეთის ბიზნეს-პრაქტიკაში კარგად აპრობირებული-„ ნოქროს წესი“. კერძოდ: 1) გაარკვიეთ, რისი მიღწევა გსურთ და რატომ? 2) გაითვალისწინეთ წარმატების მიღწევის რვა აუცილებელი ფაქტორი; 3) ეფექტიანად დაგეგმეთ და ეფექტიანად მართეთ მათი დაგეგმვის პროცესები; 4) როგორ შეუწყობს ხელს ორგანიზაცია პროექტის პრაქტიკაში განხორციელებას?; 5) ნათლად წარმოიდგინეთ, რის შეცვლა არის საჭირო და ცვლილების განსახორციელებლად გამოიყენეთ შესაფერისი მოქმედების სტილი ნოქროს წესი; 6) ორგანიზაციამ უნდა შეისწავლოს, რატომ ეწინააღმდეგებიან ცვლილებებს და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

ლიტერატურა:

1. ომაე კ. „მსოფლიო საზღვრების გარეშე“. 1990 (გვ 41.)
2. ჭითანავა ნ. „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები“. თბილისი. ივერიონი. 2012 წ.
3. ლიპარტია ზ., შერაზაძევილი ბ., სამეცნიერო სტატია – „დროის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები“. მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის – „განვითარების ეკონომიკა და ინოვაციები: გამოწვევები, გადაწყვეტის გზები“. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი 29—30 სექტემბერი 2017. გვ 86-87.
4. იაშვილი გ, სტატია „სტატეგიული დაგეგმვის თეორიული საფუძვლები მცირე ბიზნესში“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო“. მასალები. თბილისი. გამომცემლობა „ევროპული უნივერსიტეტი“, 2011. 387-391 გვ.
5. ზვი ბოდი – ფინანსები. - გამომცემლობა “ Williams “ 2013. - 592 გვ.

REFERENCES:

1. Ohmae K., The Borderless World 1990. — (41).
2. Chitanava N – “Metamorphosis and Perspectives of Georgian Economy”. Tbilisi. Iverion. 2012.
3. Lipartia Zurab, Sherazadishvili Besik – „Main Principles of Time-Management“. Sokhumi State University Faculty of Economics and Business Research Institute of Economics and Management Development Economics and Innovation: Challenges and Solutions of 4th International Scientific and Practical Conference. Tbilisi. 29-30 September 2017. P. 86-87.
4. Iashvili G, article “Theoretical Basis of Platonic Planning in Small Business”. International Scientific Conference - “World Economic Crisis and Georgia” - Materials. Tbilisi. Publishing House “European University”, 2011. 387-391 p
5. Zvi Body, Merton Robert. Finances: Trans. with Eng Uch. pos. - Publishing House “Williams” 2013. - 592p.

**PRIORITY DIRECTIONS OF STRATEGIC FINANCIAL
DEVELOPMENT OF THE ECONOMIC ORGANIZATION**

Zurab Lipartia,

Doctor of Economic Sciences,
Professor of Sokhumi State University

RESUME

The main goal of the transition countries in the Organization for Economic Development is to disclose the strategic financial dominated areas, to focus on the priority directions of strategic financial development of the subject. Furthermore, it is important to establish a comprehensive system of business practice with regard of business changes, which fulfills its main target function - the growth of market value of the corporation in the long term.

Key words: Strategic Management Concept, Time Management, Management, Organization, Efficiency, Financial Strategy, Organizational-Economic Mechanisms, Integrative Factors, Small Business, "6 Golden Rule" for selection of Strategic development version.

ბაცვლითი კურსზე მოქმედი ფაქტორები

სალომე სულაბერიძე

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ეროვნული ვალუტის კურსის რყევაზე მოქმედი ფაქტორები და მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზები, ასევე მისი უარყოფითი შედეგები, რაც პრობლემას უქმნის ქვეყნის ეკონომიკას. ახსნილია მცურავი სავალუტო რეჟიმის მნიშვნელობა საქართველოსათვის.

გაანალიზებულია, რომ ლარის მკვეთრად გამყარება ან მკვეთრად გაუფასურება, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისათვის უფრო მეტად უარყოფითი შედეგების მომტანია ვიდრე დადებითის. შესაბამისად, მონეტარულმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ კურსი სტაბილურ ნიშნულზე შენარჩუნდეს. დასახულია პრობლემის გადაჭრის გზები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული ვალუტა; ვალუტის კურსი; ექსპორტი; იმპორტი; ვალუტის გაუფასურება; ბიუჯეტი.

ძირითადი ტექსტი

ბოლო პერიოდში, დოლარის საგრძნობმა გამყარებამ და საქართველოს პარტნიორ სახელმწიფოების ვალუტების გაუფასურებამ აჩვენა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მოქნილი და ეფექტიანი სავალუტო პოლიტიკის განხორციელებას.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სავალუტო რყევებზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა და მისი რეგულირება.

ამ ფაქტორებს შორის, უნინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ **სავაჭრო ბალანსის** მდგომარეობა. თუ ექსპორტი სჭარბობს იმპორტს, ქვეყანაში მეტი უცხოური ვალუტა შემოდის, ვიდრე გადის. ამ შემთხვევაში, შიდა სავალუტო ბაზარზე მიწოდება მეტია მოთხოვნაზე და ეროვნული ვალუტის კურსი იზ-

რდება. თუ იმპორტი სჭარბობს ექსპორტს, უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა მეტია მიწოდებაზე და ეროვნული ვალუტის კურსი ეცემა. ჩვენი ეროვნული ვალუტის - ლარის სტაბილურობას ყოველთვის დიდ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს სავაჭრო ბალანსის დიდი დეფიციტი, რომლის ზრდა არაერთხელ ყოფილა მისი მკვეთრი გაუფასურების მიზეზი.

არსებობს გაცვლით კურსზე სავაჭრო ბალანსის გავლენის შემამსუბუქებელი გარემოებები, რომელთა რიცხვს განეკუთვნება **პირდაპირი უცხოური ინვესტიციები**. როდესაც ქვეყანა მიმზიდველია უცხოელ ინვესტორისათვის, ისინი იქ მეტ ფულს აბანდებენ, თანაც გრძელვადიან საინვესტიციო პროექტებში. რამდენადაც მათ თავიანთი პროექტების განსახორციელებლად ადგილობრივი ვალუტა ესაჭიროებათ, იზრდება მოთხოვნა ამ უკანასკნელზე (შესაბამისად, ბაზარს მეტი უცხოური ვალუტა მიეწოდება), რასაც ეროვნული ვალუტის კურსის გამყარება მოჰყვება. მაგალითად, ინვესტიციების ზრდას საქართველოში 2004-2007 წლებში ლარის მკვეთრი გამყარება მოჰყვა. პირიქით, კი, როდესაც ინვესტორები ტოვებენ ქვეყანას, იზრდება მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე ადგილობრივი ვალუტის საზიანოდ. ამის მაგალითია, ინვესტიციების გატანა რუსეთიდან 2014-2015 წლებში, რამაც ამ ქვეყნის ეროვნული ვალუტის - რუბლის მკვეთრ დევალვაციას შეუწყო ხელი.

გაცვლით კურსზე სავაჭრო ბალანსის არასასურველ ზემოქმედებას ნაწილობრივ ანეიტრალებს აგრეთვე **ფულადი გზავნილები**. საერთაშორისო ფულადი გზავნილები განვითარებად ქვეყნებში უცხოური ვალუტის შედინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ამ ქვეყნებში უცხოეთიდან განხორციელებულ ფულად ჩარიცხვებს დიდი გავლენა აქვს დაბალმემოსავლიანი მოქალაქეების კეთილდღეობასა და ყიდვითუნარიანობაზე, ბიზნეს სექტორისა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.¹

¹ ანგურიძე ო. დოლონაძე ე. ჭარაია ვ. „საქართველოს ეროვნული ვალუტის უსაფრთხოების პრობლემა და თანამედროვე გამოწვევები“, 2015. 12 გვ.

აღსანიშნავია, რომ ფულადი გზავნილების ნაკადები უფრო სტაბილურია ვიდრე საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობა, რომელიც, თავის მხრივ, გარე და შიდა შოკებისადმი მაღალი მგრძობილობით ხასიათდება. უფრო მეტიც, მიმდებ ქვეყანაში არსებული კრიზისის დროს, ხშირ შემთხვევაში, ფულადი გზავნილების ნაკადები ზრდას განიცდიან და დადებითი ეკონომიკური ციკლის სანინალმდეგოდ მოქმედებენ. უმეტესი განვითარებადი ქვეყნებისთვის საერთაშორისო ფულადი ჩარიცხვები უცხოური ვალუტის მიღების და იმპორტის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა.

ბოლო პერიოდში, ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიზეზს, სავაჭრო ბალანსის დეფიციტთან ერთად, ფულადი გზავნილების კლებაც წარმოადგენდა, რაც საზღვარგარეთ (მათ შორის რუსეთში, საბერძნეთში, უკრაინაში, თურქეთში და სხვა) განვითარებულმა კრიზისულმა მოვლენებმა განაპირობა.

ვალუტის კურსზე უმარავი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის სეზონური მხოლოდ ტურიზმია. ვიზიტორები საქართველოში მოგზაურობის გადაწყვეტილების მიღების დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსალოდნელ დანახარჯებს დოლარში, რაც გამყარებული დოლარის პირობებში შემცირებულია. აღნიშნული ფაქტორი მასტიმულირებელია მათთვის და შესაბამისად იწვევს ვიზიტორთა რაოდენობის ზრდას. მეტი საერთაშორისო მოგზაური ნიშნავს მეტი უცხოური ვალუტის შემოდინებას ქვეყანაში, რაც დადებითად აისახება ქვეყნის შემოსავლებზე, განაპირობებს ეროვნული ვალუტის გამყარებას.

ვალუტა უფასურდება, როდესაც მთავრობა **დეფიციტურ ხარჯვას** ახორციელებს და ფულს სესხულობს.

რამდენად რელევანტურია ეს არგუმენტი ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების ასახსნელად? ამ კითხვაზე პასუხი გადის იმ მექანიზმის ახსნაზე, რომლის გავლითაც დეფიციტური ხარჯვა კურსს აუფასურებს, ეს კი ინფლაციაა. ანუ, როდესაც მთავრობა დეფიციტურ ხარჯვას ეწევა, ის ამ ფულს სესხულობს და ეკონომიკაში ფულის მასას ზრდის, რასაც მოყვება ინფლაცია, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს გაუფასურებას.

საქართველოს შეთხვევაში ბოლო წლების განმავლობაში, გარდა ინფლაციური არხისა, დეფიციტურ ხარჯვას სხვა კუთხითაც შეუძლია იმოქმედოს ვალუტის გაუფასურებაზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც მთავრობის ვალი იზრდება, რაც ამცირებს ინვესტორების ნდობას, ვინაიდან არსებობს მოლოდინი, რომ მომავალში ვალის მომსახურებისთვის საჭირო იქნება გადასახადების ზრდა; ასევე, ვალის მომსახურებისთვის საჭირო იქნება მეტი ვალუტა. ბაზრის მოთამაშეების ასეთი პესიმიზმის გამო ვალუტის გაუფასურება მოსალოდნელია. უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე პერიოდში მთავრობის ვალი ზრდას განაგრძობს.

რაც შეეხება **ეროვნული ბანკის პოლიტიკას**, აქ ორი მოსაზრებაა: პირველი არის ის, რომ ეროვნულ ბანკს შეუძლია გამოიყენოს რეზერვები გაუფასურების შესაჩერებლად, ხოლო მეორე - ის, რომ ეროვნულმა ბანკმა არ შეამცირა ლარის მასა ეკონომიკაში, რაც გაუფასურებას დაეხმარა. რეზერვების გამოყენებით შესაძლებელია ვალუტაზე პანიკური შეტევების მომენტიში რეაგირება და გაუფასურების დინამიკიდან (ტრენდიდან) გადახრების დაკორექტირება, რასაც ეროვნული ბანკი პერიოდულად აკეთებდა.

ამავე დროს, გაცვლითი კურსის შენარჩუნება მოითხოვს რეზერვების ხარჯვას ეროვნული ბანკიდან, რაც ამცირებს ლარის მასას ეკონომიკაში (როდესაც ეროვნული ბანკი დოლარს ყიდის, მას ლარი ამოაქვს ეკონომიკიდან), მაგრამ ლარის მასის შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს საპროცენტო განაკვეთების აწევა და დეფლაციური პროცესი, რაც, თავი მხრივ, დააზარალებს ეკონომიკას. აქედან გამომდინარე, მონოდებები ეროვნული ბანკისადმი ე.წ. არა სტერილური ინტერვენციების განხორციელების შესახებ (ანუ, როდესაც ეროვნული ბანკი დოლარის გაყიდვით ამოიღებს ლარს, თუმცა აღარ მოახდენს ეკონომიკაში ამავე მოცულობის ლარის მიწოდებას) ეკონომიკური ზრდის შეფერხების წინაპირობაა. შესაბამისად, როდესაც ეროვნული ბანკი არ ამცირებს ლარის მასას ეკონომიკაში დოლარის გაყიდვის პარალელურად, ეს ხორციელდება იმიტომ,

რომ საპროცენტო განაკვეთები არ გაიზარდოს, რაც უარყოფითად იმოქმედებდა ეკონომიკურ ზრდაზე, რომელიც მიმდინარე პერიოდში დაბალ ნიშნულზეა. აქედან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს ინტერვენციებით შეეძლო მხოლოდ მყისიერი რყევების შერბილება და არა გაუფასურების ტრენდის შეცვლა.

ლარის კურსის ცვლილებაზე ზემოქმედებს **სპეკულაციური შეტევაც**. ბაზრის აგენტები, რომლებიც სპეკულაციურ შეტევას ახორციელებენ, ასე იქცევიან თავიანთი მოლოდინების გამო.

შევაფასოთ მაგალითად ეს ლოგიკა 2016 წლის დეკემბერში მიმდინარე ლარის გაუფასურების მოვლენასთან მიმართებით, როდესაც მთავრობის წარმომადგენელმა ლარის გაუფასურება თურქული ლირას გაუფასურებით ახსნეს. ზოგიერთი სპეციალისტის მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს მხოლოდ გაუფასურების გადაბრალება იყო საგარეო ფაქტორებზე, ვინაიდან გაცვლით კურსზე მოქმედი არხის ამოქმედებას დრო სჭირდება და ასე მყისიერი ასახვა სხვა შიდა ფაქტორებით იყო გამოწვეული.

ეს პრინციპულად არასწორია, რადგან ბაზრის აგენტები ნებისმიერ დროს ეცდებიან გამოიყენონ თავიანთ ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია. თუ არსებობს მოლოდინი, რომ მომავალში ლარი გაუფასურდება, მაშინ რაციონალური აგენტი შეეცდება ამ შანსის რეალიზება დღესვე მოახდინოს და დღესვე დაიწყოს ლარის გაყიდვა და დოლარის შესყიდვა, რაც ლარს დღესვე გაუფასურებს (ეს იგივეა, მაგალითად, რომ მივიღოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დღეიდან ორ თვეში ბენზინი გაძვირდება და რაციონალური ქცევა იქნება დღესვე დავიწყოთ შესყიდვა, რაც დღესვე გააძვირებს მას და არა ორი თვის შემდეგ).

აქედან გამომდინარე, ბაზრის სპეკულიანტებზე გაუფასურების გადაბრალება არ არის მიზანშეწონილი. სპეკულიანტები ბაზარს უტევენ მაშინ, როდესაც სახეზეა ისეთი ცვლილებები ფუნდამენტურ ფაქტორებში, რომელთა რეალიზების შემთხვევაში ქვეყნის ცენტრალური ბანკი არ იქნება მოტივირებული დაიცვას კურსი.

სპეკულიანტთა მოქმედება იწვევს პროცესების მხოლოდ და

მხოლოდ დაჩქარებას და ადრე დაწყებას. საქართველო არ არის გამონაკლისი ამ კუთხით. 90-იან წლებში ლათინური ამერიკის ქვეყნების და სამხრეთ აზიის სავალუტო კრიზისები ამ სცენარით წარიმართა. მაშასადამე, ჩვენი ინტერესის საგანი ძირითადად უნდა იყოს ფუნდამენტურ ფაქტორებში მიმდინარე პროცესები.¹

გაცვლითი კურსის ფორმირების ერთ-ერთი ფაქტორია ეროვნული ფულის მასის დინამიკა (ზრდა ან შემცირება). თუ ქვეყნის ცენტრალური (ეროვნული) ბანკი ზრდის მიმოქცევაში ფულის მიწოდებას, დავუშვათ ქვეყნის საგარეო ვალის ზრდის გამო, ხოლო შიდა სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის შემოდინების მასშტაბი უცვლელია ან მცირდება, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი, ცხადია, დაეცემა და პირიქით.

ეროვნული ვალუტის მასის მკვეთრი ზრდაა, როდესაც ადგილობრივი წარმოების მოცულობა ნელა მატულობს ან საერთოდ არ იზრდება, ინვეს ინფლაციის (ფასების ზრდის) ტემპის მატებას. რაც უფრო მაღალია ინფლაცია მოცემულ ქვეყანაში სხვა ქვეყნებთან შედარებით, მით უფრო ნაკლებია ამ ქვეყნის ვალუტის ყიდვითუნარიანობა და შესაბამისად მისი გაცვლითი კურსი სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ.

გაცვლითი კურსის დონე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყანაში სავალუტო რეგულირებაზე, კერძოდ იმაზე თუ რამდენად ერევა ცენტრალური (ეროვნული) ბანკი კურს-წრმოქმნის პროცესში.

1997 წლიდან საქართველოში ამოქმედდა მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომლის პირობებში გაცვლითი კურსის განსაზღვრა ხდება საბაზრო ძალების მიხედვით - მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო როგორც თეორიული მოსაზრებები, ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილება, რომელმაც აჩვენა რომ ჩვენი ქვეყნის მსგავსი ნყობისთვის მცურავ გაცვლითი კურსის რეჟიმს უფრო მეტი უპირატესობა გააჩნია ვიდრე ფიქ-

1 „უცხოური ვალუტა და სავალუტო ბაზარი“, ინტერნეტიდან სტატია, <https://gfsis.org>

სირებულ რეჟიმს.

ქვეყნისთვის ფიქსირებული კურსის რეჟიმი ან საერთო ვალუტის შემოღება ოპტიმალური გამოსავალია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იძლევა მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტურობის მიღწევის საშუალებას. იმისათვის რომ ეს პირობა რეალურად განხორციელდეს, საჭიროა, რომ მონაწილე ქვეყნებს შორის არსებობდეს კაპიტალისა და შრომის რესურსების მობილურობა, რისკის გაზიარების პრინციპი და ერთნაირი ბიზნეს ციკლები. საქართველოსა და აშშ-ს შემთხვევაში კი ეს წინაპირობები არ არის და შესაბამისად არის საფუძველი იმისა, რომ ფიქსირებული კურსის რეჟიმი გახდეს ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ერთ-ერთი მიზეზი.

აშშ საქართველოს ერთ-ერთი მსხვილ სავაჭრო პარტნიორია, თუმცა ჩვენი ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ურთიერთობები ვრცელდება ბევრს სხვა ქვეყანაზე, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა ვალუტები და გაცვლითი კურსის რეჟიმები. შესაბამისად, ლარის კურსის დოლარზე მიბმა გამოიწვევს მის ფიქსირებას ერთი ვალუტის მიმართ და დარჩება ცვალებადი სხვა ვალუტების მიმართ. აქედან გამომდინარე ლარის კურსის დაფიქსირება პრაქტიკულად შეუძლებელია. 1990-იანი წლების ბოლოს აზიის კრიზისმა აჩვენა, რომ დოლარის კურსის გამყარებამ გამოიწვია მასზე მიბმული ვალუტების გამყარებაც სხვა ვალუტების მიმართ, რომლებიც არ იყვნენ დამოკიდებული დოლარზე. წამყვანი ვალუტის გამყარების შედეგად შემცირდა მასზე მიბმული ქვეყნების კონკურენტუნარიანობა სხვა ქვეყნებთან მიმართებაში და გამოიწვია ექსპორტის ვარდნა და იმპორტის მატება, რაც იწვევს სავაჭრო ბალანსის გაუარესებას. მსგავსმა პრობლემამ იჩინა თავი როგორც ბალტიისპირეთის, ასევე ლათინოამერიკის ზოგიერთ ქვეყნებშიც. ფიქსირებული გაცვლითი კურსის არსებობის პირობებში, მსგავსი რისკის წინაშე დადგება საქართველოც, როცა რეალური გაცვლითი კურსის გამყარება არ იქნება მხარდაჭერილი ქვეყანაში მიმდინარე ფაქტორებით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფიქსირებული გაცვლითი

კურსის პირობებში ფერხდება ეფექტიანი და დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა. მაგალითად, რეცესიული ეკონომიკის პირობებში, როდესაც საჭიროა ეკონომიკის ნახალისება და ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის გატარება, როგორც ეს საქართველოში მოხდა 2008-2009 წლებში, დოლარზე მიბმული კურსის არსებობა შეზღუდავდა ეროვნული ბანკისა თუ მთავრობის ღონისძიებების არეალს და შეამცირებდა მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელობას, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია ერთდროულად ორ აგრეგატზე - ფულის მიწოდებასა და გაცვლით კურსზე ზემოქმედება. გარდა ამისა, როცა საქართველო და აშშ იმყოფება ბიზნეს ციკლის სხვადასხვა ეტაპზე, მათი ეკონომიკებისთვის მიზანშეწონილია სხვადასხვა სახის მონეტარული პოლიტიკის გატარება. მაგალითად, თუ ამერიკაში არის რეცესია და ტარდება ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა, იგი ავნებს საქართველოს ეკონომიკას, როცა ის გაფართოების სტადიაზეა.

გარდა ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ფიქსირებული კურსის რეჟიმი ხელს უწყობს გარე (ეგ ზოგენური) ინფლაციის იმპორტირებას ქვეყანაში და კიდევ უფრო ამწვავებს ეგზოგენური ფაქტორებით გამოწვეულ კრიზისებს, მაშინ როდესაც მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი გარე შოკების შემწოვი ერთ-ერთი საშუალებაა და ავტომატური მასტაბილიზირებელის როლს თამაშობს. მაგალითად, 2010 წელს დაფიქსირებული ფასების მატება, რაც ძირითადად გარე მიწოდების ფაქტორებით იყო გამოწვეული, კიდევ უფრო გამწვავებოდა ფიქსირებული კურსის პირობებში. ეგზოგენური ფასების მატება იწვევს ქვეყნის იმპორტის შემცირებას, რაც ეროვნულ ვალუტას ამყარებს და ნაწილობრივ ანეიტრალებს იმპორტირებულ ინფლაციას.

ზემოთ განხილული ფაქტორებიდან გამომდინარე, ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი შეიძლება გახდეს ეკონომიკის ზრდის შემაფერხებელი ერთ-ერთი ფაქტორი და, შესაბამისად, არასასურველია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის.

გაცვლით კურსზე დიდ ზემოქმედებას ახდენს მოსახლე-

ობისა და მენარმეების მოლოდინი. მოლოდინები ვალუტის მოკლევადიან კურსთან მიმართებაში დიდ როლს თამაშობენ. როდესაც ლარის გაუფასურების ტენდენცია შეინიშნება, მოსახლეობა კიდევ უფრო დიდ გაუფასურებას ელის, წინასწარ ყიდულობს უცხოურ ვალუტას, როგორც წესი დოლარს, დოლარზე მოთხოვნის ხელოვნური ზრდა, ვალუტას კიდევ უფრო აძვირებს. ზუსტად იგივე ხდება საპირისპირო შემთხვევაში. ლარის გამყარების მოლოდინში, მოსახლეობა იშორებს დოლარს და მცირე დროით ლარი კიდევ უფრო მყარდება.

სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში სავალუტო რყევები გავლენას ახდენს ლარის სიმყარეზე. მაგალითად, ლარის კურსის ვარდნის გაღრმავებას 2015-2016 წლების მიჯნაზე დიდად შეუწყობ ხელი რუსეთში, თურქეთსა და აზერბაიჯანში განვითარებული მოვლენების ერთობ უარყოფითმა აღქმამ საქართველოში. მოგვიანებით, როდესაც აღნიშნულ ქვეყნებში მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, მათ შორის ნავთობის მსოფლიო ფასების ზრდის ფონზე, ეს უარყოფითი მოლოდინი მნიშვნელოვნად გაქარწყლდა, რამაც ხელი შეუწყო ლარის გამყარების ტენდენციას.

ლარის მკვეთრად გამყარება ან მკვეთრად გაუფასურება, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისათვის უფრო მეტად უარყოფითი შედეგების მომტანია ვიდრე დადებითი. შესაბამისად, მონეტარულმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ კურსი სტაბილურ ნიშნულზე შენარჩუნდეს.

ზოგადად გაცვლითი კურსის ცვლილება პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მომხმარებლებზე, რადგან ინვესტს ფასების ცვლილებას უცხოურ საქონელზე. ლარის კურსის დაცემა ინვესტს იმპორტირებული საქონლის გაძვირებას და ზრდის დანახარჯებს უცხოური ნედლეულის შექენაზე. ეროვნული ვალუტის კურსის დაცემისას მომხმარებლები ამცირებენ უცხოური საქონლის შექენას და ზრდიან სამამულო საქონლის მოხმარებას, თუმცა იმის გამო, რომ საქართველოში ნაწარმოები პროდუქციის აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნია ე.წ. შედარებითი უპირატესობა, ანუ საქონელი აწარმოოს უფრო ნაკლები ალტერნატიული დანა-

ხარჯით, ვიდრე ეს მეზობელ ქვეყნებს შეუძლიათ, ზემოაღნიშნული თეორია სრული მასშტაბით არ მოქმედებს, რადგან ქართული პროდუქცია იმპორტირებულს საფასო კონკურენციას ვერ უწევს და მომხმარებლები ადვილად ვერ ანაცვლებენ იაფ უცხოურს ძვირი ადგილობრივი პროდუქციით.

საპირისპირო შემთხვევაში, ეროვნული ვალუტის კურსის განმტკიცება ნიშნავს, რომ საექსპორტო საქონელი საზღვარგარეთ უფრო ძვირი ელირება, ე.ი. უცხოელები ნაკლებად შეიძენენ მათ. მტკიცე ეროვნული ვალუტა სასურველია იმიტომ, რომ ქვეყანაში იაფდება უცხოური საქონელი, თუმცა ამით ვნებს ადგილობრივ ბიზნესს და სამამულო საქონლის, როგორც საზღვარგარეთ, ისე ქვეყნის შიგნით გაყიდვის შემცირების შედეგად ამცირებს სამუშაო ადგილების რაოდენობას. დანამდვილებით შეიძლება ითქვას ის, რომ სავალუტო ბაზარზე სავალუტო კურსის მერყეობას სერიოზული შედეგები მოაქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, რაც შეიძლება იყოს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, ხოლო რომელი უფრო მეტად, ეს ქვეყნის ეკონომიკურ კონიუნქტურაზე და მონყობაზე დამოკიდებულია.

სავალუტო კურსის რეგულირების პრობლემის გადასაჭრელად, მნიშვნელოვანია შემდეგი გზების დასახვა:

მართალია ეროვნული ბანკი გადანყვევტილებების მიღების დროს მოქმედებს ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა უმჯობესი იქნებოდა, რომ მისი მიდგომა ყოფილიყო პრობიზნესური, ვინაიდან სწორედ ნახალისებული ბიზნესი და ამის საფუძველზე გაზრდილი ექსპორტი არის ქვეყნის გრძელვადიანი კეთილდღეობის გარანტი, სწორედ ეს არის ის ფუნდამენტური ფაქტორი, რაც კურსის გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილურობას განაპირობებს.

კურსის სტაბილურობასთან დაკავშირებით, გრძელვადიან პერიოდში, ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ეკონომიკური ზრდა, ხოლო მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში კურსზე მოქმედი საკმაოდ ძლიერი იარაღია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული მონეტარული პოლიტიკა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ფასების სტაბილურობა.

დასაქვანა

ვალუტის კურსზე მოქმედი ფაქტორების კვლევის შედეგად შეგვიძია ვთქვათ, რომ კურსის მერყეობის გამომწვევი მიზეზი არის სავაჭრო ბალანსის, ინვესტიციების, ფულადი გზავნილების, ტურიზმიდან შემოსავლების სიმცირე, ასევე, დამოკიდებულება ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარების შედეგებზე.

სავალუტო კურსის ფორმირება შეიძლება მოხდეს, შემდეგი პირობების დაცვის შემთხვევაში:

ლარის კურსის სტაბილიზაციაში ხელისუფლებას განსაკუთრებული როლი ეკისრება, რაც ადგილობრივი წარმოების აღორძინებასა და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების წახალისებაში მდგომარეობს, რათა ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდეს სავაჭრო დეფიციტი;

ეროვნული ვალუტის სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფის მიზნით, ჩვენს ქვეყანას აქვს რეალური პოტენციალი მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები. ინვესტორებს ჭირდებათ მყარი გარანტიები, რომ მოახდინონ გრძელვადიანი ინვესტირება ქვეყანაში და ეს გარანტიები თავის მხრივ მოიცავს საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის მონესრიგებას, სახელმწიფო რეგულაციების შერბილებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, საექსპორტო პოტენციალის ზრდას, სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესებას და ფინანსური ბაზრების განვითარებას. ამ მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები კი თავისთავად, სახელმწიფოს ვალდებულებაა.

სავალუტო კურსის სიმყარე დამოკიდებულია მონეტარული და ფინანსური ბაზრის განვითარების დონეზე. ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდა - მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურად განვითარებისათვის და ეკონომიკური სისტემის მდგრადობისათვის.

ლიტერატურა:

1. ანგურიძე ო. დოღონაძე ი. ჭარაია ვ. „საქართველოს ეროვნული ვალუტის უსაფრთხოების პრობლემა და თანამედროვე გამონეგეები“, გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2015 წ.

2. კაკულია მ. „უცხოური ვალუტა და სავალუტო ბაზარი“, ინტერნეტიდან სტატია, <https://gfsis.org>

REFERENCES:

1. Anguridze O. Dogonadze I. Charaia V. „The problem of safety of national Georgian currency and modern challenges“, publishing house „Tbilisi University Press“, 2015.

2. Kakulia M. „Foreign currency and exchange market“, the paper from the Internet, <https://gfsis.org>

FACTORS INFLUENCING ON THE EXCHANGE RATE

Salome Sulaberidze,

PhD Student of

Batumi Shota Rustaveli State University,

RESUME

The article deals with the major factors impacting and causing the national currency exchange rate fluctuation, as well as its negative results for the country's economy. The importance of the floating rate of exchange for Georgia is also explained in this work. Moreover, it is analyzed that clear strengthening or devaluation of Georgian Lari causes more negative results than the positive ones. Accordingly, the monetary government shall care about the stable rate exchange. The ways, resolving the problem and recommendations are also presented in the paper.

Key words: National currency; exchange rate ; export; import; currency devaluation; budget.

საქართველოს კაპიტალის ბაზრის ფორმირების სრულყოფის მიმართულებები

მარინა ლუარსაბიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თენგიზ ლაჭყევიანი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

შესავალი

სტატიაში განხილულია საქართველოს კაპიტალის ბაზარზე მიმდინარე ტენდენციები და გამოვლენილია კავშირის მნიშვნელობა განვლილ პერიოდში ქვეყანაში მომხდარ მონეტარულ შოკებსა და კაპიტალის ბაზარზე მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთებს შორის. აღნიშნულია, რომ კაპიტალის ბაზრის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა ისეთი თავისუფალი და კონკურენტული გარემოს შექმნაა, რომელიც უზასუხებს ქვეყანაში კაპიტალისა და ინვესტიციების საჭიროებას, იქნება ეფექტიანი ინოვაციური, მაღალ შედეგებზე ორიენტირებული და ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი გეგმების შესაბამისი.

საკვანძო სიტყვები: სავალუტო სპოტ ბაზარი (სწრაფი გარიგება), ფასიანი ქაღალდების ემისია, ევროდირექტივი, ემიტენტი (აქციათა ბაზარი).

ძირითადი ტექსტი

საქართველოს საფინანსო ბაზრის უდიდესი ნაწილი მოდის კომერციულ საბანკო სექტორზე და კაპიტალის ბაზრების როლი გარკვეულად დაკნინებულია. კაპიტალის ბაზარი საბანკო დაკრედიტების პარალელურად განიხილება ფინანსური რესურსების მოზიდვის ეფექტიან საშუალებად. განვითარებული კაპიტალის ბაზარი ქმნის კონკურენტულ გარემოს, ხელს უწყობს დანაზოგების უფრო ეფექტიან გადახანაწილებას, მაშინ როდესაც ქვეყანაში საბანკო დაკრედიტება იზღუდება, ობლი-

გაციების ბაზარი შესაძლოა ასრულებდეს დამაბალანსებელ როლს. კაპიტალის ბაზარი არის მოსახლეობისათვის დანაზოგების განთავსების დამატებითი ინსტრუმენტი, ხოლო კომპანიებისათვის ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი საშუალება. განვითარებული კაპიტალის ბაზრები ხელს უწყობს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. დღეისათვის საქართველოში უკვე ფუნქციონირებს სავალუტო სპოტ, ფულადი და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრები.

ეკონომიკისა და საფინანსო სექტორის განვითარების არსებული მდგომარეობის გამო, ბაზარზე არსებობდა და კვლავ არსებობს განვითარების გარკვეული შემაფერხებელი ფაქტორები და ეკონომიკის განვითარების პარალელურად საჭიროა ამ პრობლემების გადაჭრა.

ასეთი ფაქტორებია:

- არსებული მოძველებული ინფრასტრუქტურა, რომელიც ართულებს როგორც ვაჭრობის ისე ანგარიშსწორების პროცესს;

- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობა;

- ემიტენტების არასაკმარისი გამჭვირვალობა, სუსტი კორპორატიული მმართველობა და კომპანიების კრედიტუნარიანობის შეფასების არაეფექტანი სისტემა;

- არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა;

- დაბეგვრის სისტემა, რომელიც ხელს არ უწყობს ბაზრის განვითარებას.

საქართველოში უნდა არსებობდეს ისეთი თანამედროვე ინფრასტრუქტურა, საგადასახადო რეჟიმი და ფინანსური მომსახურების სპექტრი, რომელიც კონკურენტულ უპირატესობას მიანიჭებს. საფინანსო ბაზრების, ისევე როგორც ნებისმიერი ბაზრისათვის აუცილებელია გამჭვირვალობა (ფასის, ემიტენტის), ტრანზაქციული რისკებისა და ხარჯების შემცირება, კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა და სანდოობა.

აღნიშნულის მისაღწევად საჭიროა:

- სახელმწიფომ უზრუნველყოს კონკურენტული გარემოს შენარჩუნება;
- უნდა ჩამოყალიბდეს მარტივი და გასაგები საგადასახადო რეჟიმი;
- უნდა ამაღლდეს ქვეყანაში ფინანსური განათლების დონე;
- უნდა დაინერგოს კორპორაციული მმართველობის მაღალი სტანდარტები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბაზრის მონაწილეთა და ინვესტორთა დაცვას თაღლითობის, ფასებით მანიპულირებისა და სხვა არასაბაზრო ქმედებებისაგან.

კონკურენტული კაპიტალის ადგილობრივი ბაზრების არსებობისა და არარეზიდენტი ინვესტორების მოზიდვისთვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კაპიტალის ბაზარს გააჩნდეს მინიმუმ იგივე გამჭირვალობა და სანდოობა, რაც გააჩნია განვითარებულ კაპიტალის ბაზრებს. ამასთან როგორც რეზიდენტებისათვის ისე არარეზიდენტებისათვის ადვილად გასაგები და მისაღები უნდა იყოს ადგილობრივი ბაზრის რეგულირება და ბიზნეს პრაქტიკა. ამ კუთხით ადგილობრივი რეგულირების ჰარმონიზაციას ევრო დირექტივებთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ევროდირექტივებთან ჰარმონიზაციის შემდეგ კანონმდებლობა, აღსრულების პროცესი და რეგულირება სრულ შესაბამისობაში იქნება IOSCO პრინციპებთან. IOSCO-ს პრინციპები თავისი ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე დღესაც არის მეტნაკლებად ასახული მოქმედ კანონმდებლობაში, თუმცა რჩება გარკვეული მიმართულებები, რომლებიც გამორჩენილია ადგილობრივი რეგულირებიდან. დღეისათვის ვინაიდან საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება რამოდენიმე წელიწადში მოახდინოს ევროპული დირექტივების ადაპტირება და რადგან აღნიშნული დირექტივები თავისი ხასიათით უფრო ღრმა და კონკრეტულია, პრიორიტეტულად მიგვაჩნია სწორედ დირექტივებთან შესაბამისობის დადგენა და ქმედებების ამ მიმართულებით აღება.

სამომავლოდ აუცილებელია ეტაპობრივად დაიხვეწოს მარე-

გულირებელი გარემო, რომელიც პირველ რიგში შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო პრაქტიკასთან, კერძოდ კი ევროდირექტივებით განერილ მოთხოვნებთან.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები მართალია გათავისუფლებულია გადასახადებისაგან და მათთან არის გათანაბრებული საერთაშორისო ფასიანი ქაღალდები. ასევე დაბეგვრისაგან გათავისუფლებულია საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებზე. თუმცა, სხვა ინსტრუმენტები კვლავ რჩება არსებული დაბეგვრის რეჟიმის ქვეშ. ამიტომ აუცილებელია გადაიხედოს მთლიანი კონცეფცია, რათა მიდგომები იყოს ერთნაირი და გამარტივდეს გადასახადის გაანგარიშებისა და გადახდის პროცედურა. არსებული ცვლილება უდავოდ წაახალისებს ფასიანი ქაღალდების ემისიას და ვაჭრობას მეორად ბაზარზე.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სიდიდიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე და მოქნილი ინფრასტრუქტურის არსებობას, რომელიც უსაფრთხოდ და მინიმალური დანახარჯებით უზრუნველყოფს ვაჭრობას, ანგარიშსწორებას, ფასიანი ქაღალდების შენახვას და სხვადასხვა დაკავშირებულ ოპერაციებს, როგორებიცაა კუპონებისა და დივიდენდების გადახდა, გირაოს მართვა, ფასიანი ქაღალდების გასესხება.

ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების სისტემას უნდა დამატოს კორპორატიული ბონდების და აქციების ანგარიშსწორების ფუნქცია, რომლის საფუძველზეც შეიქმნება ერთიანი სისტემა სადაც თავს მოიყრის ყველა ტიპის ფასიანი ქაღალდი. ამის შედეგად გამარტივდება და სწრაფი და უსაფრთხო გახდება ფასიანი ქაღალდების ემისია და მეორადი ქაღალდებით ვაჭრობა და დაგირავება.

საცალო კლიენტებს მიეცემათ საშუალება ბირჟაზე შეიძინონ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და ვალუტა. ამასთან კერძო ცენტრალური დეპოზიტარია და შეასრულებს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ფუნქციას, კლიენტებს შესთავაზებს შესაბამის მომსახურებას.

ბაზრის ყველა სეგმენტისათვის მნიშვნელოვანია განათლე-

ბა. ბაზარზე დღეს მუშაობენ კომპანიები, რომლებიც მზად არიან სრულფასოვანი მხარდაჭერა გაუწიონ ახალ ინსტრუმენტებს და აქტიური როლი ითამაშონ ბაზრის განვითარებაში, თუმცა ამ პროცესში უფრო ფართო ჩართულობისათვის აუცილებელია ბაზრის მონაწილეების, პოტენციური ემიტენტების, ზოგადად მოსახლეობის და მარეგულირებლების ცოდნის პერმანენტული ამაღლება.

პოტენციური ემიტენტების განათლება მნიშვნელოვანია, რათა მათ კარგად ესმოდეთ კაპიტალის ბაზრებზე რესურსების მოზიდვის შესაძლებლობები და უპირატესობები. მათ ჭირდებათ შესაბამისი ცოდნა კორპორატიული მართვის გაუმჯობესებისათვის. თუ როგორ უნდა აწარმოონ გამჭვირვალე და სანდო ფინანსური ანგარიშგება სტრანდარტების დაცვით.

დღეისათვის საქართველოში მომხმარებლების უმრავლესობა სათანადოდ არ იცნობს ფინანსური პროდუქტების უმრავლესობას და არ იცის მათთან დაკავშირებული რისკები. შესაბამისად მოსახლეობის უმრავლესობას არ შეუძლია სათანადოდ დაგეგმოს თავის მომავალი და სწორად მართოს მის ხელთ არსებული ფინანსური საშუალებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსახლეობის, ემიტენტების, ფინანსური განათლება და ინვესტორების ინფორმირება წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს ქვეყნის როგორც მთლიანი ეკონომიკის, ასევე სოციალური და ფინანსური კეთილდღეობისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსური განათლება ფასიანი ქაღალდების სფეროში, რომ უზრუნველყოფილი იყოს წვრილი ინვესტორების სწორი და გააზრებული ჩართულობა ბაზრის განვითარებაში.

ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის სააქციო სექტორის განვითარებისა და საცალო ინვესტორებისათვის ბაზარზე წვდომისათვის აუცილებელია ქვეყანაში განვითარებული, სანდო და ლიკვიდური ბირჟის არსებობა. საფონდო ბაზრის მიმზიდველობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული და ინვესტორთათვის მარტივად აღსაქმელი ინფრასტრუქტურით, კერძოდ;

- საფონდო ბირჟა თანამედროვე ელექტრონული სავაჭრო პლატფორმით, სავაჭრო წესებით, საგარანტიო მექანიზმებით, გონივრული ფასნამოქმნის სისტემით;

- საფონდო ბირჟის ელექტრონული სავაჭრო პლატფორმა ინტეგრირებული იქნება სხვა ელექტრონულ სავაჭრო სისტემებთან და ბირჟის ცენტრალურ დეპოზიტარის სისტემასთან;

- ბირჟის ცენტრალური დეპოზიტარი, რომლის საოპერაციო სისტემა ინტეგრირებული იქნება ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემასთან;

კაპიტალის ბაზრის განვითარების შედეგად შესაძლებელი გახდება საქართველოს რეგიონულ ფინანსურ ცენტრად ჩამოყალიბება, რომელიც ინვესტორებს შესთავაზებს სამართლიან, გამართულ საკანონმდებლო ბაზას, თანამედროვე ინსტიტუციურ მმართველობაზე დაფუძნებულ საინვესტიციო გარემოს, ინოვაციურ, კონკურენტუნარიან სერვისსა და მსოფლიო კლასის ფინანსურ ინფრასტრუქტურას.

დასკვნა

საქართველოში, ფინანსური სექტორი განვითარებას რომ მოითხოვს, ამაზე ყველანი ვთანხვდებით. ამ მიმართულებით მუშაობა კარგა ხანია მიმდინარეობს, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ან შესაცვლელი.

ფინანსურ სექტორში ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა და რეგულირებაა საჭირო. სწორად დასაგეგმად და განსახორციელებლად კი მუშაობა აუცილებელია. პროცესი დანყებულია, რომლის შედეგიც მართალია, მომავალი 2-3 წლის მანძილზე ვერა, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებლად უნდა ვიხილოთ. ცალსახაა, რომ საბანკო სექტორი თავის შესაძლებლობების მაქსიმუმს ავლენს და ფინანსური ბაზრის მთლიანი თუ არა საგრძნობლად მნიშვნელოვანი ადგილი აითვისა. ამის პარალელურად ძალიან სუსტად მიმდინარეობს კაპიტალის ბაზრის ზრდა. ამ კუთხით შესაბამის სტანდარტებს მორგებული უსაფრთხო და მიმზიდველი რეგულაციები არ არსებობს, რასაც მომავალში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კ. ბასილაია, ზ. ლიპარტია-ფინანსური კონტროლი. თბ. 2012.
2. ზ. ლიპარტია, მ. გელაშვილი, ნ. ჯღარკავა, ს. ბერიშვილი - კორპორაციული ფინანსები. მე-2 ტ. თბ. 2013.
3. რ. კაკულია, კ. გაბაშვილი-ფინანსების თეორია. თბ. 2013.
4. ვ. მოსიაშვილი, მ. ქელიძე-ფინანსების საფუძვლები. თბ. 2012.
5. გ. ხანთაძე, გ. ცაავა საჯარო ფინანსები (თეორია, მეთოდები) სახელმძღვანელო. თბ. 2013.

**IMPROVING DIRECTIONS OF THE FORMATION
OF THE CAPITAL MARKET OF GEORGIA**

Marina Luarsabishvili, Tengiz Lachkebiani

Academic Doctors of Economics

RESUME

The article discusses the current trends in the Georgian capital market, and the importance of communication that has been identified in the sub-cash shocks and capital market turnover between the interest rates of securities. It is noted that the important prerequisite for the development of the capital market is the creation of the free and competitive environment that will meet the capital and investments in the country. Moreover, it is necessary to be effective, innovative, focused on high-performance and long-term development plans of the country.

In Georgia, the financial sector needs much development. The work in this direction has been going on for a long time, but much remains to be done or changed. The financial sector requires many important reforms and regulations. It is necessary to plan and work correctly. The process has begun, getting the result of which is impossible for the next 2-3 years, but in the end we will see it. It is worth noting that the banking sector maximizes its capabilities. In parallel, the capital market is very slow. There are no safe and attractive rules that comply with relevant standards in this regard.

Key words: Spotmarket (rapid engagement), issue of securities, Eurodirectives, Emitent (Share Market).

**სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება:
კრიტიკიუმები და შეფასების მეთოდები**

სალომე ოდიშარია
სტუდენტორანიტი

რეზიუმე

სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება (სეუ) – ესაა დაცულლობა მისი სანარმო-ფინანსური მოღვაწეობისა ამ სფეროში არსებული არასასურველი ცვლილებებისაგან. მან უნდა შეასრულოს რიგი ფუნქციებისა, რომელთა შორისაც ძირითადებს უნდა მივაკუთვნოთ: პროგნოზირება, ფინანსური რისკის შეფასება, საფრთხის გამოვლენა, ბაზარზე კონკრეტული უპირატესობების შენარჩუნება, ეკონომიკური შედეგების არასასურველი ფაქტორების აღკვეთა და სხვა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს ერთიანი შეხედულობა (აზრი) სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების კატეგორიის განსაზღვრასთან დაკავშირებით [1]. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე. ერთ-ერთი ნაშრომის [2] მიხედვით „სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება – ესაა მდგომარეობა კორპორაციული რესურსების რაც შეიძლება ეფექტური გამოყენება საფრთხის თავიდან ასაცილებლად და სანარმოს სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა მიმდინარე მომენტში და მომავალში“.

ეს განმარტება რამდენადმე გაფართოებულადაა ნარმოდგენილი სხვა ნაშრომში [3]: „სანარმოს (ფირმის) ეკონომიკური უსაფრთხოება – ეს მოცემული სამეურნეო სუბიექტის ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც სანარმოს სტრუქტურისა და მოღვაწეობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტები ხასიათებიან მაღალი დონის დაცულობით არასასურველი ცვლილებებისაგან“.

წარმოდგენილი განმარტებები შევსებულია და გაფართოებულია ნაშრომში [4]: „საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება – ეს ისეთი მდგომარეობაა სამეწარმეო სუბიექტისა, რომლის დროსაც ის კორპორატიული რესურსების უფრო ეფექტური გამოყენებით აღწევს თავიდან აცილებას ან დაცვას არსებული საფრთხეებისაგან ან სხვა გაუთვალისწინებელი მდგომარეობებისაგან და ძირითადად ბიზნესის მიზნების მიღწევას კონკურენციის და სამეურნეო რისკების პირობებში“.

რამდენადმე განსხვავებული შეხედულება სეუ-სთან დაკავშირებით მოცემულია ნაშრომში [5]: „საწარმოს (სამეწარმეო სუბიექტის) ეკონომიკური უსაფრთხოების ქვეშ უნდა გვესმოდეს დაცულობა მისი სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური, საწარმოო და საკადრო პოტენციალისა პირდაპირი (აქტიური) ან ირიბი (პასიური) ეკონომიკური საფრთხეებისაგან, მაგალითად, დაკავშირებული სახელმწიფოს არაეფექტური სამეცნიერო-სამრეწველო პოლიტიკასთან ან არახელშემწყობი გარე გარემოს ფორმირებასთან და უნარი მისი აღდგენისა“.

1. ამოცანის დასმა

მოყვანილ განმარტებებში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ სეუ-ის უზრუნველყოფისას არ ემუქრება საფრთხე ან ის დაცულია როგორც გარეშე, ასევე შიდა საფრთხისაგან, მაგრამ ეკონომიკური უსაფრთხოება მოითხოვს ფართე სექტორის პრობლემების გავლენის გადანყვეტას სხვადასხვა სფეროებში: საინვესტიციოში, ტექნოლოგიურში, საფინანსოში, სოციალურში. სხვანაირად რომ ვთქვათ, თითოეული მდგენელი საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოებისა – ესაა ამოცანებისა და კრიტერიუმების კომპლექსი, რომლებიც საჭიროებენ ორიგინალურ მეთოდოლოგიურ მიდგომებს მათ გადასაწყვეტად. ასეთ პირობებში საწარმო უნდა განიხილებოდეს როგორც რთული იერარქიული სისტემა, რომელიც ინტენსიურად ურთიერთმოქმედებს მუდმივად ცვლად გარე გარემოსთან, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს საწარმოს მართვის ორგანიზაციაზე და მის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ასეთ პირობებში დამუ-

შავება სამრეწველო სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციისა იქნეს დიდ მნიშვნელობას, და პირველ რიგში იმიტომ, რომ მათ მიერ აქტიურად გამოყენებული ეკონომიკური პოტენციალი წარმოადგენს მასტაბილიზირებელ ფაქტორს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და უშიშროებისა. სანარმოს წინაშე წარმოიშობა პრობლემა თავისი სოციალურ-ეკონომიკური სისტემისა და პროგნოზირების შიდა შეფასებისა, მომავალში მისი განვითარებისა სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ნეგატიური ფაქტორების გამოვლენისაგან, რომლებიც ზემოქმედებენ სანარმოს პოტენციალზე, აგება სისტემი უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმებისა და ინდიკატორებისა, დასაბუთება მათი ზღვრული მნიშვნელობებისა, გატარება პროფილაქტიკური ზომებისა ამ მუქარებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. ასეთი მიდგომისას აუცილებელია, პირველ რიგში, მოხდეს კლასიფიკაცია ეკონომიკური უსაფრთხოების როგორც შიდა ასევე გარეშე ფაქტორებისა, რომელთაც გააჩნიათ წარმოშობის განსხვავებული ბუნება და დამუშავებულ იქნას მათი მონიტორინგის სისტემა.


2. შედეგები

გარე გარემო უნდა განვიხილოთ როგორც ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც იმყოფებიან სანარმოს გავლენის სფეროს გარეთ, რომლებიც ხასიათდებიან გაურკვეველობის მაღალი დონით, მათი მდგომარეობისა და განვითარების საყოველთაოდ მიღებული დიაგნოსტიკის პროგნოზის სისტემის არარსებობით. გარე გარემოს ფაქტორების კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა დაიყოს ისინი მთავარ და მეორეხარისხოვნებად, ობიექტურ და სუბიექტურებად, კონტროლირებად და არაკონტროლირებადებად, რეალურად არსებულები და პოტენციალურებად, მართვად და არამართვადებად, შემთხვევითებად და დეტერმინირებულებად. ის საშუალებას იძლევა გამოიყოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორები და მოხდეს აბსტრაგირება ნაკლებად მნიშვნელოვანებისაგან, მოხდეს ანალიზის

ფოკუსირება წარმატების ძირითად ფაქტორებზე [6]. თუ ასეთ ხერხს გამოვიყენებთ საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორების ასაგებად, მაშინ მასში უნდა შევიტანოთ შიდა და გარე გარემოს ფაქტორები. საბაზრო ურთიერთობების პირობებში გარე გარემოს ზემოქმედება ვლინდება როგორც დადებით, ასევე უარყოფით სხვადასხვა ფორმაში. საწარმოს ამოცანას წარმოადგენს კონტროლი გარე გარემოს ზემოქმედებებისა და შემუშავება ზომებისა ამ ზემოქმედებაზე გავლენის მოსახდენად, რაც უზრუნველყოფს გარე გარემოს უარყოფითი გავლენისაგან დაცვას. საწარმოს პრაქტიკულ მოღვაწეობაში საკმაოდ ძნელია განისაზღვროს გარე გარემოს ყველა ფაქტორი, გავლენა საწარმოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე და მისგან მომდინარე შესაძლო ზარალის ალბათობისა. ამიტომ მათ შორის უნდა გამოიყოს ის ფაქტორები, რომლებიც შეიძლება გაკონტროლებულ იქნან საწარმოს მარკეტინგული პოლიტიკით, რომელიც მუშაობს ბაზარზე (ნახ.1.).

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტორებზე საწარმოს ზემოქმედების კონტროლი განისაზღვრება საწარმოს უნარით მოახდინოს გავლენა ამ ზემოქმედებაზე. საწარმოს დამოუკიდებლად შეუძლია განახორციელოს მომწოდებლების რესურსების, მყიდველების სტიმულირების ფორმების არჩევა, მოახდინოს სეგმენტებისა და მიზნობრივი ბაზრის ფორმირება ეკონომიკურისაგან დამოკიდებულებით. მაგრამ მას არ შეუძლია გააკონტროლოს გადაწყვეტილებები, რომლებსაც ღებულობს სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის სფეროში, ფინანსური მხარდაჭერა საწარმოების, მრეწველობის ცალკეულ დარგებში, ეროვნული ვალუტის კურსის განსაზღვრა. გარე გარემოს კონტროლირებადი ფაქტორების გავლენის შეფასების სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ისინი, როგორც წესი, არ ექვემდებარებიან ფორმალიზაციას.

შიდა გარემოს ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტორები მიზანშეწონილია დაიყოს სამ ჯგუფად: საწარმოო, საფინანსო და სოციალური. წარმოების ფაქტორები განსაზღვრავენ წარმოების დინამიკას დროის მოცემულ პერიოდში, საწარმოო




ნახ.1. გარე გარემოს ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ საწარმოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე

სიმძლავრეების ათვისების დონეს, საწარმოო ფონდების ათვისების ტემპებს, ტექნოლოგიების პროგრესულობას, წარმოების რიტმულობას, ტექნიკურ რესურსს, ინოვაციებში აუცილებელი ინვესტიციების საჭირო მოცულობას. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ფინანსური მდგენელი ხასიათდება თანამშრომლების შრომის ნაყოფიერებით, ფონდის გაცემით, წარმოების რენტაბელობით, ხარჯებით, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებებით, ინოვაციური აქტიურობით, საბრუნავი საშუალებების დაფინანსებისა და საკუთარი წილის უზრუნველყოფით მატერიალური და ენერგეტიკული რესურსებით პროდუქციის წარმოებისათვის.

სოციალური ფაქტორები განისაზღვრება ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის სტანდარტებით, რომელშიც შედიან შრომის ანაზღაურების დონე და სისტემები, შრომისა და დასვენების რეჟიმი, შრომის მოტივაცია, პერსონალის სტრუქტურა.

გარეშე და შიდა ფაქტორების გავლენის ხარისხი საწარმოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე განისაზღვრება კრიტერიუმების სისტემით და ამ გავლენის შეფასების მაჩვენებლებით. ღონისძიებების გამოსამუშავებლად, რომლებიც იძლევიან გაფრთხილებას საწარმოს სოციალურ-ეკონომიკური საფრთხეების აღმოცენება-გაჩენაზე აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს ინდიკატორები საწარმოს სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მათი ზღვრული მნიშვნელობები. მიზანშეწონილია დაიყოს ყველა ინდიკატორი, რომლებიც აუცილებელია უსაფრთხოების დონის მონიტორინგისათვის, ორ ჯგუფად (ნახ.2.): სახელმწიფოს მიერ რეგლამენტირებულები და ანალიტიკურები (საანგარიშო).

საწარმოს სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება – მრავალასპექტიანი ცნებაა, რომელიც მოიცავს მისი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებს: ტექნოლოგიურს, ფინანსურს, მარკეტინგულს, სოციალურს, ეკონომიკურს. თითოეულ სფეროში შეიძლება დამუშავებულ და დამტკიცებულ იქნას სხვადასხვა სტანდარტები, რომელთა დონეებიც კონტროლდება სპეციალური ორგანოების მიერ. სტანდარტების მოთხოვნები, რომლებსაც



ნახ.2. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები

გააჩნიათ მაკროეკონომიკური მნიშვნელობა, შეიძლება გავ-
რცელდეს ყველა საწარმოზე, მიუხედავად მათი დარგობრივი
კუთვნილებისა და საკუთრების ფორმისა. ასეთ სტანდარტე-
ბს შეიძლება მივაკუთვნოთ: მუშაკის შრომის ანაზღაურების
დონე, რომლის ზღვრული მნიშვნელობა უნდა იყოს არანაკლე-
ბი საარსებო მინიმუმისა, რომელიც დაწესებულია სახელმწი-
ფოს მიერ; პროდუქციის თვითღირებულება, რომლის ზღვრულ
მნიშვნელობას წარმოადგენს საზოგადოებრივად აუცილებე-
ლი დანახარჯები, რომელიც განისაზღვრება მეთოდით, რო-
მელიც გამოიყენება ბენჩმარკეტინგის სისტემაში; მოგების
ნორმა, რომლის ქვედა მნიშვნელობამ უნდა უზრუნველყოს
საგადასახადო სამსახურის მიერ დადგენილი საგადასახადო ვა-

ლდებულებები; არსებობა ბაზრის წილისა (მოთხოვნისა) პროდუქციის მიწოდებაზე; ეკონომიკური სტანდარტების ნორმები და სხვა.

რეგლამენტირებული ინდიკატორები განისაზღვრება ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის მექანიზმებით. ამ დროს სახელმწიფოს საკანონმდებლო პოლიტიკით უზრუნველყოფა მოიცავს საკანონმდებლო აქტების, სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, ზემოქმედების მეთოდებს სხვადასხვა სფეროში, პირველ რიგში, სოციალური ორიენტაციის სფეროში, უსაფრთხოების სტანდარტების გათვალისწინების მიზნით. ბოლო წლების მრავალრიცხოვანი გამოკვლევები ფოკუსირებენ სოციალური პოლიტიკის როლზე როგორც წარმატებული ეკონომიკური განვითარების ფაქტორზე [7]. საწარმოს სოციალური პასუხისმგებლობა განისაზღვრება საერთაშორისო სტანდარტის SA 8000 მოთხოვნებით [8].

ანალიტიკური ინდიკატორები საანგარიშო მაჩვენებლებია. მათი ზღვრული მნიშვნელობები დგინდება საწარმოს სპეციფიკასთან გამოყენების გათვალისწინებით. საწარმოს ზღვრული მდგომარეობიდან გადახრა შეიძლება დახასიათდეს როგორც: ნორმალური, როდესაც ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები იმყოფებიან ზღვრულ მნიშვნელობის ზონაში, ხოლო სტრატეგიული პოტენციალი საწარმოსი შეესაბამება მოცემულ დონეს; წინაკრიზისული, როცა თუნდაც ერთი ინდიკატორი არ შეესაბამება ზღვრულ მნიშვნელობას; კრიზისული, როდესაც ზღვრულ მნიშვნელობას არ შეესაბამება ეკონომიკური უსაფრთხოების რამოდენიმე ძირითადი ინდიკატორი, ხოლო საწარმოს სტრატეგიული პოტენციალი შეუძლებელია გაუმჯობესებულ იქნას. ასეთი კონცეპტუალური მიდგომისას, როდესაც საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება განისაზღვრება რაოდენობრივად ინდიკატორების მნიშვნელობების გაანგარიშების მეშვეობით და საწარმოს სტრატეგიული პოტენციალით, საჭიროა ამ პოტენციალის გაანგარიშების მეთოდისა. ძირითადი პრიორიტეტი მოცემულ შემთხვევაში უნდა იყოს საწარმოს „ეკონომიკური მდგრადობა“ და „სტრატეგიული განვითარება“.

თუ საწარმო ეკონომიკურად არ ვითარდება, მაშინ იკვეცება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტი მისი ეკონომიური უსაფრთხოებისა – სტრატეგიულ პოტენციალს, რომელიც წარმოადგენს შესაძლებლობების ყველა რესურსების ძალის ინტეგრირების კომპლექსს.

ინტეგრალური მაჩვენებელი საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოებისა შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი გამოსახულებით

$$I_{\text{საწ}} = \sum_{i=1}^n g_i \cdot \sum_{j=1}^m \alpha_j \cdot \sigma_j \quad (1)$$

სადაც $I_{\text{საწ}}$ – არის ინტეგრირებული შეფასება ეკონომიკური უსაფრთხოების დონისა;

g_i – არის ინდიკატორი, რომელიც ადასტურებს საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტანდარტების შესრულებას. ის ლეზულობს მნიშვნელობას 1, როცა სტანდარტი დაცულია, 0 – წინააღმდეგ შემთხვევაში;

n – მარეგულირებელი სტანდარტების ინდიკატორების რაოდენობა;

m – ანალიტიკური ინდიკატორების რაოდენობა;

α_j – j -ური ინდიკატორის რანგის დონე;

σ_j – საშუალო ბალური შეფასება j -ური ინდიკატორისა, გამოსახულს ბალეზში.

იმ ინდიკატორების მნიშვნელობების დასადგენად, რომლებიც შევიდნენ ეკონომიკური უსაფრთხოების ინტეგრირებულ შეფასებაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მეთოდები: კორელაციური და რეგრესიული ანალიზი, მთავარი კომპონენტების მეთოდი, პრიორიტეტების დალაგების მეთოდი, მომიჯნავეობის მატრიცა და სხვა. ინდიკატორის რაოდენობრივი შეფასებისათვის მისი ზღვრული ან ნორმატიული მნიშვნელობებთან მიმართებაში შეიძლება გამოყენებულ იქნას მეთოდი იდეალური წერტილისა ან რ. ლეიკერტის სკალა. იდეალური წერტილის მეთოდი გამოყენებადია იმ შემთხვევაში, როდესაც მკაფიოდაა განსაზღვრული ინდიკატორების ზღვრული მნიშვნელობები. ამ შემთხვევაში ინდიკატორის საშუალო მნიშ-

ვნელობა შეიძლება გამოთვლი იქნას ფორმულით:

$$\bar{\sigma}_j = \sum_{i=1}^N d_i \cdot |o_i^{\text{ფ}} - o_i^{\text{ქ}}| \quad (2)$$


სადაც d_i – არის მნიშვნელობა i -ური კერძო მაჩვენებლისა, რომელიც შედის მნიშვნელოვანი ინდიკატორის შემადგენლობაში;

$o_i^{\text{ფ}}$ და $o_i^{\text{ქ}}$ – ფაქტორი და ოპტიმალური (ნორმატიული) შეფასება მაჩვენებლისა, რომელიც შედის მნიშვნელოვანი ინდიკატორის შემადგენლობაში და ფასდება ბალებში. ბალური შეფასებები მოიცემა ექსპერტების მიერ, რომელთა მოქმედებების შეთანხმებულობა და კომპეტენტურობა განისაზღვრება კონკორდაციის კოეფიციენტით და მონმდება კრიტერიუმით „ხიკვადრატი“. ხარისხობრივი ინდიკატორების შესაფასებლად, რომლებსაც არ გააჩნიათ პირდაპირი ერთიანი საზომი, შეიძლება გამოყენებულ იქნას რ. ლეიკერტის სკალა, დაფუძნებული ექსპერტების შეთანხმებულობის ხარისხზე გარკვეული მტკიცებულებით.

სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ინტეგრირებული შეფასების გაანგარიშების მეთოდიკით მიდგომისას (მოცემულია ნახ.3.-ზე) სირთულეს იწვევს ობიექტური ინფორმაციის მიღება და გაანგარიშება სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორებისა. ეს უკანასკნელები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული სანარმოს დარგობრივ თავისებურებებზე და ამიტომ საჭიროებენ შემდგომ გამოკვლევებს.

3. დასკვნა

სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების განსაზღვრის შემოთავაზებული მეთოდური მიდგომა წარმოადგენს ამ მაჩვენებლის განსაზღვრის ახალ კონცეპტუალურ მიდგომას, რაც აფართოებს გამოყენების სფეროს და ამალღებს შეფასების ობიექტურობას.



ნახ.3. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ალგორთმი

გამოყენებული ლიტერატურა

1. Г.В. Козаченко, В.П. Поноярев, О.М. Ляшенко. Экономическая безопасность предприятия: сущность и механизм обеспечения. – К: Лібра, 2003. – 280с;
2. Основы экономической безопасности (государство, регион, предприятие, личность) / Под. Ред. Е.А. Олейникова. – М.: ЗАО „Бизнес-школа“м „Интел-Синтез“, 1997. – 288с.;
3. Стратегия бизнеса: Справочник / Под. Ред. Г.Б. Клейнера. – М.: КОНСЕКО, 1998.;
4. Грунин О., Грунин С. экономическая безопасность организации. – СПб: Питер. 2002. – 160с.;
5. Бендииков М. Экономическая безопасность промышленного предприятия (организационо-методический аспект) // Консультант директора. – 2000. -№2(110). – С. 7-13;
6. Губанов С. Темпы роста и воздействия на них государства // Вопросы экономики. – 2003. - №3. – С. 14-32;
7. И. Соболева Социальная политика как фактор устойчивого развития // Проблемы теории и практики управления. – 2003. -№3. – С. 67-73;
8. Фиглин Л. Модель управления качеством социальной ответственности организации // Проблемы теории и практики управления. – 2003. -№2. – С. 86-91

REFERENCES:

1. G. C. Kozachenko, V.P. Ponojarev, OM Lyashenko. Economic security of the enterprise: dryness and the mechanism of support: – К: Libra, 2003. - 280s;
2. Fundamentals of economic security (state, region, enterprise, person) / Under. Ed. E.A. Oleynikov. - М .: JSC “Business School” m “Intel-Sintez”, 1997. - 288s;
3. Business strategy: a Handbook / Under. Ed. Gb Kleiner. - М .: CONSECO, 1998 .;
4. Grunin O., Grunin S. economic security of the organization. - SPB: Peter. 2002. - 160s;

5. Bendikov M. Economic security of industrial enterprise (organizational and methodical aspect) // Director consultant. - 2000. -№ 2 (110). - pp. 7-13;

6. Gubanov S. The growth rate and the impact on them of the state // Questions of economy. - 2003. - №3. - pp. 14-32;

7. I. Sobolev. Social policy as a factor of sustainable development // Problems of the theory and practice of management. - 2003. -№3. - pp. 67-73;

8. Figlin L. Model of quality management of social responsibility of an organization // Problems of the theory and practice of management. - 2003. -№ 2. - p. 86-91

ECONOMIC SECURITY OF THE ENTERPRISE: CRITERIA AND ASSESSMENT METHODS

Salome Odisharia,
Doctoral Student of
Georgian Technical University

RESUME

The economic security of the enterprise (ESE) is the safeguard of its entrepreneurial-financial activity from unwanted changes in this field. It has to perform a number of functions, including the basic ones: prediction, financial risk assessment, risk detection, preservation of specific advantages in the market, preventing from undesirable factors of economic consequences.

In economic literature there is no uniform view (opinion) regarding the definition of an enterprise economic security category [1]. Just look at some of them. One of the papers [2] suggests “the economic security of the enterprise - this is the best way to use corporate resources to avoid danger and to ensure stable functioning of the enterprise in the present moment and in the future”.

This explanation is somewhat enlarged in another work [3]:

“The economic security of the enterprise (the firm) - this is the condition of the economic subject in which vital components of enterprise structure and activity are characterized by the high level of protection from undesirable changes”.

There is a somewhat different view on ESE in the paper: “Under the economic security of the enterprise (entrepreneurial entity), we must understand the safety, technical, technological, industrial and personnel potential from direct (active) or indirect (passive) economic threats.

Key words: Economic security of the enterprise; enterprise; direct (active) or indirect (passive) economic threats; danger; stable functioning.

სამეცნიერო ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორისა და მისი ფორმირების მეთოდების საკითხისათვის

მაია ჩეჩელაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ ასოცირებული პროფესორი
ლია ბერიკაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

მეცნიერების სფეროში ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად დღეს აუცილებელი გახდა მეცნიერის საქმიანობის ეფექტიანობის დადგენა. სტატიაში ავტორები განიხილეს მეცნიერული მაჩვენებლების საზომ ერთეულებს და მათი გამოყენების წესს, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგების შეფასებისათვის. კერძოდ, ავტორები განიხილეს იმპაქტ-ფაქტორის, როგორც სამეცნიერო ჟურნალების შედარებისა და რანჟირების ინსტრუმენტის, გამოყენების დეტალებს მისი ფორმირების, გამოყენებისა და ქართულ სინამდვილეში იმპლემენტაციის პრობლემებს.

საკვანძო სიტყვები: ციტირები ინდექსი, მეცნიერული მაჩვენებლები, იმპაქტ-ფაქტორი, სამეცნიერო საქმიანობის შედეგების შეფასება.

ძირითადი ტექსტი

უკანასკნელი წლების მანძილზე სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებში, სხვა მრავალ პუბლიკაციაში, რომლებშიც ხდება სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზების შედეგიანობისა და ეფექტურობის შეფასება, საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ აუცილებელია ამ საქმიანობის შედეგების შეფასების სისტემის შექმნა. დასავლეთის ქვეყნებში მეცნიერების მდგომარეობის მიზნობრივი ინდიკატორების სახით ცი-

ტირების მაჩვენებლებს იყენებენ. სხვადასხვა სამეცნიერო და კვლევითი დაწესებულების თანამშრომელთა საპუბლიკაციო აქტივობის საფუძველზე ფორმირდება რეიტინგები, ისახება მათი საქმიანობის ეფექტურობის სურათი.

მსოფლიოში მეცნიერულ მაჩვენებელთაგან ერთ-ერთ ცნობილსა და მნიშვნელოვანს წარმოადგენს სამეცნიერო ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი. იგი დღეს გამოიყენება სამეცნიერო ბიბლიოთეკების მიერ ამა თუ იმ პერიოდული ჟურნალისა თუ სხვა გამოცემის გამონერასთან დაკავშირებული გადანყვეტილების მისაღებად. გარდა ამისა, მას ვიყენებთ ჩვენ, ვარჩევთ რა საკუთარი სტატიებისთვის პუბლიკაციის ადგილს, ანდა რედაქტორები და გამომცემლები - სამეცნიერო ჟურნალების რეიტინგების დადგენისა და წინ წაწევის შეფასების დროს. ამასთან ერთად, ექსპერტებს შორის მიმდინარეობს დისკუსია იმის თაობაზე, რამდენად მიზანშეწონილია იმპაქტ-ფაქტორის გამოყენება. ექსპერტთა ერთი ჯგუფი (შეიძლება ითქვას, უმრავლესობა) ბიბლიომეტრულ მაჩვენებლებს სამეცნიერო მიღწევებისა და მნიშვნელობის გაზომვის ინსტრუმენტად მიიჩნევს,¹ ხოლო მეორე - ეჭვქვეშ აყენებს მათი გამოყენების შედეგად მიღებული შედეგების ჭეშმარიტებას, თვლის რა შესაძლებლად ციტირების მაჩვენებელთა გაყალბებას.² ამ მხრივ გვინდა დავაფიქსიროთ ჩვენი პირადი მოსაზრება და მკაფიოდ ჩამოვყალიბოთ ჩვენი პოზიცია:

პირველი: დიახ, გაყალბება შესაძლებელია, ანუ შეიძლება ჩვენი სტატიების ციტირება მოახდინოს ბევრმა ჩვენმა ნაცნობმა და კოლეგამ განსაკუთრებული თხოვნის, ანდა გასამრჯელოს შედეგადაც კი. მაგრამ ამისათვის იმდენი ძალისხმევა და ფულია საჭირო, რომ შედეგი ამაღ არ ღირს. აქვე გვინდა დანაკერგების ნუსხაში შევიტანოთ კოლეგებსა და თანამშრომლებს შორის სამუდამოდ დაკარგული რეპუტაცია, რომელსაც ვერა-

1 Amin M., Mabe M. Impact factor: use and abuse // *Perspectives in Publishing*; 2010. № 1; P. 1-6;

2 Лоуренс П. Потерянное при публикации: как измерение вредит науке // *Игра в цифры, или как теперь оценивают труд учёного (сборник статей о библиометрике)*. - МЦНМО, 2011. С. 39-45.

ფერი და ვერასდროს აღადგენს;

მეორე: იმის შიშით, რომ თეორიულად რჩევნების გაყალბება შესაძლებელია, ჯერ არავის და არასდროს უთქვამს უარი დემოკრატიის ამ უდიდეს მონაპოვარზე.

მოკლე რეზიუმეს სახით: მგლის შიშით ცხვარი არავის გაუნყვეტია.

მოცემულ სტატიაში ჩვენ წარმოვადგენთ საკუთარ მოსაზრებას იმპაქტ-ფაქტორის, როგორც მეცნიერული ჟურნალების რანჟირების ინსტრუმენტის შესახებ და გავაანალიზებთ მისი ფორმირების მეთოდებს და საქართველოში იმპლემენტაციის შესაძლებლობებს.

იმპაქტ-ფაქტორი შემოთავაზებულ იქნა ამერიკელი მეცნიერის, იუჯინ გარფილდის მიერ, როგორც სამეცნიერო ჟურნალის მეცნიერული ღირებულების შეფასების ინსტრუმენტი ციტირების რაოდენობის დაანგარიშების გზით დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში.¹ ტერმინი „იმპაქტ-ფაქტორი“ პირველად იქნა გამოყენებული გარფილდის მიერ სტატიაში, რომელიც მან გამოაქვეყნა 1955 წელს ჟურნალში **Science**, რომელიც ეძღვნებოდა ციტირების ინდექსის შექმნას. საუბრობდა რა მის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე, გარფილდი აღნიშნავდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ნაშრომის შემთვევაში ციტირების ინდექსი დაგვეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ რა ზეგავლენა მოახდინა ნაშრომმა, ანუ მის იმპაქტ-ფაქტორს, ვინაიდან ინგლისური სიტყვა „*impact*“ სწორედ ზეგავლენას აღნიშნავს.²

და უკვე 1960-იანი წლების დასაწყისში იუჯინ გარფილდმა და ირვინგ შერმა გათვალეს ჟურნალების იმპაქტ-ფაქტორი იმისთვის, რომ გადაერჩიათ მეცნიერული ნაშრომები ახლად-შექმნილი ინდექსისათვის SCI (Science Citation Index). 1964 წლი-

1 Garfield E. *The Agony and the Ecstasy – the History and the Meaning of the Journal Impact Factor. Report at the Fifth International Congress on Peer Review in Biomedical Publication. Chicago, 2005. Available at: <http://garfield.library.upenn.edu/papers/jifchicago2005.pdf>*

2 Garfield E. *Citation Indexes to Science: a New Dimension in Documentation through Association of Ideas. Science, 1955, vol. 122, pp. 108-111.*

დან SCI ინდექსი რეგულარულად დგინდებოდა ფილადელფიის სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა გარფილდი. ამ რესურსში თავიდანვე იყო სისტემატიზებული ინფორმაცია მეცნიერული სტატიების ციტირების შესახებ ბიბლიოგრაფიული მონაცემების ბაზაზე დაყრდნობით, რომელიც თავდაპირველად 600 მეცნიერულ ჟურნალს მოიცავდა. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ციტირების ამ მაჩვენებელში თავმოყრილი ინფორმაცია ფართოდებოდა, ხოლო 1992 წელს სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტი შევიდა კორპორაციის **Thomson** შემადგენლობაში. აღმოცენდა რა SCI ციტირების ინდექსიდან, თანამედროვე მძლავრი და მსოფლიოში ცნობილი ბიბლიოგრაფიული რესურსი **Web of Science (WoS)** დღეს მოიცავს შვიდ მონაცემთა ბაზას, რომელშიც შედის ცოდნის თითქმის ყველა სფერო. შვიდიდან სამი მონაცემთა ბაზა ამუშავებს 12 ათას სამეცნიერო ჟურნალს (Social Science Citation Index, Science Citation Index Expanded ო Arts and Humanity Science Citation Index). **WoS** კლასიფიკატორში არის 250 თემატური ქვედანაყოფი ფუნდამენტური, სამედიცინო, საინჟინრო, სასოფლო-სამეურნეო, სოციალური და ჰუმანიტარული მენიერებების განხრით. გარდა ამისა, იგი მოიცავს ბიბლიოგრაფიულ ინსტრუმენტს **Journal Citation Reports (JCR)**, რომლის ერთერთ ინსტრუმენტსაც წარმოადგენს იმპაქტ-ფაქტორი.

დღეს მსოფლიოში ფორმირებულია იმპაქტ-ფაქტორის ფორმირების რამდენიმე მეთოდი.

ტრადიციულ მეთოდს წარმოადგენს ჟურნალის ორწლიანი იმპაქტ-ფაქტორის გამოთვლა, რომელიც მოიცავს თვითციტირებასაც. ორწლიანი იმპაქტ-ფაქტორი წარმოადგენს ტრადიციულ კლასიკურ მაჩვენებელს, რომელსაც ანგარიშობს მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული მონაცემთა ბაზა **Web of Science**. იგი მიჩნეულია მსოფლიო სამეცნიერო ჟურნალების ერთმანეთთან რანჟირების საფუძვლად. კლასიკური იმპაქტ-ფაქტორი არის ორწლიანი კლასიკური იმპაქტ-ფაქტორი მიმდინარე წლის ჩაუთვლელად.

განვიხილოთ მაგალითი. თუ ვხედავთ ჩანაწერს - M.

Chechelashvili, L. Berikashvili, “The Main Criteria for Lead Generation”, European Science Review, 2018, ISSN 2310-5577, **GIF – 1.26 (2017)**, - იგი უნდა გავიგოთ შემდეგნაირად: ეს არის ავტორების მიერ 2018 წელს გამოქვეყნებული სტატია კონკრეტულ ჟურნალში, რომლის იმპაქტ-ფაქტორი (**GIF – Global Impact Factor**) შეადგენს 1,26. ეს მაჩვენებელი, რომელიც წარმოადგენს საკმაოდ მაღალს, დაანგარიშებულია 2017 წელს. ე.ი. იგი ძალაში იქნება 2019 წლის ჩათვლით: 2017, 2018 წელს (2 წელი) და 2019 წელსაც, რომლის განმავლობაში უნდა იქნას დაანგარიშებული ახალი მაჩვენებელი. იგი ძალაში იქნება 2019, 2020 და 2021 წელს. ჩვენი კონკრეტული მაგალითის ილუსტრირებას შევეცადეთ სურათში 1.

სურათი 1. სამეცნიერო ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორის გამოანგარიშების ორწლიანი მეთოდი

| ჟურნალის დასახელება | დაანგარიშების ციკლები | იმპაქტ-ფაქტორის მნიშვნელობა | იმპაქტ-ფაქტორის დაანგარიშების წელი | იმპაქტ-ფაქტორის ვარგისიანობის პერიოდი |
|--------------------------------|-----------------------|-----------------------------|------------------------------------|---------------------------------------|
| European Science Review | I | 1.26 | 2017 | 2017 |
| | | | | 2018 |
| | II | 1.75 ³ | 2019 | 2019 |
| | | | | 2020 |
| | | | | 2021 |

ორწლიანი პერიოდი, რომელიც გამოიყენება ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორის განსაზღვრისათვის, საჭიროა იმისთვის, რომ სტატისტიკური მაჩვენებელი იყოს თანამედროვე. გარფილდი აღნიშნავდა, რომ ციტირების მაღალი ინდექსის მქონე სტატიები, რომლებიც ცოტა ხნის მანძილზე ზეგავლენის მაღალ დონეს აღწევენ, როგორც წესი, კოლეგებისა და დაინტერესებული პირების მიერ ყველაზე აქტიურად ციტირდებიან გამოქვეყნების შემდგომი სამი-ოთხი თვის, მაქსიმუმ - ერთი წლის განმავლობაში.¹ ამიტომაც იმისათვის, რომ გამოვლინდეს ყველაზე „ცხელი“ პუბლიკაცია (hot papers), რომელიც ზეგავლენას ახდენს მეცნი-

1 Garfield E., Sher I. H. New Factors in the Evaluation of Scientific Literature through Citation Indexing. American Documentation, 1963, vol. 14, no. 3, pp. 195-201.

ერების ამა თუ იმ სფეროზე, ორი წელი საკმარისია.

შესაბამისად, ციტირების ორწლიანი ფანჯრის გამოყენება განპირობებულია იმ სამეცნიერო ჟურნალის გამოვლენისა და სხვა ანალოგებთან მისი რანჟირების სურვილით, რომელიც ახდენს „ცხელი“, ციტირების მაღალი ინდექსის მქონე და სფეროში ყველაზე დიდი ზეგავლენის მქონე ნაშრომების გამოქვეყნებას.

ექსპერტები აღნიშნავენ,¹ რომ ტერმინი „იმპაქტ-ფაქტორი“ გულისხმობს სწორედ ორწლიანი მეთოდით დაანგარიშებულ მაჩვენებელს. WoS-ის სისტემაში დაანგარიშებულ მაჩვენებელთაგან იმპაქტ-ფაქტორის ალტერნატივას წარმოადგენს მაჩვენებლები, რომელსაც ანგარიშობს მონაცემთა ბაზა **Scopus** (ბიბლიოგრაფიული და რეფერატული მონაცემთა ბაზა და ციტირების დაანგარიშების ინსტრუმენტი, რომელიც შექმნილია **Elsevier** - კორპორაციის მიერ. სკოპუსში გამოყენებულია სხვა ინდიკატორები, რომელშიც ნორმირებულია და ანგარიშობს არა მხოლოდ კონკრეტული სტატიების ციტირების რაოდენობას, არამედ ხარისხსაც.

განვიხილოთ ხარისხის მაჩვენებლები **SJR** და **SNIP**.

SJR (SCImago Journal Ranking) - წარმოადგენს გრანადის უნივერსიტეტის მიერ ჟურნალების შემუშავებულ რეიტინგს, რომელშიც გათვალისწინებულია არა მხოლოდ ციტირებათა საერთო რაოდენობა, არამედ წლების მიერ გათვლილი საშუალო შენონილი ციტირების მაჩვენებლები და ციტირების ავტორიტეტულობა.

სკოპუსის მიერ გამოყენებად კიდევ უფრო განვითარებულ მაჩვენებელს წარმოადგენს **SNIP**, რომელიც შეიმუშავა ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰ. მოედმა. იგი მოიცავს ციტირების დონეს მეცნიერების თითოეულ სფეროში, ამდენად, მისი გამოყენება შესაძლებელს ხდის სხვადასხვა სფეროს სამეცნიერო სტატების შედარებას. მოცემული მაჩვენებლის დაანგარიშების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ით-

1 Opportunities for and Prospects of Using Citation Indices in Evaluating the Performance of Research Institution; Economic and Social Changes: Facts, Trends, Forecast, 2013, no. 6 (30), pp. 189-200.

ვალისწინებს სტატიის პუბლიკაციის წინა სამი წლის პერიოდში გამოცემული სამეცნიერო ნაშრომების ციტირებას.¹

ამასთან ერთად არსებობს „არატრადიციული“ იმპაქტ-ფაქტორთა რიგი, რომელთა შორის გამოვყოფდით ხუთწლიან იმპაქტ-ფაქტორს. WoS ანგარიშობს ამ მაჩვენებელს ორწლიანთან ერთად და იყენებს შემდეგ განსაზღვრებებს:

- Impact Factor – აღნიშნავს ორწლიან იმპაქტ-ფაქტორს;
- 5-year Impact Factor – აღნიშნავს ხუთწლიან იმპაქტ-ფაქტორს.

ხუთწლიანი იმპაქტ-ფაქტორი წარმოადგენს იმ სტატიების ციტირების საშუალო მაჩვენებელს, რომლებიც გამოცემულია უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ერთ-ერთ კონკრეტულ წელს.² ამ მაჩვენებლის გამოყენება შესაძლებელია ჟურნალების იმპაქტ-ფაქტორის უფრო ხარისხიანი დაანგარიშებისათვის იმ სფეროში, სადაც სტატიების ზეგავლენა ხანგძლივი დროის განმავლობაში გრძელდება, ანუ სტატიების ციტირება ხდება არა მხოლოდ გამოცემის შემდეგ პირველი ორი წლის განმავლობაში (პირველ რიგში ეს ეხება მათემატიკას).³

ექსპერტების აზრით, ხუთწლიანი იმპაქტ-ფაქტორის მიხედვით რანჟირება ადაბლებს იმ ჟურნალის რეიტინგს, რომლებშიც უმეტესწილად ხდება სამ წელზე მეტი ხნის სტატიების ციტირება და შესაბამისად ამაღლებს იმ ჟურნალების რეიტინგს, რომელთა მიერ გამოცემულ სტატიებზე სამეცნიერო საზოგადოება გაცილებით დიდი ხნის შემდეგ რეაგირებს.

ჩვენი აზრით, ხუთწლიანი იმპაქტ-ფაქტორის უპირატესობას წარმოადგენს ანომალიური ციტირების ნიველირება. განვმარტავთ: შესაძლებელია აჟიტირებული ციტირების იმიტაცია

1 Arts&HumanitiesCitationIndex [Electronic resource]. – Available at: <http://thomsonreuters.com/arts-humanities-citation-index/>

2 Lawrence P; Lost in Publication: How Measurement Harms Science. CIPHER Game, or how Scientist’s Work is Assessed Today // Collection of Articles Concerning Bibliometrics. MTsNMO, 2011, pp. 39-45.

3 Journal citation report [E-resource]: Thomson Reuters, 2010. – Available at: <http://wokinfo.com/media/mtrp/rus-web.pdf>

დროის მცირე პერიოდში და შეუძლებელია ხუთი წლის მანძილზე. ამავდროულად მიგვაჩნია, რომ ხუთწლიანი იმპაქტ-ფაქტორის უარყოფით მხარეს დაგვიანების ხანგრძლივი პერიოდი (5-6 წელი) წარმოადგენს. ამდენად, ვთვლით, რომ ეკონომიკის სფეროში წარმოდგენილი სტატიებისთვის, რომლებზე რეაგირებაც უახლოესი 2-3 წლის პერიოდში ხდება, ხუთწლიანი იმპაქტ-ფაქტორის გამოყენება არამიზანშენილია.

ყურადღებაა მისაქცევი იმაზეც, რომ იმპაქტ-ფაქტორის განსაზღვრა კარგავს აზრს, თუკი არ არის მითითებული ბიბლიოგრაფიული ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც არის იგი გათვლილი. ჟურნალის რანჟირებისას მნიშვნელობა აქვს აპრიორულად არჩეულ მონაცემთა ბაზებს, რაც შედარებადს ხდის მათ.

საქართველოში გამოცემული ჟურნალების უმეტესობას არ გააჩნია Web of Science-ის იმპაქტ-ფაქტორი, ხოლო Scopus-ის ბაზის SNIP მაჩვენებელი არ გააჩნია არც ერთს. ამის მიზეზს წარმოადგენს ქართველი მეცნიერების მიერ საერთაშორისო ინდექსირების მქონე სამეცნიერო ჟურნალებში და კონფერენციებში გამოქვეყნებული ნაშრომებისა და კვლევების სიმცირე. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ დღემდე არ არის შექმნილი ავტორიტეტული ქართული მაჩვენებელი, რომელიც წარმოდგენას მოგვცემდა სამეცნიერო მიღწევების შესახებ, ანუ დახატავდა კონკრეტული მეცნიერის საქმიან პროფილს და წარმოაჩენდა მის რეალურ პროდუქტიულობას, ანუ არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებლებსაც.

შეჯამების სახით გვინდა გამოვთქვათ შემდეგი მოსაზრება: იმპაქტ-ფაქტორი, როგორც მეცნიერული მაჩვენებელი, სრულიად არის დასაბუთებული, ამდენად საქართველოს სამეცნიერო პუბლიკაციების სფერო უნდა იქნას მონესრიგებული და აღრიცხული ერთიან მონაცემთა ბაზებში, რათა დაინყოს სამეცნიერო პროდუქტიულობისა და ეფექტურობის (ხარისხის) მაჩვენებელთა გამოთვლა. სანყის ეტაპზე იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები და კვლევები უნდა ახდენდნენ ავტორიტეტული ქართული მაჩვენებლის ფორმირებას, ხოლო შემდეგ, როცა ასეთი ინდექსი შეიქმნება და მისი

რენომე გამაგრებული იქნება ორიგინალური კვლევებისა და ნაშრომების საერთაშორისო ავტორიტეტით, გადავალთ მეორე ეტაპზე, რომელზეც ქართული ინდექსი რომელიმე საერთაშორისო ბაზის ერთერთ შემადგენელ ნაწილად იქცევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Amin M., Mabe M. Impact factor: use and abuse // Perspectives in Publishing; 2010. № 1; P. 1–6;

2. Лоуренс П. Потерянное при публикации: как измерение вредит науке // Игра в цифры, или как теперь оценивают труд учёного (сборник статей о библиометрике). – МЦНМО, 2011. С. 39–45.

3. Garfield E. The Agony and the Ecstasy – the History and the Meaning of the Journal Impact Factor. Report at the Fifth International Congress on Peer Review in Biomedical Publication. Chicago, 2005. Available at: <http://garfield.library.upenn.edu/papers/jifchicago2005.pdf>

4. Garfield E. Citation Indexes to Science: a New Dimension in Documentation through Association of Ideas. Science, 1955, vol. 122, pp. 108-111.

5. Garfield E., Sher I. H. New Factors in the Evaluation of Scientific Literature through Citation Indexing. American Documentation, 1963, vol. 14, no. 3, pp. 195-201.

6. Opportunities for and Prospects of Using Citation Indices in Evaluating the Performance of Research Institution; Economic and Social Changes: Facts, Trends, Forecast, 2013, no. 6 (30), pp. 189-200.

7. Arts&HumanitiesCitationIndex [Electronic resource]. – Available at: <http://thomsonreuters.com/arts-humanities-citation-index/>

8. Lawrence P., Lost in Publication: How Measurement Harms Science. Cipher Game, or how Scientist's Work is Assessed Today // Collection of Articles Concerning Bibliometrics. MTsNMO, 2011, pp. 39-45.

9. Journal citation report [E-resource]: Thomson Reuters, 2010. – Available at: <http://wokinfo.com/media/mtrp/rus-web.pdf>

ON THE ISSUE OF THE IMPACT FACTOR OF A SCIENTIFIC JOURNAL AND METHODS OF ITS FORMATION

Maia Chechelashvili

Doctor of Economics, Professor
of Georgian Technical University

Lia Berikashvili

Doctor of Economics, Professor
of Georgian Technical University

Resume

Nowadays to make effective administrative decisions in the sphere of science it has become necessary to create a system of objective assessment of the efficiency of scientific activity. In the article, the authors discuss the units of measurement and the rules for their use, which should be used to evaluate the results of scientific research. In particular, the authors discuss the details of the Impact Factor as a comparison of scientific journals and rankings. In addition, the authors discuss the problems of formation and use of impact factor and its implications in Georgian reality.

Key words: Citation index, scientific indicators, impact factor, evaluation of scientific activities.

თერმული წყლები - ენერგეტიკული უსაფრთხოების ერთ-ერთი კომპონენტი

რეზო სახეიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თერმული წყლების რესურსები, რომელიც მიწის სიღრმისეული სითბოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო შესწავლილი სახეა და დაკავშირებულია მიწისქვეშა თერმულ წყლებთან. საქართველო ასეთი წყლებით მსოფლიოში ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანაა და ენერგეტიკული უსაფრთხოების ერთ-ერთი კომპონენტია.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში თავმოყრილია ყოფილი საბჭოთა კავშირის თერმული წყლების დამტკიცებული სამრეწველო მარაგის დაახლოებით ნახევარი. საქართველოს ტერიტორიის ჰიდროლოგიური შესწავლის თანამედროვე ეტაპზე თერმული წყლების საერთო პროგნოზული მარაგი (წყლის ტემპერატურა 50-110 გრადუსი) შეადგენს 250 მლნ მ³-ს. მისი სრული გამოყენებით, როგორც ამას ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემები გვიჩვენებს, წლიურად შეიძლება დაიზოგოს 1,5-2 მლნ ტონა პირობითი სათბობი.

საკვანძო სიტყვები: თერმული წყლები, ენერგეტიკა, ენერგეტიკის უსაფრთხოება, ჭაბურღილი.

ძირითადი ნაწილი

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში მარაგის სახელმწიფო კომისიის მიერ დამტკიცებული იყო თერმული წყლების მარაგი დღე-ღამეში 200 ათასი კუბური მეტრის ოდენობით, ხოლო 1990 წლის დასაწყისში კი რესპუბლიკის განკარგულებაში იყო 59 წყალშემკრები ჭაბურღილი, რომელთა საერთო სიმძლავრე დღე-ღამეში 60 ათას მ²-ზე მეტი იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის წინ საქართველოში თერმული

წყლების 23 საბადოდან დამუშავებაში იყო 17, კერძოდ, კინდლის, ოქვის, რეჩხის, საბერიოს, ზუგდიდი-ცაიშის, ქვალონის, მენჯის, სამტრედიის, ვანის, თბილისის, ბიჭვინთის, ხარაგაულის, ალაზნის, კარდანახის, ჭანდარის, ყვარელის, ენისელის.

თერმული წყლები თბოენერგეტიკული მიზნით, გამოიყენებოდა კომუნალურ მეურნეობაში (თბილისი, ზუგდიდი, საბერიო, რეჩხი, კინდლა), სასათბურე კომბინატებში (ოხურვი, კინდლა, ანარა, ვანი, კოდორი), ტექნოლოგიური საჭიროებისათვის ჩაის მრეწველობაში (კინდლა, ზუგდიდი), ბალნეოლოგიურ კურორტებზე (თბილისი, სამტრედია, ნაქალაქევი, უჯარმა, მენჯი, სიმონეთი, ყვარელი), მეღორეობის ფერმებში (ხოზი, მცხეთა) და სხვა. ამჟამად თერმული წყლები შეზღუდული რაოდენობით, ძირითადად ბალნეოლოგიური მიზნით გამოიყენება და სასათბურე მეურნეობებში.

თერმული წყლების პროგნოზული მარაგი

| აუზები | მლნ. კუბ. მ | %-ად ჯამის მიმართ |
|----------------------------------|-------------|-------------------|
| დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობი | 2 | 0,8 |
| აფხაზეთი | 34 | 13,6 |
| კოლხიდა | 81 | 12,4 |
| იმერეთი | 50 | 20,0 |
| აჭარა-თრიალეთი | 36 | 34,4 |
| თბილისისპირა რაიონი | 40 | 16,0 |
| სამხრეთ საქართველო | 7 | 2,8 |
| საქართველო სულ | 250 | 100,0 |

როგორც ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, საქართველოში თერმული წყლების ძირითადი მარაგი (34,4%) მოთავსებულია აჭარა-თრიალეთის აუზში, მისი მნიშვნელოვანი მარაგია იმერე-

თის (20%), თბილისისპირა რაიონის (10%), კოლხეთის (12,4%) და ა.შ. აუზებში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თერმული წყლების აღნიშნული პერსპექტიული მოედნები ჯერჯერობით კარგად არ არის შესწავლილი და მათი პოტენციური შესაძლებლობებიც დასაზუსტებელია.

1990 წლის დამდეგს საქართველოში მოქმედებდა 59 წყალშემკრები ჭაბურღილი, რომელთა საერთო სიმძლავრე დღე-ღამეში 60 ათას მ³-ს აღემატებოდა. მთლიანობაში თერმული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლები დადებითია. ეს, პირველ რიგში, გამოიხატება მაღალი ტემპერატურული და დაბალი მინერალიზაციის მაჩვენებლებში, მაგალითად, თერმული წყლების საერთო რაოდენობის დაახლოებით 66%-ის ტემპერატურა 50 გრადუსამდეა, 25%-ის – 50-100 გრადუსამდე და 10%-ის 100 გრადუსს ზევით.

ყველაზე მაღალი ტემპერატურისაა (80-106 გრადუსი) ოხუ-რეის, ზუგდიდის, ცაიშის, კინდლის, ქვალონის ჭაბურღილები; მნიშვნელოვანია იმ საბადოთა რაოდენობაც, სადაც წყლის ტემპერატურა დაახლოებით 50 გრადუსია. ასეთებია თბილისის, ყულევის, სამტრედიის, მენჯის, რეჩხის და სხვა ჭაბურღილები. წყალტუბოს, მოქვის, ციხისჯვრის, ბესლეთის, უდაბნოს, ახალდაბის, სულორისა და სხვა საბადოთა ტემპერატურა 30-40 გრადუსის ფარგლებშია, მათი წყლის საშუალო ტემპერატურა კი დაახლოებით 80 გრადუსია. რაც შეეხება მინერალიზაციის მაჩვენებელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორის მონაცემებით, იგი უმრავლეს შემთხვევაში მერყეობს ლიტრზე 0,9-2,2 გრამის ფარგლებში, ხოლო ეს მაჩვენებელი დაახლოებით 1 გრის ოდენობით აღინიშნება მიღებული წყლის ნახევარზე მეტში. დაბალია გაზშემცველობაც, რაც მცირე მინერალიზაციასთან ერთად, განაპირობებს წყლის გამოყენების დროს ნალექების უმნიშვნელო გამოყოფას.

ამასთან, გამოკვლევებმა უჩვენა, რომ გეოთერმული წყლების უმრავლესობას ბუნებრივ პირობებში ლითონის მიმართ ახასიათებს კოროზიული აგრესიულობა. ასეთი გამოკვლევები

ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, „საქბურგეოთერმიის“ სამმართველოში, საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროგეოთერმიის სამმართველოში, საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და სხვ. დადგენილია, რომ თერმულ წყლებში ძირითადი კოროზიული აგრესიული კომპონენტია მათში შემავალი გოგირდწყალბადი და ნახშირმჟავა. პრაქტიკული გამოყენებისათვის აუცილებელია ამ მავნე მინარევების გაუვნებლყოფა, რაც ტექნიკურად შესაძლებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს თერმული წყლების უმრავლესობა შეიცავს მიკროკომპონენტებს იოდის, ბრომის, ბორის და სხვათა სახით. ეს კი არსებული ტემპერატურის, გაზის შემცველობისა და მცირე რადიოაქტივობის პირობებში, მის სამკურნალო თვისებებსაც განაპირობებს. ასეთი წყლებია წყალტუბოს, ცაიშის, ნაქალაქევის, მენჯის, სამტრედიის, თბილისის და სხვა საბადოებში. აღნიშნული გარემოება, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ თერმული წყლები ხშირად გვხვდება მჭიდროდ გასახლებულ და ეკონომიკურად განვითარებულ რაიონებში, საშუალებას იძლევა მათი კომპლექსური გამოყენებისთვის. ასეთი შესაძლებლობაა ოჩამჩირის რაიონში (კინდლის, ოხურეის, დრანდის საბადოები), გალის (რეჩხი, საბერიო), ზუგდიდის (ზუგდიდი, ცაიში), ხობის (ხორგა), ფოთის (ქვალონი), სამტრედიის (სამტრედია) რაიონებში, აგრეთვე ქ. თბილისში (ლისი, საბურთალო და სხვ.). თერმული წყლები მარტო სითბოს შემცველობით არაა მნიშვნელოვანი. ასეთი მინერალიზებული წყლები, აგრეთვე, შეიცავს ძვირფას კომპონენტთა მთელ გამას, რომელთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შემდეგი ელემენტები: ლითიუმი, სტრონციუმი, იოდი, ბრომი და სხვ. მათი ამოკრეფა და პრაქტიკული გამოყენება პრინციპულად შესაძლებელია.

საქართველოს ზოგიერთ რაიონში თერმული წყლები ხასიათდება, აგრეთვე, მაღალი დებიტით – დღე-ღამეში 6 ათას მ³-მდე. მაგალითად, ოჩამჩირეში (ოხურეი) 2500-3500 მ-ის სიღრმიდან

მიღებულ იქნა 106-გრადუსიანი თერმული წყალი დღე-ღამეში 6000 მ³-ის დებიტით, სამეგრელოს ზონის ფარგლებშია, აგრეთვე, ზუგდიდის საბადო, სადაც 15-25-2350 მ-დან მიიღეს 89 გრადუსიანი წყალი დღე-ღამეში 4500 მ³-ის დებიტით.

აღმოსავლეთ საქართველო შედარებით ღარიბია თერმული წყლებით. იგი გვხვდება ყვარელის, გურჯაანის, ლაგოდეხის, გარდაბნის, ნინოწმინდის, ქარელისა და სხვა რაიონებში. ამ უკანასკნელში, მაგალითად, ბურღვის დროს მიღებულ იქნა ე.წ. სუბთერმული წყალი (25 გრადუსი), მინერალიზაციით 0,53 გრამი ლიტრზე და დებიტი 36,4 მ³ დღე-ღამეში.

90-იან წლებში საქართველოში თერმული წყალი მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვებოდა და მისი ამოღების მოცულობა წლითიწლობით იზრდებოდა. მაგალითად, 1985 წელს სულ მოპოვებულ იქნა 21,0 მლნ, ხოლო 1990 წელს 9,8 მლნ მ³ თერმული წყალი. შემდგომ წლებში კი იგი თითქმის შეწყდა. მაგალითად, 2001 წელს მისმა მოპოვებამ მხოლოდ 54,6 ათასი მ³ შეადგინა.

მიუხედავად ამისა, 90-იან წლებში საბადოთა გამოყენების დონე არ აღემატებოდა 30-35%-ს; დანარჩენი წყალი კი უქმად იღვრებოდა და ახლომდებარე ტერიტორიის როგორც თბურ, ისე ეკოლოგიურ დაბინძურებას იწვევდა.

საქართველოში თერმული წყლების გამოყენებას აფერხებდა:

- მომხმარებელთა შეზღუდულობა;
- სარგებლობისათვის წყლის მომზადების დაბალი დონე;
- წყლის რეალიზაციის მოქმედი ტარიფი, რომელიც მეტისმეტად დაბალი იყო და არ ითვალისწინებდა წყლის ტემპერატურას;
- არასრულყოფილი მოქმედი მოწყობილობები და თბომომარაგების სქემები.

აღნიშნულ სიძნელეთა დაძლევისათვის აუცილებელი იყო თერმული წყლების გამოყენების გაფართოება როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში (სასათბურე მეურნეობები, ფერმები და ა.შ.), ისე სოფლის მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის. სრულყოფას საჭიროებდა ტექნოლოგიური

პროცესები პიკურ საქვაბეებში, საცხოვრებელ და ადმინისტრაციულ შენობებში. წყლის გამოყენების ეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთი გზა იყო დამუშავებული წყლის განმეორებითი ჩატუმბვა არსებულ ქაბურღილებში.

საქართველოში თერმულ წყლებს დიდი თბოპოტენციალი გააჩნია. დადებითია მისი ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. აქვს მცირე მინერალიზაცია 10,22-2,9 გრამი ლიტრზე. ამასთან, უმეტეს საბადოთა წყლები პრაქტიკულად არ ინვევს ლითონზე ინტენსიურ კოროზიასა და მარილდანალექს. ყოველივე ეს მისი გამოყენების დიდ შესაძლებლობაზე მიუთითებს.

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და ეკოსისტემების დაცვა თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მისი მართებული და მასშტაბური გადანყევტა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენს აწყმოს და მომავალს. საქართველოში წიაღისეული ენერგორესურსების შეზღუდული მარაგი, სათბობისა და ენერგის პოღიტუკურად არასტაბილური რეგიონებიდან არა მდგრადი იმპორტი, ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინების აუცილებლობა სულ უფრო აქტუალურს ხდის არსებული ენერგეტიკული რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებას და ენერგის ახალი რეზერვების ძებნას. ენერგეტიკა აუცილებლად მოითხოვს ხანგრძლივვადიან დაგეგმვას, რისთვისაც უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ სათბობის მოპოვების და ელექტროენერგის გამომუშავების ტრადიციული ტექნოლოგიების შესაძლებლობები, არამედ არატრადიციული განახლებადი წყაროების ბაზაზე მათი განვითარების პერსპექტივებიც. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მთლიანად მოიშალა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი მომსახურების სფეროში ცხელი წლის მომარაგების და გათბობის სისტემები, რომელზეც იხარჯებოდა მთელი ენერგორესურსების მესამედი და ეს ტვირთი დაანვა ენერგოსისტემას, მივხვდებით, რამ გააუარესა მისი მდგომარეობა, ხოლო თბომომარაგების უმოქმედობა მნიშვნელოვან ზარალს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას და გარემოს. ნათელი ხდება სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის (სეკ)

განვითარების ოპტიმიზაციის მწვავე აუცილებლობა. ამასთან საქართველოში აღინიშნება ენერგეტიკული რესურსების არარაციონალური მოხმარება, ხოლო არსებული საკუთარი ბუნებრივი სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, როგორც ტრადიციული, ისე არატრადიციული, სათანადოდ არა ათვისებული. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქნეს მიღებული მისი ავტონომიურობის გაზრდა, რაც უნდა განხორციელდეს, პირველ რიგში, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური ათვისებით და მათი რაციონალური გამოყენებით.

ცხადია, ასეთ პირობებში საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსების ეფექტური განვითარებისა და ქვეყნის საიმედო ენერგო უზრუნველყოფის გზებისა და მიმართულებების ძიება მეტად მწვავე პრობლემაა. იგი აქტუალურია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზაა თერმული ენერჯის ათვისება, მით უმეტეს, რომ იგი საბაზისო, განახლებადი ადგილობრივი რესურსია. ენერჯის განახლებადი წყაროების ათვისება-გამოყენება კი არის ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების ერთერთი აუცილებელი კომპონენტი.

ლიტერატურა

1. გველესიანი თ., ჩომახიძე დ., – საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება, თბილისი 2011
2. ავტორთა კოლექცია, აკად. ი. ჟორდანიას ხელმძღვანელობით – საქართველოს ბუნებრივი რესურსები, ტ 2 ., თბილისი 2015
3. <http://www.esco.ge/>
4. <http://www.gse.com.ge/>
5. <http://www.gnerc.org/>

REFERENCES:

1. Gvelesiani T, Chomakhidze D. – The energy safety of Georgia. Tbilisi, 2011 (in Georgian).

2. Group of authors, under the guidance of I. Zhordania – Natural resources of Georgia, vol. 2, 2015 (in Georgia).

3. <http://www.esco.ge/>

4. <http://www.gse.com.ge/>

5. <http://www.gnerc.org/>

THERMAL WATERS – ONE OF THE COMPONENTS OF ENERGY SAFETY

Rezo Sakheishvili ,

PhD Student of
Georgian Technical University

RESUME

The article deals with the thermal water resources that are one of the most deeply studied kinds of deep heat of the Earth and are related to underground thermal waters. Georgia is one of the richest countries in the world by these waters that is one of the components of the energy safety.

It should be noted that almost the half of the confirmed thermal water industrial reserves of the former Soviet Union are concentrated in our country. At the modern stage of hydrological study of the territory of Georgia the total expected reserves of thermal waters (water temperature 50-110°C) are 250 mln cubic meters. As the data of the Georgian scientific and research institute of power engineering and hydrotechnical constructions shows, their full employment makes it possible for us to save 1.5-2 mln tons of the fuel equivalent.

Key words: Thermal waters, power engineering, energy safety, bore well.



ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი



მარკეტინგი VS მენეჯმენტი

მაია ჩეჩელაშვილი, ეკონომიკის დოქტორი,
სტუ ასოცირებული პროფესორი
ლია ბერიკაშვილი, ეკონომიკის დოქტორი,
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მარკეტინგისა და მენეჯმენტის უპირატესი მნიშვნელობის შესახებ უკანასკნელ წლებში წარმოქმნილი აზრთა სხვადასხვაობა. ავტორები პასუხს სცემენ ამ შეკითხვას და ასაბუთებენ როგორც მარკეტინგის, ასევე მენეჯმენტის მნიშვნელობას განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და ბაზრის განსხვავებულ პირობებში მომუშავე კომპანიებისათვის.

მენეჯმენტისა და მარკეტინგის კლასიკოსების, თანამედროვე ავტორებისა და საკუთარ შრომებზე დაყრდნობით, ავტორები წარმოადგენენ მენეჯმენტისა და მარკეტინგის მნიშვნელობითი თანაფარდობის საკუთარ სქემას და ასკვნიან, რომ ნებისმიერი ორგანიზაციის (კომპანიის) განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და ბაზრის გარე პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტსა და მარკეტინგს საკუთარი მნიშვნელობითი „ფასი“ გააჩნია.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგი, მენეჯმენტი, კომპანიის სასიცოცხლო ციკლი, სპეციალისტის მნიშვნელობა.

ძირითადი ტექსტი

დღეს ქართულ თუ უცხოურ სტატიებში ხშირად ისმის მოსაზრებები მარკეტინგის ანდა მენეჯმენტის უპირატეს მნიშვნელობაზე. მსჯელობა იმაზე, რომელი მათგანია უფრო მნიშვნელოვანი, დაახლოებით ბავშვობისდროინდელ დავას გვაგონებს, როცა ვამტკიცებდით, რომ ბრუს ლი მოერევა ჯეკი ჩანს, ანდა რობოკოპი ტერმინატორს. მეცნიერული დავა დღეს იმავე

მგზნებარებით მიმდინარეობს ჩვენ შორის, როგორც ბავშვობაში, უბრალოდ სხვა თემატიკას ეხება.

და მაინც დავსვამთ ამ კითხვას: რა უფრო მნიშვნელოვანია კომპანიისათვის, მარკეტინგი თუ მენეჯმენტი? თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ეს კითხვა სასაცილოდ მიგვაჩნია, ვინაიდან კომპანიას არ შეუძლია გახდეს ეფექტური მენეჯმენტისა და მარკეტინგის ერთდროული წარმართვის გარეშე და ამაზე ნებისმიერი ჩვენი სტუდენტი გასცემდა დამაჯერებელ პასუხს. სხვათა შორის, ჩვენ მას დავეთანხმებოდით, ვინაიდან მთლიანობაში იგი მართალი იქნებოდა.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეალურ სიტუაციებში რესურსები ყოველთვის არ არის საკმარისი, ამიტომაც წარმოვიდგინოთ სიტუაცია: გამოთავისუფლებულია ერთი ვაკანსია, ანდა გამოყოფილია ერთი კარგი სპეციალისტის დასაქირავებლად საკმარისი თანხა. ვინ მოვინვიოთ, მენეჯერი თუ მარკეტოლოგი? იმისათვის, რომ ავარჩიოთ, ჯერ მკაფიოდ უნდა გავაცნობიეროთ, რომელი სპეციალისტი რაზეა პასუხისმგებელი. თუ მარკეტოლოგთან მიმართებაში ეს ასე თუ ისე გასაგებია, მენეჯერთან მიმართებით რამოდენიმე კითხვაზე პასუხი მაინც გასაცემი რჩება.

დღეს საქართველოში ძნელად თუ გაგვახსენდება უსდ, რომელიც არ ამზადებს სეილს-მენეჯერებს, ექაუნტ-მენეჯერებს, მარკეტინგ-მენეჯერებს, პრომო-მენეჯერებს, წარმოების, ფინანსების, ინვესტიციების მენეჯერებს, პერსონალისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის, განვითარების მენეჯერებს და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენს. განვიხილოთ ეს ყოველივე, როგორც მენეჯმენტი? იქნებ ჩამოთვლილ სპეციალიზაციებიდან ბევრი უბრალოდ დაწინაურებული სპეციალისტის (ბუღალტრის, მშენებლის, ინჟინრის, მეტალურგის) მიერ შესასრულებელ ფუნქციებს ფარავს? ეს ფუნქციები ხანდახან ემთხვევა მენეჯმენტის 4 ძირითად ფუნქციას: დაგამგვას, ორგანიზაციას, მოტივაციასა და კონტროლს, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც რაღაცას გეგმავს, აკონტროლებს, აიძულებს საკუთარ თავსა ან სხვებს რაიმეს

გაკეთებას, მენეჯერია. ფუნქციური დამთხვევა სახეზეა და-სახელებაშიც და შინაარსშიც, მაგრამ მენეჯმენტია ეს თუ არა? ქართულად ხომ ბევრი აღიქვამს მენეჯმენტს, როგორც მართ-ვას, რაც არ არის ზუსტი განმარტება.

თუ ისტორიას მივმართავთ, აღმოვაჩინოთ, რომ პირველად ტე-რმინი მენეჯმენტი იოზეფ შუმპეტერის მიერ იქნა შემოღებული. მანამდე არსებობდა მხოლოდ ნარმოების ფაქტორთა ცნებები (მინა, კაპიტალი და შრომა) და სწორედ ი. შუმპეტერმა შემოიტა-ნა ამ ფაქტორების გამაერთიანებელი მეოთხე ელემენტის, კვა-ლიფიციური მენეჯმენტის ცნება. მენეჯმენტის უამრავი განმა-რტება არსებობს, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში ვისრგებლებთ თვით ი. შუმპეტერის მიერ ჩამოყალიბებულ, ჩვენი აზრით, ყვე-ლაზე უპრიან განმარტებას: მენეჯმენტი - ეს არის შრომა წა-რმოებაში სინერგიული ეფექტის მიღწევისათვის¹.


მოკლედ შუმპეტერის მოსაზრება მდგომარეობს შემდეგში: $1=1=3$, ანუ კვალიფიციური მენეჯერი ისე მართავს ნარმოების პროცესს, რომ კომპანიის, როგორც ერთი მთლიანობის, მნიშ-ვნელობა მეტია მისი შემადგენელი ცალკეული ერთეულების მნიშვნელობათა ჯამზე.

ჩვენი მოსაზრებით, რომელსაც არ აქვს პრეტენზია ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტების სტატუსზე, მენეჯერი - ეს არის ხე-ლმძღვანელი, ხოლო ნებისმიერ ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს მენეჯერის უნარ-ჩვევები, რომელთაგან ერთი მეტად არის გა-ნვითარებული. ეს ნიშნავს, რომ კვალიფიციურ მენეჯერს გა-აჩნია მართვის უფრო ფართო და ღრმა ცოდნა, ხოლო დარგის სპეციალისტს, რომელიც ამა თუ იმ ნიშნით დანიშნაურდა, მენე-ჯმენტის ერთი (ზოგ შემთხვევაში - ორი) ფუნქციის განხორცი-ელება ხელეწიფება.

კომპანიის (საწარმოს, ორგანიზაციის) სათავეში ჩვენ მოვია-ზრებთ ტოპ-მენეჯერს, რომელიც რეალურ მმართველს წარმო-ადგენს (ნახ. 1).

1 Schumpeter, Joseph A. (1949), "Economic theory and entrepreneurial history", in Wohl, R. R., Change and the entrepreneur: postulates and the patterns for entrepreneurial history, Research Center in Entrepreneurial History, Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, OCLC 2030659

ნახატი 1. ჰიპოტეტური კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა



დავუბრუნდეთ საკითხს იმის შესახებ, თუ მენეჯერსა და მარკეტოლოგს შორის ვინ უფრო მნიშვნელოვანია.

მარკეტინგის განყოფილება წყვეტს ისეთ საკითხებს, როგორცაა: რა და როგორ ვაწარმოოთ, ვის მივყიდოთ, რა ფასად გავყიდოთ, რა მოცულობა მივანოდოთ, როგორ შევფუთოთ, რამდენი დავხარჯოთ რეკლამაზე და ა.შ. ანუ წარმოებისა და გასაღების სფეროს ყველა მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ მარკეტინგის განყოფილებაშია განსახილველი და გადასაწყვეტი. ნახატზე 1 ნაჩვენებია, რომ მარკეტინგის განყოფილება „ცხვირს ყოფს“ ყველა სხვა განყოფილების საქმეებში. ჩვენი მხრიდან დავსძენთ, რომ კომპანიის არსებობის გარკვეულ პეროდებში ეს აქცენტი სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. საქონლის „ცხოვრებისეული ციკლის“ კლასიკურ ეტაპების განხილვის შემთხვევაში, აქცენტებს შემდეგნაირად გადავანალიზებდით:

- **დანერგვის სტადია (ბაზარზე გასვლა):** მთავარი აქ მარკეტინგია. მარკეტინგული სტრატეგიის, ბაზრის, კონკურენტებისა და მომხმარებლების შესახებ ცოდნის გარეშე ბაზარზე გასვლა საერთოდ ვერ განხორციელდება;

- **ზრდის სტადია:** ბაზარზე წარმატებით გავედით, ვიზრდებით, მოთხოვნა ჭარბობს მიწოდებას - ყველაფერი რიგზეა. ამ

ეტაპზე მარკეტინგიც და მენეჯმენტიც ერთნაირად მნიშვნელოვანია, რადგან მარკეტინგი საჭიროა მოთხოვნის უკეთ გამოსაკვლევად, მისი პარამეტრების ზუსტად დასადგენად, ფასების ადეკვატური ზღვრების დასაწესებლად, რაც, საბოლოო ჯამში, კომპანიის შემდგომ დინამიურ ზრდას განაპირობებს; მენეჯმენტი კი აუცილებელია წარმოების საჭირო მოცულობის უზრუნველსაყოფად, ადამიანური და ფინანსური ნაკადების უკეთ სამართავად. ამ სტადიაზე, როგორც წესი, მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას, ამდენად ამ ეტაპზე მენეჯმენტს უფრო მნიშვნელოვნადაც კი მივიჩნევდით;

- **სიმწიფის სტადია:** ჩვენი აზრით, აქ მენეჯმენტი გაცილებით მნიშვნელოვანია. განვითარების ამ ეტაპზე კომპანია იმკის საკუთარი საქმიანობის შედეგებს მოგების სახით. ცხადია და უპირობო, რომ მარკეტინგი აუცილებელია, მაგრამ ამ კონკრეტულ ეტაპზე თავისი მნიშვნელობით იგი ჩამორჩება გონიერი მენეჯმენტის მნიშვნელობას. არანაირი განსხვავებული სქემა, ინვესტიცია, ზოგადად - არანაირი ცვლილება! მარკეტინგი ამ ეტაპზე მხოლოდ „ხელშემწყობ“ რეჟიმში მუშაობს;

- **ვარდნის სტადია:** როგორ მაღლადაც არ უნდა გავტყორცნოთ ქვა, იგი ისევ მიწას დაენარცხება. ადრე თუ გვიან ნებისმიერ ბაზარზე იქნება ვარდნა და რაოდენ სამსუხაროც არ უნდა იყოს ეს მოვლენა პრაქტიკულად, თეორიულად ვარდნა მკვლევარებისთვის გაცილებით საინტერესო მომენტიცაა, ვინაიდან აქ შეიძლება მივიღოთ ორი დიამეტრულად განსხვავებული ვარინატი: გაყიდვების მოცულობა შეიძლება ნულზე დაეცეს, ხოლო შეიძლება „მეორე სუნთქვა“ გაეხსნას და ავიდეს განვითარების ახალ დონეზე. აქედან გამომდინარე, პრიორიტეტები სხვადასხვანაირად შეიძლება იქნას გადანაწილებული. მაგალითად, მიღებულია გადაწყვეტილება წამგებიანი მიმართულების დახურვის, ანდა წარმოების წამგებიანი ნაწილის გასხვისების (გაყიდვის) შესახებ. ამ შემთხვევაში მენეჯერი მნიშვნელოვანია იმისთვის, რათა მიიღოს გადაწყვეტილებების რიგი საწარმოო მარაგების ლიკვიდაციის, პერსონალის გათავისუფლების ან კვალიფიკაციის შეცვლის, კომპანიის სტრატეგიული პოლი-

ტიკის კორექტირების შესახებ; ხოლო როცა ტოპ-მენეჯმენტი თვლის, რომ საქონელი ბოლომდე ვერ იქნა მომხმარებლის მიერ „გაგებული“ და მას ბაზარზე კიდევ აქვს პოტენციალი - წინა პლანზე მარკეტინგი წამოიწევა, რადგან მან უნდა შეიმუშაოს ახალი USP (Unique Selling Proposition - უნიკალური სავაჭრო შეთავაზება), სწორად წარმოაჩინოს იგი მომხმარებელთა წინაშე და თავიდან აამუშაოს მთელი სქემა, ანდა უბრალოდ გადაწყვიტოს ახალი ბაზრის ათვისების ამოცანები.

საბოლოო ჯამში მენეჯმენტისა და მარკეტინგის მნიშვნელობათა თანაფარდობა კომპანიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მიახლოებული მნიშვნელობებით შემდეგნაირად გვესახება:

- დანერგვა: მარკეტინგი - 80%, მენეჯმენტი - 20%;
- ზრდა: მარკეტინგი - 40%, მენეჯმენტი - 60%;
- სიმწიფე: მარკეტინგი - 30%, მენეჯმენტი - 70%;
- ვარდნა: არჩეული სტრატეგიის მიხედვით თანაფარდობის ორი ვარიანტი არსებობს: მარკეტინგი - 70%, მენეჯმენტი - 30%, ან მარკეტინგი - 30%, მენეჯმენტი - 70%.

ცხადია, ეს მხოლოდ პირობითი სქემაა და მას არ აქვს მაქსიმალური სიზუსტის პრეტენზია, ეყრდნობა რა არა კონკრეტულად ამ სტატიისათვის ჩატარებულ კვლევას, არამედ ავტორების წინა კვლევებისა და გამოცდილების შეჯამებულ დასკვნებს. ამ საკითხით უფრო ღრმა დაინტერესების შემთხვევაში, ჩვენ აუცილებლად გამოვიკვლევთ მას სეზონურობის, ეკონომიკური ციკლების მონაცვლეობის, ფირმისა და ტოპ-მენეჯმენტის ცვალებადი პოლიტიკის, ბაზარზე არსებული ძველი და ახალი „მოთამაშეების“, საწარმოო პროცესებში მომხდარი ცვლილებების მიხედვით. დასასრულ კი ჩვენს დასკვნას შემდეგნაირად ჩამოვყალიბებთ: კომპანიაში (ორგანიზაციაში) ერთნაირად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია როგორც პროფესიონალი მენეჯერების, ასევე მარკეტოლოგების ყოფნა. მათიც - ყველა მარკეტოლოგი, ისევე როგორც სხვა მმართველები, უნდა ფლობდეს მენეჯმენტის უნარებს, ხოლო მენეჯერები კი მარკეტინგის საფუძვლებს მაინც. მაგრამ კომპანიის განვითარების სხვადასხვა

ეტაპზე ამ ორი სპეციალობის მნიშვნელობის შესახებ აქცენტები განსხვავებულად შეიძლება იქნას დასმული. საუბარი, მით უმეტეს, დავა იმაზე, რომ შესაძლებელია რომელიმე მათგანის უგულვებლყოფა, ყოველად დაუშვებლად მიგვაჩნია.

ბამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. Ballantyne, D.F. "Internal marketing, collaboration and motivation in service quality management", working paper No. SWP 23/91, Cranfield School of Management. 1991.
2. Bateson J.E.G. Managing' Services Marketing Text Readings // U.S.A.: The Dryden Press.
3. Bradley Frank. Marketing Management. Providing, Communicating and Delivering Value //Prentice Hall Europe. 1995. 990 p.
4. Drucker P. Management for results. L. Heinemann, 1964.
5. Drucker P. The Frontiers of Management. New York: Talley Books, 1986.
6. Grunroos, C. "Internal marketing theory and practice", in Bloch, T.M., Upah, G.D. and Zeithaml, V.A. (Eds), Services Marketing in a Changing Environment, American Marketing Association. 1985, pp. 41-47.
7. Gummesson E. "Case study research in management: methods for generating qualitative data", Stockholm University (preliminary script). 1992.
8. Kotler Ph. Marketing Management: Analysis, planing, implementation and control. 6th ed. Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall. 1988.
9. Penrose Edith T. Theory of the Growth of the Firm. Oxford: Blackwell, 1960.
10. Wilson, R.M.S., Gilligan, C.T. and Pearson, D.J. Strategic Marketing Management: Planning, Implementation and Control, Butterworth Heinemann/CIM, London. 1992.

MARKETING VS MANAGEMENT

Maia Chechelashvili,

Doctor of Economics,

Associate Professor of Georgian Technical University

Lia Berikashvili,

Doctor of Economics,

Associate Professor of Georgian Technical University

RESUME

The article considers the views that have arisen in recent years, which relate to the preferred value of marketing against management, or vice versa. The authors answer the questions raised and justify their own point of view: both marketing and management have different degrees of significance for the company at each stage of the “life cycle”, also based on the current market conditions.

Based on the works of the classics of management and marketing, the works of foreign and Georgian authors and their own experience, the authors present a diagram of the relative importance of marketing and management at each stage of the company’s (organization’s) development. They conclude that at each stage of the company’s development the importance of management and marketing have their own “price.”

Key words: marketing, management, life cycle of the company, the importance of the specialist.

მყარი მინერალური რესურსების მართვის საერთაშორისო პრაქტიკის მნიშვნელობა საქართველოსთვის

როდენ მემარნიშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის,
კომპიუტინგისა და სოციალურ
მეცნიერებათა სკოლის დოქტორანტი

რეზიუმე

სამთო სექტორში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და მდგრადი განვითარება დამოკიდებულია მინერალური რესურსების საკუთრების უფლებებისა და ლიცენზირების მარეგულირებელ სახელმწიფო პოლიტიკაზე.

მსოფლიოში მინერალურ რესურსებზე საკუთრების უფლებების განკარგვისა და კონტროლის მიხედვით სამი ძირითადი სისტემის გამოყოფა შეიძლება (კონცესიური სისტემა, მინის მესაკუთრეობის სისტემა და მოთხოვნაზე დამყარებული სისტემა). თითოეულ ამ სისტემას გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები. თუმცა, მთლიან დინამიკას თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ რომ ქვეყნები ცდილობენ მათ ქვეყნებში დაწერგულ საკუთრებისა და ლიცენზირების/ნებართვების მარეგულირებელ პოლიტიკაში შეიტანონ იმ სისტემის ელემენტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მეტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და მდგრად განვითარებას. ამ ცვლილებებს შორის ხშირად არის: სახელმწიფო მინებზე უფასოდ შესვლისა და საძიებო ღონისძიებების ჩატარების უფლება; მინერალური რესურსების კვლევის ლიცენზიის აუქციონზე გაყიდვის ნაცვლად, კვლევის ლიცენზიის იმ კომპანიაზე გადაცემა, რომელიც პირველი აღმოაჩენს მინერალურ რესურსს და დააკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს; ე.წ. იაფი მინერალური რესურსების

(მაგალთად ქვიშა, ხრეში, კირქვა) მიწის მესაკუთრეთა კერძო საკუთრებად აღიარება.

საკვანძო სიტყვები: უცხოური ინვესტიციები, მინერალური რესურსები, საკუთრების უფლებები, ლიცენზირება, კონცესიური სისტემა, მიწის მესაკუთრეობის სისტემა, მოთხოვნაზე დამყარებული სისტემა, მდგრადი განვითარება, მართვის სისტემები, „იაფი მინერალური რესურსები“.

ქირითადი ტექსტი

როგორც წესი, მინერალურ რესურსებზე საკუთრების უფლებების მოპოვებისა და განკარგვის წესი განისაზღვრება სპეციალური კანონმდებლობით.

მსოფლიოში მინერალურ რესურსებზე საკუთრების უფლებების, მათი განკარგვისა და კონტროლის მიხედვით ცნობილია სამი რადიკალურად განსხვავებული სისტემა, რომლებსაც ბევრი ქვეყნის მინერალური რესურსების უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობა ეფუძნება: **კონცესიური სისტემა, მიწის მესაკუთრეობის სისტემა და მოთხოვნაზე დამყარებული სისტემა.** კონცესიური სისტემის პირობებში, მინერალურ რესურსების კვლევისა და მოპოვების უფლებებს გასცემს სახელმწიფო; მიწის მესაკუთრეობის სისტემის შემთხვევაში, მინერალური რესურსების კვლევასა და მოპოვებაზე უფლებას გასცემს მიწის მესაკუთრე; ხოლო მოთხოვნაზე დამყარებული სისტემის მიხედვით, მინერალური რესურსების აღმოჩენი თავად გამოითხოვს სახელმწიფოსგან ამ უფლებებს.

წიალის შესახებ კანონში აღნიშნულია, რომ “საქართველოს წიალი სახელმწიფო საკუთრებაა. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელიც პირდაპირ ან ფარულად ხელყოფს წიალზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ასეთი გარიგება კი ბათილია. მიწაზე საკუთრების უფლება არ ნიშნავს და არ იძლევა წიალზე საკუთრების უფლებას”¹.

კონცესიური სისტემის პირობებში, რომლის მოქმედების კლასიკური ქვეყნებია საფრანგეთი, ბელგია და ჰოლანდია, სა-

1 საქართველოს კანონი „წიალის შესახებ“ (1996), მუხლი 2.

ხელმწიფომ თავად უნდა განსაზღვროს მინერალურ რესურსების კვლევის და მოპოვების უფლების გაცემისა და სათანადო კანდიდატის შერჩევის საკითხი. შესაბამისი სახელმწიფო უწყება მიანიჭებს უპირატესობას იმ აპლიკანტს, რომელიც ყველაზე უკეთ დააკმაყოფილებს სახელმწიფო მოთხოვნებს. დისკრეციული მიდგომა გულისხმობს საუკეთესო კომპანიის შერჩევას ისეთი მოთხოვნების საფუძველზე, როგორიცაა: სამთო პროგრამა, სადაც სათანადო დროის პერიოდში დეტალურად იქნება განერილი დაგეგმილი კვლევითი სამუშაოები საბადოში არსებული მინერალური რესურსების სახეობის და მოცულობის მიხედვით; ფინანსური გარანტიები, იმის დასამტკიცებლად, რომ შეძლებს კვლევის ჩატარებას და სხვ.

საქართველოში მინერალურ რესურსებზე ლიცენზიის გაცემის დროს კომპანიის შერჩევა არ ხდება დისკრეციული მიდგომით და შესაბამისად, შესაძლებელია ლიცენზია მიიღოს ისეთმა სამთო კომპანიამ, რომელსაც ამ სფეროში მუშაობის ნაკლები გამოცდილება აქვს; ან ნაკლებად აქვს წინასწარ შესწავლილი საბადო, სადაც უნდა დაიწყოს კვლევითი ან მოპოვებითი სამუშაოები. ამგვარ პირობებში სახელმწიფო, ასევე ნაკლებად არის დაზღვეული, რომ არ მოხდება არაკეთილსინდისიერი ან სახელმწიფო ინტერესებთან კონფლიქტში მყოფი კომპანიის შერჩევა. გერმანიაში, სადაც მინერალური რესურსების მართვის შერეული სისტემა მოქმედებს, მინერალური რესურსების კვლევის ლიცენზიის მოპოვების რამდენიმე კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო უწყება უპირატესობას მიანიჭებს იმ კანდიდატს, რომელიც დააკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს და ექნება სხვებთან შედარებით ყველაზე უკეთესი სამთო პროგრამა.

მეორე მხრივ, საქართველოში არსებული მინერალური რესურსების მართვის პოლიტიკა არ არის ორიენტირებული ახალი მინერალური რესურსების აღმოჩენისა და კვლევის ხელშეწყობაზე, რასაც ითვალისწინებს **მოთხოვნაზე დამყარებული მართვის სისტემა**. როგორც წესი, ქვეყნებში, სადაც სამთო პოლიტიკა განიცდის მოთხოვნაზე დამყარებული სისტემის მნიშ-

ვენელოვანი ელემენტების გავლენას (აშშ, კანადა, ავსტრალია და ახალი ზელანდია), სახელმწიფო მინებზე “თავისუფალი შეღწევადობის” უფლება (სახელმწიფო მინებზე უფასოდ შესვლისა და მინერალური რესურსების საძიებო სამუშაოების ჩატარების უფლება) არსებობს. ასევე ხდება სახელმწიფო მინებზე არსებული მინერალური რესურსები კვლევის ლიცენზიების გაცემა იმ სუბიექტებზე, რომლებიც პირველი აღმოაჩენენ საბადოს ან პირველი გააკეთებენ განაცხადს. სახელმწიფო მართვაში არსებულ მინებზე თავისუფლად შეღწევადობის პრინციპი, ასევე მოქმედებს შვედეთში, ფინეთსა და დასავლეთ ავსტრალიაში, თუმცა კვლევის ლიცენზიის მიღების უპირატესობით, ამ შემთხვევაში, სარგებლობს ის კანდიდატი, რომელიც პირველი გააკეთებს შესაბამის განაცხადს. ამდენად, მინერალური რესურსების მოთხოვნის სისტემაზე დამყარებული მართვის პოლიტიკა ხელს უწყობს საძიებო და კვლევითი სამუშაოების ჩატარებას, რისი ნაკლებობაც შეინიშნება საქართველოში.

საკუთრების მესამე პრინციპი, რომელიც **მინის მესაკუთრეობას სისტემას** ემყარება ხელს უწყობს ამ სფეროში კერძო სექტორის მეტ ჩართულობას. ამ პრინციპის მიხედვით, რომელიც მაგალითად, მოქმედებს აშშ-ში, მინერალური რესურსები, რომლებიც კერძო მინის საკუთრებაზე აღმოჩნდნენ, წარმოადგენენ მინის მესაკუთრის საკუთრებას. ამ მინის მესაკუთრეებს შეუძლიათ შესაბამის სახელმწიფო უწყებაში მინერალური რესურსები დაარეგისტრირონ საკუთარ ქონებად, რომელიც მინისგან განცალკევებით, შეუძლიათ განკარგონ როგორც ნებისმიერი სხვა უძრავი ქონება, რაც გულისხმობს მის გაყიდვას, გაქირავებას, დაგირავებას და გასხვისებას. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი კონკურენციის პრინციპების მეტად განვითარებას, როდესაც ფასები რეგულირდება კერძო სუბიექტებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე, მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად.

“წიალის შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით, წიაღისეული რესურსები წარმოადგენენ სახელმწიფო საკუთრებას. გამონაკლის წარმოადგენს არაგანახლებადი ბუნებრივი რესურ-

რსით (ფიქალის ქვით) სარგებლობა¹. არაერთ ქვეყანაში, სადაც მინერალური რესურსები წარმოადგენენ სახელმწიფო საკუთრებას (მაგალითად შვედეთი, პორტუგალია, ფინეთი, გერმანია), ე.წ. იაფი მინერალური რესურსები, როგორცაა ქვიშა, კირქვა, ხრეში და სხვა მცირე მნიშვნელობის მინერალური რესურსები წარმოადგენს მიწის მესაკუთრის საკუთრებას.

შეიძლება ითქვას, რომ სამთო სექტორში საქართველოს კანონმდებლობა არ შეესაბამება მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მინერალური რესურსების მართვის არსებულ არცერთ სისტემას, და შესაბამისად ვერ იყენებს მათ უპირატესობებს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მინერალური რესურსების კონცესიური სისტემის მქონე ქვეყნებში ეს უპირატესობა ვლინდება სამთო კომპანიის არჩევის დროს დისკრეციული ელემენტის არსებობით; მოთხოვნაზე დამყარებული სისტემების მქონე ქვეყნებში მინერალური რესურსების ძებნისა და კვლევის სტიმულირებით, რაც გამოიხატება სახელმწიფო მართვაში არსებულ მიწებზე თავისუფლად შეღწევალობის უფლებით, ასევე მინერალური რესურსების პირველ აღმოჩენ სამთო კომპანიაზე (ზოგიერთ, შემთხვევაში განაცხადის გამკეთებელ პირველ კანდიდატზე) კვლევის უფლების გადაცემის უპირატესობის მინიჭებით; ხოლო მიწის საკუთრებაზე დაფუძნებული სისტემის მქონე ქვეყნებში - თავისუფალი კონკურენციისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების განვითარების ხელშეწყობით, როდესაც სახელმწიფოს ჩარევის დონე ძირითად შემოიფარგლება უსაფრთხოების სტანდარტების დადგენითა და გარემოზე ზემოქმედების დონის კონტროლითა და ზედამხედველობის საკითხებით.

სამთო სექტორში კონკურენციის ნაკლებობა თვალსაჩინო ხდება სამთო საბადოების ლიცენზიის გაყიდვაზე გამოცხადებულ აუქციონებზე, სადაც უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ერთი მყიდველი მონაწილეობს. უფრო მეტიც, საქართველოში არსებობს მნიშვნელოვანი საბადოები (მანგანუმის, სპილენძისა და

¹ "სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე (2005), მუხლი 3

ოქროს), რომლებიც ამ ეტაპზე მხოლოდ ნაწილობრივ არის ათვისებული¹. ამის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი, ასევე ინფორმაციაზე გამჭვირვალობის ნაკლებობა. საქართველოს „წიაღის შესახებ“ კანონის 29 მუხლში აღნიშნულია, რომ საქართველოში პოტენციურ საბადოებზე არსებული ყველა გეოლოგიური ინფორმაცია კერძო კომერციულ საკუთრებად ითვლება, რაც საბადოებს ნაკლებად მიმზიდველს ხდის ინვესტორის თვალში. მიუხედავად, იმისა რომ აღნიშნული მუხლი ეწინააღმდეგება “მინერალური მარაგების ანგარიშების წარდგენის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (CRIRSCO) საკონსულტაციო მოდელის“ გამჭვირვალობის პრინციპს².

ამდენად, საჭიროა დაძიებული მინერალური რესურსების დათვლა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მოპოვების ლიცენზიის მფლობელმა სამთო კომპანიამ მინერალური რესურსებისა და მარაგების შესახებ ინფორმაცია გახადოს გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ნებისმიერი პოტენციური ინვესტორისთვის. მეორეს მხრივ, თუ კვლევის ლიცენზიის მფლობელები არ გახდებიან მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზიის მფლობელები, მათ მიეცეთ საშუალება გაყიდონ მათ მიერ მოპოვებული კონკრეტული მონაცემები დაძიებულ და გამოკვლეული მინერალური რესურსების შესახებ იმ კომპანიისთვის, რომელიც გახდება მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზიის მფლობელი. ამისათვის CRIRSCO-ს სტანდარტები უნდა იქნეს შემოღებული და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას “წიაღის შესახებ” კანონში.

იმისათვის, რომ საქართველოს მინერალური რესურსების მართვის პოლიტიკა გახდეს უფრო მეტად ინვესტორზე მორგებული და მოხდეს ამ სექტორის დაახლოება საბაზრო ეკონომიკის

1 დავით საჰა, ჰანს-გეორგ პეტერსენი, ლევან ფავლენიშვილი, ვოლდე-მარ ვალტერი. საქართველოს წიაღის კანონმდებლობის საინვესტიციო და-ბრკოლებების აღმოფხვრა. ბერლინი/თბილისი, 2015, გვ.1

2 CRIRSCO. Committee for mineral reserves international reporting standards. International reporting template for the public reporting of exploration results, mineral resources and mineral reserves (2013), p.4

პრინციპებთან, სახელმწიფომ მყარი მინერალური რესურსების მართვის სფეროში უნდა შემოიტანოს მოთხოვნაზე დამყარებულ სისტემის ელემენტები. კერძოდ, უნდა მოხდეს პირველ რიგში კვლევისა და მოპოვების ლიცენზიების ცალ-ცალკე გამიჯვნა, რაც უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს მათი მართვისა და კონტროლის თვალსაზრისით; ასევე, სახელმწიფომ უნდა გასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მინებზე თავისუფლად შესვლის ნებართვები, რომლებიც იქნება უფასო.

საქართველოში სამთო საძიებო სამუშაოებისა და კვლევის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ის მინიმუმამდეა დაყვანილი. ამდენად, საქართველოს მინერალური რესურსების სფეროში კერძო სექტორის მეტი დაინტერესებისა და ჩართულობის მისაღწევად, მინერალური რესურსების კვლევის უფლება უნდა გადაეცეს იმ კომპანიას, რომელიც პირველი აღმოაჩენს ამ რესურსს.

ამდენად, საწყის ეტაპზე ინვესტორზე მორგებული სისტემის შექმნა შეუწყობს უცხოური მცირე სამთო კომპანიების შემოსვლას ქვეყანაში, ხოლო ახალი მინერალური რესურსების აღმოჩენის შემთხვევაში საშუალო და მსხვილი კომპანიების შემოსვლას. ქვეყანაში სამთო წარმოების ზრდის შემთხვევაში კი გაიზრდება, როგორც ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლები, ასევე ეკონომიკური სარგებელი. კერძოდ, სამთო წარმოების ზრდა გამოიწვევს ქვეყანაში მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ექსპორტის, მშპ-ს წილის ზრდას, ასევე სამუშაო ადგილების შექმნას და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

სახელმწიფომ უნდა შეწყვიტოს კვლევისა და მოპოვების ლიცენზიების გაყიდვა, და სანაცვლოდ გასცეს კვლევის ლიცენზია საბადოს პირველ აღმომჩენ კომპანიაზე, რომელიც კვლევის ლიცენზიის მიღების მინიმალურ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს (სამუშაო სამთო პროგრამის; ფინანსური გარანტიები, იმის დასამტკიცებლად, რომ შეძლებს კვლევის ჩატარებას); ხოლო მოპოვების ლიცენზიის მოპოვების უპირატესობა სამი თვის განმავლობაში მიენიჭოს კვლევის ლიცენზიის მფლობელს. თუ

კვლევის ლიცენზიის მფლობელი ვერ დააკმაყოფილებს მოპოვების ლიცენზიის მინიმალური მოთხოვნებს, ან აღარ მოისურვებს შემდგომი ლიცენზიის მოპოვებას, კვლევის ლიცენზიის მიღების უპირატესობა მიენიჭოს, სახელმწიფოს კომპეტენტური უწყების მეორე საუკეთესო სამთო პროგრამის მქონე სამთო კომპანიას. ამ შემთხვევაში, კვლევის მონაცემების მქონე სუბიექტებს მიეცეთ შესაძლებლობა მათ მიერ მოპოვებული კონკრეტული მონაცემები გაყიდონ მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზიის მფლობელებზე.

მინერალური რესურსების ლიცენზიების უსასყიდლოდ გაცემით წარმოქმნილი დანაკლისის შესავსებად, სახელმწიფო აქცენტი უნდა გააკეთოს მინერალური რესურსებიდან მიღებულ როიალტებზე. საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით მინერალურ რესურსებზე მოსაკრებლები განისაზღვრება სახეობებისა და მოცულობის (რაოდენობის) მიხედვით¹, რომლებიც მათი საბაზრო ღირებულების მიხედვითაც კი არ გამოითვლება. ამგვარი მიდგომა ქმნის არაერთ პრობლემას და საჭიროა მოსაკრებლები მინერალური რესურსების სახეობებზე არა მოცულობის რაოდენობის მიხედვით განისაზღვრებოდეს, არამედ პროცენტულად მინერალური რესურსების საბაზრო ღირებულებიდან (გერმანიის გამოცდილებაზე დაყრდნობით, როიალტების წლიური 10% შეიძლება განისაზღვროს).

ამდენად, ერთი მხრივ, მინერალური რესურსების ლიცენზიების უსასყიდლოდ გაცემის მექანიზმის შემოტანა და მოთხოვნაზე დამყარებული სისტემის ელემენტების დანერგვამ, მეორე მხრივ, კონცესიური სისტემის ფარგლებში არსებული დისკრეციული ელემენტების შემოღებამ და მინერალური რესურსებიდან მიღებული როიალტების საბაზრო ღირებულებაზე დაფუძნებამ, ხელი უნდა შეუწყოს საძიებო სამუშაოების ჩატარებისა და კვლევის ხელშეწყობას; კონკურენციის ზრდასა და მეტი ინვესტორის დაინტერესებას, კვლევის ლიცენზიისა და მინის მესაკუთრეების უფლებების დაცვას; დისკრეციული ელემე-

1 საქართველოს კანონი “ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ”, მუხლი 5.

ნტების შემოღებით საუკეთესო კომპანიის შერჩევის შესაძლებლობას, გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური სტანდარტების დაცვის მოთხოვნებისა გამკაცრების შესაძლებლობას.

დასკვნა

მყარი მინერალური რესურსები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდასა და ცხოვრების დონის ამაღლებაში. ამდენად, ქვეყნის საკუთრებაში არსებული მყარი მინერალური რესურსები, მათი სწორი მართვის შემთხვევაში, წარმოადგენენ ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

საქართველოში არსებობს პოტენციალი, როგორც სამთო საბადოების აღმოჩენის, ასევე უკვე აღმოჩენილი საბადოების კვლევისა და დამუშავების კუთხით. ამ პოტენციალის ათვისება შესაძლებელია საქართველოს სამთო სექტორში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მეშვეობით, მაგრამ ამისათვის საჭიროა უცხოელი ინვესტორებისთვის მისაღები და მიმზიდველი სამთო გარემოს შექმნა. მსოფლიოში მინერალური რესურსების საკუთრების უფლებებისა და ლიცენზირების მართვისა და რეგულირების არსებული საუკეთესო გამოცდილების საფუძველზე უნდა შეიქმნას საქართველოზე მორგებული შერეული მართვის სისტემა.

დღესდღეობით, საქართველოში მინერალური რესურსებზე საკუთრების უფლებებისა და ლიცენზირების მარეგულირებელი პოლიტიკა და კანონმდებლობა არ შეესაბამება მსოფლიოში მინერალური რესურსების მართვისადმი არსებულ არც ერთი ძირითადი სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს (კონცესიური სისტემა, მიწის მესაკუთრეობის სისტემა და მოთხოვნაზე დამყარებული სისტემა). შესაბამისად, საქართველო ვერ ახდენს ამ მარეგულირებელი სისტემების უპირატესობების გამოყენებას. ამდენად, საჭიროა რეფორმების გატარება, რომელიც დაეფუძნება ძირითადი სისტემების ელემენტების შეჯერებული მართვის მოდელს რომელიც მორგებული იქნება ქართულ რეალობას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „წიალის შესახებ“ (1996);
2. “სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ” დებულების დამტკიცების თაობაზე (2005);
3. დავით საჰა, ჰანს-გეორგ პეტერსენი, ლევან ფავლენიშვილი, ვოლდემარ ვალტერი. საქართველოს წიაღის კანონმდებლობის საინვესტიციო დაბრკოლებების აღმოფხვრა. ბერლინი/თბილისი, 2015;
4. მინერალური მარაგების ანგარიშების წარდგენის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (CRIRSCO) საკონსულტაციო მოდელი (ინგლისურ ენაზე);
5. საქართველოს კანონი “ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ”.

REFERENCES:

1. Law of Georgia on Subsoil (1996); (in Georgian Language);
2. On adoption of a regulation on conditions and granting subsoil production licence (2005) (in Georgian Language);
3. David Saha, Hans-Georg Petersen, Levan Pavlenishvili, Woldemar Walter. Removing obstacles to investment in Georgia’s mining regulation. Berlin/Tbilisi, 2015 (in Georgian Language);
4. CRIRSCO. Committee for mineral reserves international reporting standards. International reporting template for the public reporting of exploration results, mineral resources and mineral reserves (2013);

IMPORTANCE OF INTERNATIONAL PRACTICES OF MINERAL RESOURCES MANAGEMENT FOR GEORGIA

Roden Memarnishvili

Ph.D. Candidate at the School of Business,
Computing and Social Sciences of
St. Andrew the First-Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia

RESUME

Attracting foreign investments and achieving the sustainable development in minerals sector depends on the national mining policy, which regulates the mineral ownership rights and licenses.

There are three main regulatory approaches, governing the mineral ownership usage and control issues, on which many countries base their legislation for mineral rights: concession system, land ownership system and claim system. Each system has its own advantages and disadvantages. Although, if we observe overall dynamics of regulatory systems of mineral ownership rights and licenses/permissions, it will be obvious that different nations attempt to change their regulatory systems in order to attract foreign investments and promote the sustainable development in the minerals sector. These changes in mineral policy often include: free entry and reconnaissance on public lands; giving priority to mining companies, which first discovered the mineral resources, in granting exploration license; granting ownership rights of “cheap mineral resources” (such as sand, stone, gravel) to land owners.

Keywords: Foreign Investments, Mineral Resources, Ownership Rights, License, Sustainable Development, Regulatory Systems, Concession System, Land Ownership system, Claim System, Public lands, “Cheap Mineral Resources”.

თანამედროვე ბიზნესში ინოვაციურ ფაქტორებზე მოქმედი გარემოს ანალიზი

სოფიკო ღვინიაიძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თანამედროვე ბიზნესში ინოვაციურ ფაქტორებზე მოქმედი გარემო, ქვეყნის ინოვაციური სისტემის სტრატეგიების ტიპები, სხვადასხვა პირობების შესაბამისად მათი განვითარების აქტუალობა. დახასიათებულია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. განხილულია ქვეყნის წინაშე მდგარი სტრატეგიული განვითარების საკითხებიდან გამომდინარე როდის რომელი ინოვაციური სტრატეგიის ტიპია რაციონალური და ყველაზე ოპტიმალურად შეესაბამება კონკრეტულ ბიზნეს ამოცანას.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარების სტრატეგია, გადმოტანის, დასესხების და გაძლიერების სტრატეგია

შესავალი

დღეისათვის მსოფლიო პრაქტიკაში ინოვაციურ რეჟიმში ეკონომიკის გადაყვანის მდიდარი გამოცდილება დაგროვდა. თანამედროვე მოწინავე ეკონომიკისა და ასევე განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებმა მნიშვნელოვან წარმატებებსა და სტაბილურ შედეგებს მიაღწიეს სწორედ ინოვაციურ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების დანერგვითა და სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავების გზით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებაც შემდგომში დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ინოვაციური და ტექნოლოგიური პოტენციალის განვითარებაზე, სწორი სახელმწიფო-

ბრივი მიდგომისა და პოლიტიკის წარმოებაზე, რადგან ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის წარმოების პერსპექტივა მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობ პირობებზე, ინფრასტრუქტურასა და „სასათბურე პირობებზე“.

უდიდესი მნიშვნელობის რესურსია ასევე ინოვაციური ინტელექტუალური პოტენციალი — მეცნიერულ-ტექნოლოგიური, საწარმოო და სხვა რესურსების ერთობლიობა, ათითოეული მათგანის ჩართვა და სწორი მიმართვა ინოვაციურ საქმიანობაში, რაც საშუალებას მოგვცემს სხვადასხვა სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავების შედეგად სრულყოფილი საქონლის თუ მომსახურების შექმნა შევძლოთ.

ძირითადი ნაწილი

„ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარების სტრატეგიის“ სახელმწიფო პოლიტიკის მიხედვით ცნობილია სამი ძირითადი მიმართულება: გადმოტანის, დასესხების და გაძლიერების სტრატეგია.

გადმოტანის სტრატეგია — ახალი, კონკურენტული პროდუქციის წარმოების ათვისება საზღვარგარეთული მეცნიერულ-ტექნოლოგიურ და ინოვაციურ პოტენციალზე დაყრდნობით. ასევე ახალი ტექნოლოგიების ლიცენზიების საზღვარგარეთ შექმნის გზით.

დასესხების სტრატეგია — ინოვაციური ტექნოლოგიური პროდუქციის, რომელიც ინარმოებოდა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, წარმოების ათვისება და გადმოტანა ქვეყანაში, საკუთარი ინოვაციური პოტენციალის გამოყენებით.

გაძლიერების სტრატეგია — ახალი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ათვისება ახალი და უახლესი ტექნოლოგიების, ქვეყნის საკუთარი მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო-ტექნოლოგიური პოტენციალის და საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით.

აღნიშნულ სტრატეგიებს შორის ქვეყნის საწყისი პირობების გათვალისწინებით საჭიროა ოპტიმალური გზის არჩევა, ამავდროულად კი უნდა იქნეს გათვალისწინებული საქართველოსთვის დამახასიათებელი თავისებურებები: ის რომ ჯერ არ არის

მძლავრი ინფრასტრუქტურა, რომელიც ინოვაციურ მოთხოვნებს პასუხობს, არ არის მკვეთრად გამოხატული სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა, ადგილობრივი საწარმოები განიცდიან ფინანსურ დეფიციტს და ტექნოლოგიური კუთხით დარგობრივ ჩამორჩენილობას, ინოვაციური საწარმოები შედარებით მწირად არიან წარმოდგენილი ბაზარზე და ა.შ.

სწორედ ამ ობიექტური მოცემულობისა და მდგომარეობის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მეტად შეესაბამება „დასესხების“ სტრატეგიის განვითარება, რომელიც შედარებით ნაკლებ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს, თუმცა ამავდროულად საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას ადგილობრივი მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალი.

ამავე დროს ცალკეულ სექტორებში შესაძლებელია პარალელურად „გაძლიერების“ სტრატეგიის გამოყენებაც, ისეთ დარგებში სადაც ქვეყანას მეცნიერულ-ტექნიკური კუთხით კარგი პოზიციები გააჩნია. თუ ამას ხელს შეუწყობს დარგის მასტიმულირებელი სამართლებრივი გარემო.

როგორც ცნობილია, ინოვაციური ეკონომიკის სტიმულირებისთვის მნიშვნელოვანია საჭიროებისამებრ განხორციელდეს, მოძველებული საწარმოების საკუთრების ფორმის შეცვლა, საინვესტიციო ჯგუფების შექმნა, ანტიმონოპოლიური რეგულაციები და ა.შ. ეს კომპლექსური ღონისძიებები მიმართული იქნება ნოვაციებში ინვესტიციების მიზიდვისა და დანერგვის კენ. მისასაღმებელია ისეთი საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც ემსახურება ინვესტორთა მხრიდან ქვეყნის მიმზიდველობისა და ცნობადობის გაზრდას. წარმატებული საინოვაციო პოლიტიკის ნაწილია სახელმწიფო-ინოვაციური სისტემის საგადასახადო და საკრედიტო, საინვესტიციო დაფინანსების რეგულაციების დახვეწა.

ადგილობრივი ბიზნესისა და ასევე უცხოური გამოცდილების შემოდინების კუთხით სტიმულირებისთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის სწორად მიმართვა. კერძოდ, საჭიროა დამზოგველი და მიმზიდველი რეგულაციების გატარება მეცნიერულ-კვლევითი, განსაკუთრებით ინოვაციურ-გამომგონებითი საცდელ-ექსპერიმენტული საქმიანობის კუთხ-

ით. მისასაღმებელია, რომ ამჯამად მოქმედი კანონმდებლობაც ინტელექტუალური საქმიანობის კუთხით ლიბერალურია. მაგალითად, საპატენტო-სალიცენზიო, საავტორო უფლებების კუთხით გარკვეული აქტივტიტები თავისუფალია მოგების დაბეგვრის კომპონენტის კუთხით. საბაჟო ტარიფების კუთხითაც სამომავლოდ საქართველოს, როგორც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანას, მთელი რიგ პოზიციებზე ნულოვანი საბაჟო ტარიფის განაკვეთი აქვს დაწესებული.

ბიზნესში წარმატების მისაღწევად აუცილებელია როგორც გარე ასევე შიდა პროცესების განვითარების ჰარმონიული თანხვედრა. ამიტომ საჭიროა, ბიზნესის შიდა საქმიანობა წარმატებული რომ გავხადოთ, წარმოების პროცესიც მაღალეფექტურად უნდა იქნას ორგანიზებული. მენეჯერის ამოცანაა, რომ ყოველმხრივ გაანალიზოს, შეაფასოს პროცესი და მიიღოს ისეთი სტრატეგიული გადაწყვეტილებები, რომლებზეც წარმოების ეფექტური ორგანიზების დონე შეიქმნება.

მენეჯმენტის ნოვატორულმა თანამედროვე მეთოდებმა შესაძლებელი გახადა ადექვატური რეაგირება გარემო ფაქტორებზე და კლიენტთა მოთხოვნილებების წინასწარ განჭვრეტა და დაკმაყოფილება. არ ჩამორჩნენ ტექნოლოგიური პროგრესის ნოვაციურ მოვლენებს, მაქსიმალური ეფექტიანობით გამოიყენონ ადამიანური რესურსები და ა.შ.

არსებული მდგომარეობის შეფასებით სასურველია საქართველოში ინოვაციური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება. ამ კუთხით ცნობადობის გაზრდისთვის შესაძლოა მოსაზრებულ იქნას მცირე ინოვაციური მენარმეობის მხარდამჭერი სახელმწიფო და არასახელმწიფო ფონდები, საკონსულტაციო და სატრენინგო სამსახურები და ა.შ. რაც ნაწილობრივ უკვე წარმატებით ხორციელდება. თუ გავითვალისწინებთ, სხვადასხვა პროგრამებს, როგორებიცაა „ბიზნეს-ინკუბატორი“, „სტარტაპ“, „ინოვაციური ბანაკი“, „სტარტაპ გრანტები“ და ა.შ.

ინოვაციური პოლიტიკის გატარებისთვის აუცილებელია საკანონმდებლო-ნორმატიული პირობების და ბაზის ფორმირება, რომელიც არეგულირებს ამ საქმიანობას ყველა მიმართულებით.

როგორცაა, სავტორო უფლებების, საპატენტო უფლებების, ნოუ-ჰაუს, გამოგონების და ინტელექტუალური საკუთრების კუთხით და ა.შ. რეგულაციები ასევე დაკავშირებულია სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან დოკუმენტაციასთან საგადასახადო, საბაჟო, ანტიმონოპოლიური, ფასწარმოაქმნის და ა.შ. მიმართულებები. ინოვაციური საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირება უნდა თანხმდებოდეს შრომის კანონმდებლობასთან, ბიუჯეტურ კანონმდებლობასთან, სახელმწიფოსთვის საიდუმლო კომერციული საქმიანობის და სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო კომერციული საქმიანობისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროდუქციის წარმოების რეგულაციებთან. აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს არსებული საკანონმდებლო ბაზა სასურველია გაფართოვდეს, ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოვიდეს, რათა პასუხობდეს ინოვაციური პოლიტიკის სწორად წარმართვის და გაფართოების ამოცანებს.

როგორც ცნობილია, ინოვაციური საქმიანობის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანია პარალელურად ისეთი აქტივობების გატარება, როგორებიცაა ფინანსური საინვესტიციო ჯგუფების შექმნა, ძველი საწარმოების პრივატიზება, ანტიმონოპოლიური საქმიანობა და ა.შ. რომელთა მთავარი მიზანი იქნება სიახლეებისა და ნოვაციების დანერგვა, ახალი ტექნოლოგიების ათვისება, კონკურენტუნარიანი წარმოების დანერგვა და სხვა. ასევე საგულისხმოა ისეთი საკითხების რეგულირება, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური შეზღუდულობის დარეგულირებას, რადგან წარმოებებმა მოახერხონ ფინანსების მობილირება სიახლეების დანერგვის კუთხით, ან მოქმედი სქემების კვლავწარმოებადობის გაზრდის კუთხით, განახორციელონ ინვესტირება ნოვაციებში, სიახლეების დანერგვასა და გადაიარაღებაში.

დასკვნა

სტატიაში განხილულ სტრატეგიებს შორის ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე რაციონალურის არჩევა დამოკიდებულია კონკრეტულ სფეროში არსებულ სასტარტო მდგომარეობაზე — მეცნიერულ, ტექნოლოგიურ, საწარმოო და ა.შ. არსებულ პირობებზე.

უუმრავლეს შემთხვევაში საქართველოსთვის ოპტიმალურია „დასესხების“ სტრატეგია, იგი შედარებით ნაკლებ სასტარტო კაპიტალს მოითხოვს და აგრეთვე ემყარება შიდა მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის განვითარებას.

ზოგიერთ შემთხვევაში ასევე შესაძლებელია „გაძლიერების“ სტრატეგიის დანერგვაც, სადაც უფრო მძლავრი მეცნიერულ-ტექნიკური გამოცდილება არსებობს.

ნებისმიერ სტრატეგიის პირობებში წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი სწორი მიდგომა, როგორც ქვეყნის გარე ასევე შიდა პროცესების სწორად მიმართვა. ქვეყნის პოზიციონირება ინვესტორთა მიმართ მიმზიდველი კუთხით, სათანადო საინოვაციო პოლიტიკის გატარება ინვესტიციების მხრივ ქვეყნის მიზიდულობის და ინტერესის გაზრდისთვის, ასევე ქვეყნის შიგნით სახელმწიფო-ინოვაციური სისტემის რეგულაციების სრულყოფის, საგადასახადო, საკრედიტო-საინვესტიციო შიდა პოლიტიკის კუთხით.

გამოყენებული ლიტერატურა

2. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe> „ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარების სტრატეგია“

კვლევაში აღნიშნული რეკომენდაციების გამოყენება და მისი განხორციელება მნიშვნელოვანია ინფლაციის რეგულირებაში, იმისთვის, რომ ლარის კურსმა მცირე შოკებს მაინც გაუძლოს და გრძელვადიან პერიოდში სტაბილური გახდეს, საჭიროა საქართველოს რაც შეიძლება მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი ჰქონდეს, გაიზარდოს პროდუქტიულობა და ინვესტირება. ამისთვის კი საჭიროა უკეთესი ბიზნესგარემო, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და სტაბილური პოლიტიკური გარემო.

ლიტერატურა:

1. ახოზაძე ბ. „ესტონეთის ეკონომიკის სასწაული“, ინტერნეტიდან სტატია, 2002 წ. <http://www.nplg.gov.ge>

2. ბურდული თ. ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“ ტომი 3. N2. ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე“, გამომცემლობა „საქართველოს ეროვნული ბანკი“ 2015 წ;

3. პაპავა ვ, „სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში (პოლონეთის ეკონომიკა)“, გამომცემლობა „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობა კვლევის ფონდი“ თბილისი, 29 დეკემბერი 2001 წელი 8 იანვარი 2002 წელი პერიოდში. თბილისი, 2002, გვ. 12-14. <http://www.nplg.gov.ge>.

4. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება, მაკროეკონომიკური ანალიზისა

და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილების ბროშურა. „სავალუტო ინტერვენციები: არსი და საერთაშორისო გამოცდილება“, გამომცემლობა „საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი“, 2015 წ.

5. სტატია ინტერნეტიდან - თავისუფალი ენციკლოპედია, „ებრაელები“, <https://ka.wikipedia.org>

References:

1. Akhobadze B. „Economic miracle of Estonia“, paper from the Internet, 2002, <http://www.nplg.gov.ge>

2. Burduli T. Journal „Economy and Banking“ Volume 3. N2. Economic transformations in Georgia: The way from shock therapy to deep and all-encompassing free trade zone“, publishing house „National Bank of Georgia“ 2015.

3. Papava V, „The state in transition period (Polish economy)“, publishing house „Foundation for Georgian Strategy and the International Relations“ Tbilisi, December 29, 2001 January 8, 2002 period. Tbilisi 2002, pp. 12-14. <http://www.nplg.gov.ge>.

4. Budget office of Georgian Parliament, Budget analysis division, Macroeconomic analysis and tax policy division, brochure. „Exchange rate intervention: essence and the international experience“, publishing house „Budget office of Georgian Parliament“, 2015.

5. Paper from the internet – free encyclopedia, „the Jewish people“, <https://ka.wikipedia.org>

INFLATION FOREIGN EXPERIENCE FOR GEORGIA

Salome Sulaberidze,

PhD Student of Batumi

Shota Rusatveli State University

RESUME

The paper deals with the importance for Georgia to consider the experience of other countries with inflation regulation.

Development of inflation in our country and abroad, its major causing factors as well as its negative results causing problems for the country's economy are analyzed in the paper. The problem resolving ways and recommendations are backed by examples of Poland, Estonia and Israel.

Key words: national currency, exchange rate, import, inflation, devaluation of a currency, investments, economic growth.

**ევროკავშირის ინსტიტუციური არქიტექტურა:
სუპრანაციონალური,
ინტერგოვერნმენტალისტური
თუ ჰიბრიდული სისტემა?**

მარიამ დარჩია,

მარიამ განუგრაფა

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების
მიმართულების ბაკალავრიატის მე-4 კურსის სტუდენტები

რეზიუმე

ევროკავშირი მსოფლიოში რეგიონული ინტეგრაციის საუკეთესო მაგალითად არის მიჩნეული. მისი ინსტიტუციური არქიტექტურა საკმაოდ კომპლექსური და თავისებურია, რის გამოც არაერთხელ გამხდარა დავის საგანი მოწყობის მიხედვით თუ რომელ კლასიფიკაციას ექვემდებარება ის. ევროკავშირის ინსტიტუტების საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების სპეციფიკიდან გამომდინარე, დღემდე აქტუალურია დებატები ევროინტეგრაციის ორ ძირითად თეორიულ სკოლას - სუპრანაციონალისტურსა და ინტერგოვერნმენტალისტურს შორის. სუპრანაციონალიზმით აღინიშნება პროცესი, რომლის დროსაც გადაწყვეტილების მიღების უფლება დელეგირებულია ნევრი სახელმწიფოების ინტერესებზე მაღლა მდგომ ინსტიტუციებზე. ინტერგოვერნმენტალიზმით კი მოიხსენიებენ სქემას, რომლის ფარგლებში საერთო ინტერესების საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად მთავრობები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, სახელმწიფო ინტერესების დასაცავად ინარჩუნებენ ვეტოს უფლებას და არ თმობენ საკუთარი სუვერენიტეტის არც ერთ ნაწილს. ჩვენი კვლევის მიზანია ევროკავშირის ცალკეული ინსტიტუტების ორივე ქრილში განხილვითა და ერთმანეთთან შედარებით დავადგინოთ ევროკავშირი რომელი მიდგომისკენ იხრება ან/და ხომ არ წარმოადგენს ის ჰიბრიდულ სისტემას.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, ინტერგოვერნმენტალიზმი, სუპრანაციონალიზმი, ჰიბრიდული სისტემა, ევროკავშირის ინსტიტუტები, ინსტიტუციური არქიტექტურა, მონეობის მიხედვით კლასიფიკაცია.

ძირითადი ტექსტი

ევროკავშირი 28 დემოკრატიული სახელმწიფოსგან შემდგარი უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მსოფლიოში რეგიონული ინტეგრაციის საუკეთესო მაგალითად არის მიჩნეული. მისი ინსტიტუციური არქიტექტურა საკმაოდ კომპლექსური და თავისებურია, რის გამოც არაერთხელ გამხდარა დავის საგანი მონეობის მიხედვით რომელ კლასიფიკაციას ექვემდებარება ევროკავშირი. იგი თავისი სტრუქტურით არის საერთაშორისო ორგანიზაციაზე მეტი, მაგრამ სახელმწიფოზე ნაკლები, ანუ, უფრო მეტია, ვიდრე ქვეყნების უბრალო კონფედერაცია და ამასთანავე არ წარმოადგენს ფედერალურ სახელმწიფოს. სწორედ ამ უნიკალური თავისებურებიდან გამომდინარე მოიხსენიებენ მას, როგორც *Sui Generis* ერთეულს.

ევროკავშირს აქვს შვიდი ძირითადი ინსტიტუტი, რომელთაც უფლება აქვთ, იმოქმედონ მხოლოდ და მხოლოდ ხელშეკრულებებით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. კომპეტენციების დანაწილება ორგანოებს შორის ხასიათდება ე.წ. „შემონმება-დაბალანსების“ (*checks and balances*) სისტემით, რომელიც ასევე ინსტიტუციური წონასწორობის სახელითაც მოიხსენიება. იგი არ არის ხელისუფლების დანაწილების პრინციპი კლასიკური გაგებით, თუმცა, ფაქტობრივად, ხელისუფლების დანაწილების მსგავს ეფექტს იძლევა.

ევროკავშირის ინსტიტუტების საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების სპეციფიკიდან გამომდინარე, დღემდე აქტუალურია დებატები ევროინტეგრაციის ორ ძირითად თეორიულ სკოლას - სუპრანაციონალისტურსა და ინტერგოვერნმენტალისტურს შორის. სუპრანაციონალიზმით აღინიშნება პროცესი, რომლის დროსაც გადაწყვეტილების მი-

ღების უფლება დელეგირებულია წვერი სახელმწიფოების ინტერესებზე მალა მდგომ ინსტიტუციებზე. იგი განსახილველი სახელმწიფოს მხრიდან კონტროლისა და სუვერენიტეტის რაღაც დონეზე დაკარგვას გულისხმობს. ტერმინ ინტერგოვერნმენტალიზმით კი მოიხსენიებენ სქემას, რომლის ფარგლებში საერთო ინტერესების საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად მთავრობები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, სახელმწიფო ინტერესების დასაცავად ინარჩუნებენ ვეტოს უფლებას და არ თმობენ საკუთარი სუვერენიტეტის არც ერთ ნაწილს. ინტერგოვერნმენტალისტური მიდგომა ხაზს უსვამს ევროკავშირის წვერი სახელმწიფოების გავლენასა და უპირატესობას ზეეროვნულ ინსტიტუტებთან მიმართებით. განვიხილოთ, როგორც სუპრაეროვნული ისე სამთავრობათაშორისო მმართველობის არგუმენტები თითოეული ინსტიტუტის შესახებ.

სუპრანაციონალიზმი. ევროკომისია შედგება 28 ევროკომისრისგან, რომელთაც მთავრობები წარადგენენ, მაგრამ მიღებულია, რომ ისინი უნდა მოქმედებდნენ არა ეროვნული მთავრობების, არამედ საერთო ევროპული იდეის გათვალისწინებით. თითოეულ კომისარს ჰყავს თავისი *კაბინეტი*, ანუ მრჩეველთა ჯგუფი. ჩვეულებრივ კომისარს კაბინეტში ჰყავს დაახლოებით ექვსი კაცი. კანონმდებლობის მიხედვით, კაბინეტში შემავალი პერსონალი უნდა იყოს მინიმუმ სამი სხვადასხვა სახელმწიფოდან, ხოლო კაბინეტის ხელმძღვანელი და მოადგილე (Chef de Cabinet და Deputy-Chef de Cabinet) უნდა იყვნენ სხვადასხვა ეროვნების. ეს ხდება პარამუტინგის (გავრცელებული პრაქტიკა, რომლის დროსაც კომისარს თავის კაბინეტში მოჰყავდა ხალხი საკუთარი ქვეყნიდან) თავიდან ასაცილებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ იქ მომუშავე ადამიანებმა დაივიწყონ ეროვნული სენტიმენტები და საერთო ევროპული საქმე აკეთონ.

ევროპარლამენტი მინისტრთა საბჭოსთან ერთად წარმოადგენს ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოს. იგი ევროკავშირის ინსტიტუციათა შორის ერთადერთი პირდაპირი წესით არჩეული ინსტიტუციაა. მას წვერი სახელმწიფოებიდან არჩეული 751 ევროპარლამენტარი ჰყავს, რომლებიც პოლიტიკური

იდეოლოგიისა და სპექტრის გათვალისწინებით ნაწილდებიან სახელმწიფოთაშორის პოლიტიკურ ჯგუფებში და არ არიან დაჯგუფებულნი ქვეყნების მიხედვით. ბევრი მკვლევარის კვლევებით დასტურდება, რომ ევროპარლამენტში კენჭისყრის დროს ევროპარლამენტარების უმრავლესობისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია პარტიული კუთვნილება, ვიდრე ეროვნება. ამავდროულად, ყველა ქვეყანაში აკრძალულია ორმაგი მანდატის არსებობა, ანუ არ შეიძლება, რომ ეროვნული პარლამენტის წევრი ამავე დროს იყოს ევროპარლამენტის წევრიც.

ევროკავშირის საბჭო (მინისტრთა საბჭო) შედგება 10 კონფიგურაციის საბჭოსგან, რომელთა შემადგენლობაში შედიან წევრი სახელმწიფოების მინისტრები განსახილველი საკითხების სპეციფიკიდან გამომდინარე. წლების განმავლობაში საბჭოში შეიცვალა კენჭისყრის სისტემა და დღეს, ყველა იმ შემთხვევაში, სადაც საჭიროა ხმის მიცემა, მინისტრები ხმათა კვალიფიციურ უმრავლესობას იყენებენ. ასევე მოქმედებს დამბლოკავი უმცირესობის პრინციპიც. ეს რთული სქემა ასუსტებს დიდი სახელმწიფოების ძალაუფლებას და ამცირებს მათ შესაძლებლობას მხოლოდ თავიანთ სახელმწიფოებრივ ინტერესს მოარგონ რაიმე გადაწყვეტილება. უნდა აღინიშნოს მინისტრთა საბჭოს 6 თვიანი როტაციული პრინციპით თავმჯდომარეობა და ე.წ. „ტროიკა“ მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც მოქმედი თავმჯდომარე ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს წინა და მომავალ თავმჯდომარე ქვეყნებთან. ეს თავის მხრივ ზღუდავს პრეზიდენტი ქვეყნის შესაძლებლობას, მის სასარგებლოდ გამოიყენოს თანამდებობა.

ევროპული საბჭო ევროკავშირს აძლევს განვითარებისთვის საჭირო სტიმულს და განსაზღვრავს მის ზოგად პოლიტიკურ მიმართულებასა და პრიორიტეტებს. ევროპული საბჭოს პრეზიდენტის თანამდებობის შექმნამ უზრუნველყო ევროპული საბჭოს საქმიანობის დაგეგმვისა და მისი განხორციელების პროცესის უწყვეტობა და სტაბილურობა. მანამდე არსებული 6 თვიანი როტაციული პრეზიდენტობის სისტემის დროს, ქვეყნებს ჰქონდათ საშუალება თავიანთი ეროვნული ინტერესები წა-

მოენიათ წინა პლანზე, ხოლო ევროპული საბჭოს პრეზიდენტის პოსტის შემოღებით უზრუნველყოფილ იქნა საერთო ევროპული პოლიტიკური დღის ნესრიგისა და სტრატეგიების შემუშავება.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო უზრუნველყოფს ხელშეკრულებების პირობების დაცვას, მათ სწორად ინტერპრეტირებას და მაქსიმალურად შესაძლებელი სიზუსტით გამოყენებას. იგი ევროკავშირის სასამართლო ორგანოა. პირდაპირი ეფექტის პრინციპის თანახმად, ევროკავშირის კანონები პირდაპირ და სრული მოცულობით გამოიყენება წევრ სახელმწიფოში. შეიძლება, საჭირო გახდეს სახელმწიფო კანონის შესაბამისობის დადგენა ევროპულ კანონებთან. ევროკავშირის სამართლის უზენაესობის პრინციპის თანახმად, ევროკავშირის კომპეტენციის სფეროებში ევროკავშირის სამართალი უპირატესია სახელმწიფო სამართალთან შედარებით, მათი შეუთავსებლობის შემთხვევაში. ურთიერთალიარების პრინციპის მიხედვით, პროდუქტი, რომელიც კანონიერად ინარმოება და იყიდება ერთ წევრ სახელმწიფოში, არ შეიძლება აიკრძალოს მეორეში. მართლმსაჯულების სასამართლოს სამივე პრინციპი მონოდებულია, წევრი სახელმწიფოები თანაბარ პირობებში ჩააყენოს და რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს მოთხოვნები კი არ დააკმაყოფილოს, არამედ საერთო ევროპული სტანდარტები წამოწიოს წინა პლანზე.

ევროპის ცენტრალური ბანკი ნაწილია ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემისა, რომელიც ასევე შედგება ეროვნული ცენტრალური ბანკებისგან. მისი ძირითადი მოვალეობა მონეტარული პოლიტიკის განხორციელება და ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა, რაც გულისხმობს ინფლაციის დონის 2%-ზე ქვევით, მაგრამ 2%-თან ახლოს შენარჩუნებას. იგი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში არამართო წევრ სახელმწიფოებთან, არამედ ევროკავშირთან მიმართებითაც. ევროპის ცენტრალური ბანკი ორიენტირებულია ზოგადად ევროსისტემაში უზრუნველყოს ფასების სტაბილურობა და ასევე ხელი შეუწყოს დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდას. იგი არ მოქმედებს

რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე და თანაბარ პირობებში აყენებს ყველაწვერ ქვეყანას.

ინტერგოვერნმენტალიზმი. ევროკომისიის კოლეგიაში შემავალი ევროკომისრები ფლობენ სხვადასხვა პორტფელებს. როგორც წესი, პორტფელების გადანაწილების რამე განსაზღვრული წესი არ არსებობს, თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ყველაზე მნიშვნელოვან პორტფელებს, მაგალითად, როგორიცაა ვაჭრობის, დიდი სახელმწიფოების კომისრები იგდებენ ხელთ და მათ შეუძლიათ ამით ლობირება. ამასთანავე, მიუხედავად დამკვიდრებული პრინციპისა, რომ ევროკომისრები უნდა მოქმედებდნენ საერთო ევროპული იდეის გათვალისწინებით, ხელშეკრულების ამ მუხლის ინტერპრეტირება ყოველთვის რბილად ხდება. ეს გასაგებიცაა, რადგან კომისრები ეროვნული ადმინისტრაციების მიერ არიან წარდგენილნი. შესაბამისად, მათი ერთგულება საკუთარი ქვეყნების მიმართ მაინც შენარჩუნებულია. ბევრი კომისარი ვადის ამონურვის შემდეგ ისევ ეროვნულ პოლიტიკას უბრუნდება. ამის კარგი მაგალითია რომანო პროდი, რომელიც 1999-2004 წლებში ევროკომისიის პრეზიდენტი იყო, 2006 წელს კი იტალიის პრემიერ-მინისტრი გახდა.

ევროპარლამენტი სანამ პირდაპირი წესით არჩევითი გახდებოდა, დაკომპლექტებული იყო უშუალოდ ეროვნული მთავრობების მიერ წარგზავნილი პარლამენტარებით. პირდაპირი არჩევის წესის შემოღების მიუხედავად, ევროპარლამენტარები სახელმწიფოთა მოქალაქეების მიერ აირჩევიან, რომელთა უკან რეალურად მათი სახელმწიფოები დგას. შესაბამისად, ინტერგოვერნმენტალისტების ხედვით ევროპარლამენტი წვერი ქვეყნების ხელში არსებული ერთ-ერთი რიგითი ინსტრუმენტია, რომელსაც გადანყვეტილების მიღების ძალაუფლება შეზღუდული აქვს და მას არ შეუძლია წვერი სახელმწიფოების ნების საწინააღმდეგოდ რაიმე პოლიტიკის წარმოება.

ევროკავშირის საბჭოში საქმიანობის დიდ ნაწილს მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი ანუ კორეპერი ასრულებს, რომელიც დაკომპლექტებულია წვერი სახელმწიფოების მიერ ბრი-

უსელში წარგზავნილი სპეციალური წარმომადგენლებისა და მათი დამხმარეებისაგან. თავად კორეპერის საქმიანობაც მზადდება კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების მიერ, რომლებშიც შედიან წევრი სახელმწიფოების დელეგატები და ეროვნული ადმინისტრაციების მიერ მივლენილი საჯარო მოხელეები. როგორც ვხედავთ, მინისტრთა საბჭოში არსებული იერარქიის ყველა დონეზე ვხვდებით ეროვნული მთავრობების წარმომადგენლებს, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ თავიანთი ქვეყნების ეროვნული ინტერესების გატარება შეუძლიათ.

ევროპული საბჭო წევრი სახელმწიფოების მეთაურების ან სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურებისგან არის დაკომპლექტებული. შესაბამისად, აქ წინ წამოწეულია თითოეული სახელმწიფოს ეროვნული ინტერესი და პირველი პირები ამ ინტერესებიდან გამომდინარე იღებენ გადაწყვეტილებებს. ამასთანავე აქ კენჭისყრის პროცედურა კონსენსუსის საფუძველზე მიმდინარეობს. თითოეული სახელმწიფო სარგებლობს ვეტოს უფლებით და ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია დაბლოკოს რაიმე საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, თუ იგი მის ეროვნულ ინტერესს ეწინააღმდეგება.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს არსებობას როგორც წესი მხარს უჭერენ წევრი სახელმწიფოები, რადგან მათთვის მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი არბიტრის არსებობა, რომელიც სამართლიანად გადაწყვეტს სახელმწიფოთაშორის, ან თუნდაც ნებისმიერ ევროკავშირის ინსტიტუტსა და სახელმწიფოს შორის არსებულ დავებს. ინტერგოვერნმენტალისტების აზრით, სასამართლო ხშირად ხელშეწყობულია წევრი სახელმწიფოების ინტერესებიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მომავალი გაძლიერება და განვითარება დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოების სურვილზე სათავისოდ გამოიყენონ აღნიშნული სასამართლოს მიერ მინიჭებული შესაძლებლობები.

ევროპის ცენტრალური ბანკის საქმიანობის წარმმართველი ძირითადი სამი ორგანოდან ორი, როგორებიცაა მმართველი საბჭო, რომელიც ძირითადი გადაწყვეტილების მიმღებია და გე-

ნერალური საბჭო, რომელსაც საკოორდინაციო და მრჩეველის ფუნქციები აკისრია, შედგება ევროზონის წევრი ქვეყნების ცენტრალური ბანკების პრეზიდენტებისგან. ეს ფაქტი ქმნის საშუალებას სახელმწიფოებისთვის, რომ ევროპულ დონეზე მონეტარული პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება მოხდეს მათი ინტერესების გათვალისწინებით.

საბოლოო ჯამში, ძირითადი ინსტიტუტების საქმიანობის და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების სპეციფიკიდან გამომდინარე რომ შევაფასოთ ევროკავშირის ინსტიტუციური მოწყობა, ევროკავშირი ჰიბრიდული წარმონაქმნია. მისი ყველა ინსტიტუტი შეიცავს როგორც ზეეროვნულ, ისე სამთავრობათაშორისო ელემენტებს. ნებისმიერ სფეროში გადანყვეტილების მიღებაში, განურჩევლად იმისა, თუ როგორი ტიპის კომპეტენციას მიეკუთვნება მოცემული სფერო, ჩართულია როგორც ინტერგოვერნმენტალიზმი, ისე სუპრანაციონალიზმი. მართალია, ეს არ ხდება ყველგან თანაბრად, მაგრამ საბოლოოდ ისინი მაინც აბალანსებენ ერთმანეთს. მაგალითად, თუ ვაჭრობის და მონეტარული პოლიტიკის საკითხებზე გადანყვეტილების გამოტანის პროცესი ძირითადად სუპრანაციონალური ელემენტებით ხასიათდება, საგარეო პოლიტიკის და თავდაცვის სფეროებში ამ წამყვან ადგილს ინტერგოვერნმენტალიზმი იკავებს. ამასთანავე ე.წ. „შემონმება-დაბალანსების“ (checks and balances) სისტემა არეგულირებს ორივე სახის მმართველობის თანაბარ გამოვლენას. თუკი, მაგალითად, ევროპულ საბჭოში ეროვნული მთავრობების ანუ ინტერგოვერნმენტალურ დონეზე იგეგმება საგარეო პოლიტიკური ქმედებები, ამ ქმედებების უშუალო განხორციელების ინსტრუმენტები, როგორებიცაა ჰუმანიტარული დახმარებით, განვითარების დახმარებით და ევროკავშირის მაღალმსყიდველობითუნარიანი ბაზრით მანიპულირება, ხელთ უპყრია ევროკომისიას. ასევე ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობის ქვეშ კომისიის ვიცე-პრეზიდენტის, საგარეო საქმეთა კომისრის, მინისტრთა საბჭოში საგარეო საქმეთა საბჭოს მუდმივი თავმჯდომარის პოსტების გაერთიანება მიზნად

ისახავდა გადანყვეტილების მიღების პროცესში როგორც სუპრანაციონალური ისე ინტერგოვერნმენტალური ელემენტების დამკვიდრებას. თვითონ გადანყვეტილების მიღების პროცედურებიც სწორედ ამიტომ არის გადანაწილებული რამდენიმე ინსტიტუციაზე. მაგალითად, საკანონმდებლო სფეროში, ევროკომისია საკანონმდებლო ინიციატორია და ბიუჯეტის შაბლონს შეიმუშავებს, ევროპარლამენტს აქვს თანხმობის, კონსულტაციის, თანაგადანყვეტის უფლებამოსილებები და ასევე მინისტრთა საბჭოსთან ერთად ერთობლივი საბიუჯეტო ძალაუფლება, აქვე რეგიონების კომიტეტსა და ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტს მინიჭებული აქვს საკონსულტაციო ფუნქციები. ამ ყველაფერზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირი ჰიბრიდული, Sui Generis ერთეულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაბრიჩიძე, გაგა. *ევროპული კავშირის სამართალი*. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.

დეკანოზიშვილი, მარიამ და სერგი კაპანაძე. *ევროკავშირი*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016.

Nugent, Neil. *The government and Politics of the European Union*. Durham: Duke University Press, 2006.

Access to European Union law. "Summary of Article 48 of the Treaty on European Union." Last modified July 25, 2016.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:ai0019>

European Commission. "Organisational Structure." Accessed September 29, 2018.

https://ec.europa.eu/info/about-european-commission/organisational-structure_en

European Council; Council of the European Union. "Setting the EU's political agenda." Accessed September 29, 2018.

<https://www.consilium.europa.eu/en/european-council/role-setting-eu-political-agenda/>

European Parliament. "About Parliament." Accessed September 29, 2018.

<http://www.europarl.europa.eu/about-parliament/en>

European Union. "Institutions and Bodies." Accessed September 29, 2018.

https://europa.eu/european-union/about-eu/institutions-bodies_en

REFERENCES:

Gabrighidze Gaga. *European Union Law*. Tbilisi: Institute of European and Comparative Law publishing, 2012. (In Georgian Language)

Dekanozishvili Mariam and Sergi Kapanadze. *European Union*. Tbilisi: Tbilisi State University, 2016. (In Georgian Language)

Nugent, Neil. *The government and Politics of the European Union*. Durham: Duke University Press, 2006.

Access to European Union law. "Summary of Article 48 of the Treaty on European Union." Last modified July 25, 2016.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:ai0019>

European Commission. "Organisational Structure." Accessed September 29, 2018.

https://ec.europa.eu/info/about-european-commission/organisational-structure_en

European Council; Council of the European Union. "Setting the EU's political agenda." Accessed September 29, 2018.

<https://www.consilium.europa.eu/en/european-council/role-setting-eu-political-agenda/>

European Parliament. "About Parliament." Accessed September 29, 2018.

<http://www.europarl.europa.eu/about-parliament/en>

European Union. "Institutions and Bodies." Accessed September 29, 2018.

https://europa.eu/european-union/about-eu/institutions-bodies_en

INSTITUTIONAL ARCHITECTURE OF THE EUROPEAN UNION : A SUPRANATIONAL, INTERGOVERNMENTAL OR HYBRID SYSTEM?

**Mariam Darchia,
Mariam Ganugrava**

Tbilisi State University, Faculty of Social
and Political Sciences, Department
of International Relations, Bachelors,
4th year degree Students

RESUME

The European Union (EU) is believed to be the best example of the regional integration in the whole world. Its institutional architecture is complex and peculiar, so very often it is a topic of discussion and controversy to which classification it could be assigned to. The EU's institutes' working process and legislation procedures are still popular among two European integration theoretical schools: Supranational and Intergovernmental. A supranational is a type of multinational political union where negotiated power is delegated to an authority by governments of member states. Intergovernmentalism means that different governments cooperate for their mutual interests, remain veto power and never give up their sovereignty in the name of their state interests. The aim of our research is to discuss the EU's institutes under both theoretical frameworks, compare them and conclude whether the EU belongs to one of above-mentioned approaches and/or its institutional architecture is hybrid.

Key words: European Union, Intergovernmentalism, Supranationalism, Hybrid system, European Union institutes, Institutional Architecture, classification by architecture.

საერთაშორისო საფონდო ბირჟები და სამთო კომპანიების მონაწილეობის საკითხი

როდენ მემარნიშვილი
საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის,
კომპიუტინგისა და სოციალურ
მეცნიერებათა სკოლის დოქტორანტი

რეზიუმე

საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების გამოშვება სამთო კომპანიებისთვის ლიკვიდურ კაპიტალის მოზიდვის ეფექტიან წყაროს წარმოადგენს. აქციების გამოშვების შემთხვევაში, ნაკლები რისკის ფასად სამთო კომპანიები ლებულობენ საბადოების კვლევისა და განვითარებისთვის საჭირო თანხებს, რომლებიც ნაკლებად შეზღუდავს მათ საქმიანობას.

მსოფლიოს წამყვანი სამთო კომპანიები მსოფლიოს მსხვილ საფონდო ბირჟებზე არიან წარმოდგენილი (ლონდონის, ტორონტოს, ავსტრალიისა და ჰონგ-კონგის), მაშინ როდესაც შედარებით მცირე სამთო კომპანიები მიმართავენ იმ საფონდო ბირჟებს, სადაც ლისტინგში დაშვების ნაკლები მოთხოვნებია (ლონდონის ალტერნატიული საინვესტიო ბაზარი და ტორნონტოს საფონდო ბირჟის ვენჩურული ბაზარი).

ამ ორი ტიპის ბირჟებს შორის ძირითადი განსხვავება დაშვების წინაპირობებშია. სამთო კომპანიებმა უნდა გაითვალისწინონ ეს მოთხოვნები და წინასწარ გააკეთონ აქცენტი შესაბამის ბირჟებზე. მეორე მხრივ, სახელმწიფომ უნდა შემოიღოს ისეთი სამთო პოლიტიკა და რეგულაციები, რომელიც თანხვედრაში იქნება საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამთო კოდექსების სტანდარტებთან და პრინციპებთან.

საკვანძო სიტყვები: საფონდო ბირჟები, ფასიანი ქაღალდები, სამთო კომპანიები, სამთო პოლიტიკა, სამთო კოდექსები.

ქირითადი ტექსტი

სამთო კომპანიებს ესაჭიროებათ კაპიტალი, რათა დააფინანსონ კვლევითი საქმიანობა და საბადოს განვითარება. ისტორიულად, სამთო საქმიანობის დაფინანსების მთავარ წყაროდ საფონდო ბირჟები წარმოადგენდნენ.

დღესდღეობით, დაახლ. 7400 სამთო კომპანიას 7,7 ტრილიონ აშშ. დოლარის ღირებულის ფასიანი ქაღალდები საჯაროდ განთავსებული აქვს მსოფლიოს 35 საფონდო ბირჟაზე¹. აქედან, წამყვანი 40 სამთო კომპანიის ბაზრის კაპიტალიზაციამ 2017 წელს, წინა წელთან შედარებით დაახლ. 200 მლრდ. აშშ. დოლარით მოიმატა (30%) და 926 მლრდ. აშშ. დოლარი შეადგინა². ეს მსხვილი კომპანიები მიმართავენ მსხვილ საფონდო ბირჟებს, მათ შორის ავსტრალიის, ლონდონის, ჰონგ-კონგისა და ტორონტოს ბირჟებს, სადაც მაღალი სამთო კომპანიებისადმი მაღალი მოთხოვნებია დაწესებული - კაპიტალზე, ფინანსური ანგარიშების წარმოებაზე და სხვა ფინანსური კატეგორიების მიმართ. თუმცა, ახალ შექმნილ, მცირე ან საშუალო სამთო კომპანიებს შეუძლიათ მიმართონ ლონდონის, ავსტრალიის და ტორონტოს მცირე საერთაშორისო ბირჟებს, სადაც ლისტინგში დაშვების წინაპირობები შედარებით მარტივი დასაკმაყოფილებელია.

ისტორიულად, ლონდონის საფონდო ბირჟა, ტორონტოს საფონდო და ავსტრალიის საფონდო ბირჟებთან ერთად, წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრებს მსხვილი სამთო კომპანიებისთვის; ხოლო მცირე სამთო კომპანიებისთვის - ალტერნატიული საინვესტიციო ბაზარი და ტორონტოს საფონდო ბირჟის ვენჩურული ბაზარი. თუმცა, კაპიტალის ბაზრები ვითარდებიან და ბოლო პერიოდში იზრდება აზიური კაპიტალის ბაზრების პოპულარობა, ეს განსაკუთრებით ეხება ჰონ-კონგის საფონდო ბირჟას. ამავე დროს, მცირე კომპანიებისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი ხდება სხვადასხვა მსხვილი საფონდო ბირჟები, რადგან საფონდო ბირჟები (მათ შორის ტორონტოსა და ავსტრალიის საფონდო ბირჟები) ახ-

1 <http://data.resourcegovernance.org/listings/>

2 Mine 2018. Pwc 2018. p.26

დენენ ლისტინგში დაშვების მოთხოვნების ლიბერალიზაციას. ამ ეტაპზე, არსებობს ოთხი ყველაზე მსხვილი საფონდო ბირჟა: London Stock Exchange (LSE) - ლონდონის საფონდო ბირჟა; Australian Securities Exchange (ASX) - ავსტრალიის საფონდო ბირჟა; Hong Kong Stock Exchange (HKSE) - ჰონგ-კონგის საფონდო ბირჟა; Toronto Stock Exchange (TSX) - ტორონტოს საფონდო ბირჟა.

ლონდონის საფონდო ბირჟა (LSE). მსოფლიოს უმსხვილეს სამთო კომპანიები წარმოდგენილი არიან ლონდონის საფონდო ბირჟაზე (LSE). 2015 წლის 30 ოქტომბრის მონაცემების მიხედვით ლონდონის საფონდო ბირჟის ძირითად ბაზარზე (Main Market) 34 სამთო კომპანია იყო დარეგისტრირებული, რომელთა ერთობლივი ბაზრის კაპიტალიზაციამ დაახლ. 109 მლრდ. ფუნტი სტერლინგი შეადგინა.¹

ლონდონის საფონდო ბირჟის ძირითად ბაზარზე არსებობს სტანდარტული და პრემიუმ ლისტინგები. სტანდარტულ ლისტინგში მოსახვედრად კომპანიების მოეთხოვებათ:

- სულ მცირე 700 000 ფუნტი სტერლინგის (1,1 მლნ. აშშ დოლარის) ბაზრის კაპიტალიზაცია აქციების შემთხვევაში და 200 000 ფუნტი სტერლინგი სასესხო ფასიანი ქაღალდების (debt securities) შემთხვევაში;

- მინიმუმ 12 თვის საბრუნავი კაპიტალი;
- თავისუფალ მიმოქცევაში აქციების 25%;
- შემდგომი ერთი წლისთვის საჭირო საბრუნავი კაპიტალის არსებობა;

- ოპერაციული დანახარჯების 3 წლიანი ისტორია;
- ბუღალტრული ანგარიშები წარმოდგენილი IFRS (International Financial Reporting Standard) სტანდარტის მიხედვით;

- კომპანიის პროსპექტი უნდა შეიცავდე კომპეტენტური პირის ანგარიშს (Competent person's report - CPR) მინერალური

1 <http://www.londonstockexchange.com/statistics/companies-and-issuers/companies-and-issuers.htm>; <http://www.londonstockexchange.com/home/guide-to-listing.pdf>

რესურსების და სადაც შესაძლებელია რეზერვები, კვლევის შედეგები შესაბამისი სტანდარტების მიხედვით;

- წლიური შენატანი დამოკიდებულია კაპიტალიზაციის დონეზე.

ავსტრალიის საფონდო ბირჟა (ASX). ავსტრალიის საფონდო ბირჟაზე (Australian Securities Exchange - ASX) ლისტირებული კომპანიების ერთ-მესამედს შეადგენენ სამთო კომპანიები. სასარგებლო წიაღისეულის მარაგების საერთო კომიტეტის (JORC) მინერალური რესურსებისა და რეზერვების ნორმატივები გამოიყენება ამ ბირჟებზე ანგარიშების წარდგენის სტანდარტად სამთო კომპანიებისთვის. ASX ბირჟაზე კომპანიებს კაპიტალის მოზიდვა შეუძლიათ ფასიანი ქაღალდების პირველადი განთავსება (IPO) მეშვეობით. იმისათვის, რომ კომპანიის აქციების განთავსება მოხდეს ავსტრალიის საფონდო ბირჟაზე (ASX), კომპანია უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები¹:

- კომპანიას უნდა ჰყავდეს მინიმუმ 300 აქციონერი, რომელთაც ექნებათ მინიმუმ 2000 აშშ დოლარის ღირებულების აქცია. მათი აქციების სულ მცირე 50% პროცენტის მფლობელი არ უნდა იყოს დაკავშირებული კომპანიასთან ან მის დირექტორიატთან;

- ფინანსური მოთხოვნებიდან კომპანიამ უნდა დააკმაყოფილოს მოგების ან აქტივების მინიმალური მოთხოვნები. კერძოდ, სამი წლის განმავლობაში კომპანიის ერთობლივი საოპერაციო მოგება მინიმუმ 900 000 აშშ დოლარს უნდა შეადგენდეს.

- სამთო მინაკუთვნი ტოპოგრაფიული რუკების მომზადება კვალიფიციური პირის მიერ;

- სამთო კომპანიის ფინანსური ანგარიში, სადაც გამოყოფილია დანახარჯები და სამთო პროექტის თითოეული ეტაპის შესრულების გრაფიკი;

- კომპანიის წარმოების, განვითარებისა და კვლევების შესახებ JORC-ის ნორმატივების მიხედვით ანგარიშების წარდგენა სამ თვეში ერთხელ;

1 <http://www.asx.com.au/documents/rules/Chapter01.pdf>

ჰონგ-კონგის საფონდო ბირჟა (HKSE).ჰონგ-კონგის საფონდო ბირჟაზე დასარეგისტრირებლად ზოგადი პირობების გარდა, სამთო კომპანიამ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები¹:

1. აკონტროლებდეს აქტივების მინიმუმ 50%, ასევე გააჩნდეს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება მინერალური რესურსების კვლევითი და მოპოვებითი სამუშაოების ჩატარების შესახებ;

2. იქონიონ სულ მცირე პირობითი რესურსების (Indicated Resources) პორტფოლიო, რომლებიც ამოცნობადია შესაბამისი ნორმატიული სტანდარტების მიხედვით (The JORC Code ან The SAMREC CODE) და რომელსაც კომპეტენტური პირი წარადგენს ანგარიშში;

3. პროექტის ბიუჯეტის საჭიროებისთვის 125% ხელმისაწვდომი საბრუნავი კაპიტალის არსებობა შემდგომი ერთი წლის განმავლობაში, სადაც უნდა შედიოდეს - ზოგადი, ადმინისტრაციული და ოპერაციული დანახარჯები; საკუთრების შენახვის დანახარჯები; პროექტისთვის შემოთავაზებული კვლევითი და განვითარების ხარჯები.

4. მინერალური რესურსები და მარაგები ცალ-ცალკე უნდა იქნეს წარმოდგენილი, რასაც დაადასტურებს მინიმუმ მიზანშეწონილობის წინასწარი კვლევა. პროგნოზული რესურსები (Inferred Resources) არ უნდა იყოს ჩართული.

ტორონტოს საფონდო ბირჟა (TSX).ტორონტოს საფონდო ბირჟა (TSX) და ტორონტოს საფონდო ბირჟის ვენჩურული ბაზარი (TSXV) წარმოადგენენ მცირე სამთო კომპანიებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბაზრებს. მიუხედავად იმისა, რომ სამთო სექტორისთვის 2014 წელი რთული იყო, ამ ბირჟებზე მნიშვნელოვანი ფინანსური ოპერაციები განხორციელდა, როგორც მცირე, ასევე საშუალო გარიგებები. კერძოდ, TSX და TSXV ბაზრებზე 8.9 მლრდ. აშშ დოლარის კაპიტალური დაბანდება მოხდა წილობრივ აქციებში, რამაც მსოფლიო მასშტაბით

¹ https://www.hkex.com.hk/eng/rulesreg/listrules/mbrules/Document/consol_mb.pdf

ამ სექტორში მოზიდული ფინანსების 62% შეადგინა.

ტორნონტოს საფონდო ბირჟის (TSX) ძირითადი მოთხოვნე-ბია სამთო კომპანიებისადმი¹:

- დადასტურებული ან სავარაუდო მარაგების სამი წლის გან-მავლობაში დამოუკიდებელი კვალიფიციური პირის მიერ;

- ადეკვატური ფინანსური რესურსი კომერციული სამთო წარმოების ასამუშავებლად; ასევე, ადეკვატური საბრუნავი კა-პიტალი კომპანიის ბიუჯეტის მიხედვით გათვალისწინებული კაპიტალური დანახარჯები დასაფარად. კაპიტალის სათანადო სტრუქტურა;

- 4 მლნ. აშშ დოლარის წმინდა მატერიალური აქტივები; მო-ნაცემები, რომლებიც დადასტურებს მომავალში, კომპანიის მომგებიანობას, რაც გამაგრებული უნდა იყოს კომპანიის სა-მთო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზით ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმოების დონითა და ფინანსური შედეგებით.

- უახლესი, სრული ტექნიკური ანგარიში, მომზადებული და-მოუკიდებელი კვალიფიციური პირის მიერ და 18 თვის ანგარი-ში (კვარტალური მონაცემების მიხედვით), რომელიც ასახავს მოძიებული ფინანსური სახსრების წყარო და მათ გამოყენებას, ხელმწიერი კომპანიის ფინანსური ღირებულების მიერ;

- მენეჯმენტს, მათ შორის ღირებულოთა საბჭოს, უნდა გა-აჩნდეს ადეკვატური გამოცდილება და რელევანტური ტექნი-კური კვალიფიკაცია ბიზნესის წარმატებასა და სამთო საქმეში. კომპანიას მოეთხოვება სულ მცირე ორი დამოუკიდებელი ღი-რებულორი ყავდეთ;

- 4 მლნ. აშშ დოლარის თავისუფლად გაყიდვადი აქციების არაკომპანიის თანამშრომლების მიერ;

- სპონსორის ყოლა.

ალტერნატიული საინვესტიო ბაზარზე (AIM).ლონდონის ალტერნატიული საინვესტიო ბაზარი (AIM) წარმოადგენს

1 <https://www.tsx.com/listings/listing-with-us/sector-and-product-profiles/mining>

მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ ზრდად ბაზარს. ბირჟის მოთხოვნები უფრო გამარტივებულია, რაც საშუალებას აძლევს მცირე სამთო კომპანიებს, მათ შორის საზღვარგარეთულ სამთო კომპანიებს მოიზიდონ ფინანსური სახსრები. ლონდონის ალტერნატიული საინვესტიო ბაზრის ლისტინგში დაშვების მოთხოვნებია¹:

- 1 წლის განმავლობაში საჭირო საბრუნავი კაპიტალის არსებობა, ხოლო ბაზრის მინიმალური კაპიტალიზაცია არ მოითხოვება;
- მოითხოვება აუდიტის მიერ შემოწმებული 3 წლის ფინანსური წლის მონაცემები, 3 წელზე ნაკლები, თუ კომპანია ახალი დაარსებულია;
- ბაზრის კაპიტალიზაციის მინიმალური მოთხოვნები არ არსებობს;
- ბირჟის სანყისი და წლიური გასამრჯელოს გადახდა, რაც დამოკიდებულია ბაზრის კაპიტალიზაციის დონეზე;
- კომპანიის პროსპექტი უნდა შეიცავდეს კომპეტენტური პირის ანგარიშს (Competent person's report - CPR) მინერალური რესურსების და სადაც შესაძლებელია რეზერვები, კვლევის შედეგები შესაბამისი სტანდარტების მიხედვით;
- წლიური შენატანი 5 899 ფუნტი სტერლინგის (9 600 მლნ. აშშ დოლარი).

ტორონტოს საფონდო ბირჟის ვენჩურული ბაზარი (TSXV, Tier 2) ნაკლებ მოთხოვნებს უყენებს სამთო კომპანიებს, ძირითად ბირჟასთან შედარებით, კერძოდ:

- მინიმუმ 50% ქონების მფლობელობა; სამი წლის განმავლობაში, სამთო კვლევით საქმიანობაში დაბანდებული მინიმუმ 100 000 აშშ დოლარის;
- ადეკვატური საბრუნავი კაპიტალი და ფინანსური რესურსები, რაც საჭირო იქნება სამუშაო პროგრამის შესასრულებლად ან ბიზნეს გეგმის განსახორციელებლად ლისტინგიდან

1 Listing an Overseas Mining Company on the London Stock Exchange, White & Case LLP (2010), 5-18 pp.

ერთი წლის შემდგომ პერიოდში; 100 000 აშშ დოლარის გაუნა-
ნილებელი ფინანსური სახსრები;

- წმინდა მატერიალური აქტივები არ არის მოთხოვნილი;
- გეოლოგიური ანგარიში, რომელიც რეკომენდაციას უწევს სამუშაო პროგრამის დასრულებას;

- მენეჯმენტს, მათ შორის დირექტორთა საბჭოს, უნდა გა-
აჩნდეს ადეკვატური გამოცდილება და რელევანტური ტექნი-
კური კვალიფიკაცია ბიზნესის წარმატებასა და სამთო საქმეში.
კომპანიას მოეთხოვება სულ მცირე ორი დამოუკიდებელი დი-
რექტორი ყავდეთ;

- სპონსორის ანგარიში შეიძლება საჭირო იყოს.

2008-2012 წლის მონაცემებით საერთაშორისო ბირჟებზე ძი-
რითადად, 79%-ით წარმოდგენილნი არიან მცირე სამთო კომპა-
ნიები (25 მლნ. აშშ დოლარის ბაზრის კაპიტალიზაციით), რაც
ასახავს მათ საჭიროებას მოიზიდონ ფულადი სახსრები ეკო-
ნომიკური მიზანშეწონილობის კვლევებისა და სხვა კვლევების
დასაფინანსებლად, მაშინ როდესაც მსხვილი სამთო კომპანიე-
ბი უფრო ნაკლებად მიმართავენ ბირჟებს. უფრო მცირე კომპა-
ნიები კი ამ ბირჟებზე მხოლოდ 5%.¹

დასკვნა

იმისათვის, რომ საქართველოში დარეგისტრირებულმა სა-
მთო კომპანიებმა შეძლონ თავიანთი ფასიანი ქაღალდების ემი-
სია თუნდაც შედარებით მცირე საერთაშორისო ბირჟებზე (ლო-
ნდონის ალტერნატიული საინვესტიო ბაზარი და ტორნონტოს
საფონდო ბირჟის ვენჩურული ბაზარი) ან მოიზიდონ საზღვა-
რგარეთული კომპანიები, საჭიროა:

- მინერალური მარაგების ანგარიშების წარდგენის საე-
რთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (CRIRSCO) საკონსულ-
ტაციო მოდელზე დაფუძნებული ქართული სამთო კოდექსის
შექმნა, რომელიც გამოიწვევს შესაბამის ცვლილებებს საკანო-
ნმდებლო და აღმასრულებელ დონეებზე;

**1 Executing a successful listing, Markets for miners, PwC IPO Centre
publication, April 2013**

- სამთო კომპანიებმა ჩაატარონ მინზანშენწონილობის წინასწარი და საბოლოო კვლევები;

- აწარმოონ აუდიტის ანგარიშები (წარმოდგენილი IFRS (International Financial Reporting Standard) სტანდარტის მიხედვით, სადაც ასახული იქნება მათი კომპანიების დაარსებიდან გატარებული ფინანსური ოპერაციები (მინიმუმ სამი წლის პერიოდის განმავლობაში);

- თუ სამთო კომპანია აპირებს ტორონტო საფონდო ბირჟაზე (TSX) აქციების ემისიას, მას უნდა გააჩნდეს სამი წლის დადასტურებული (proved reserves) და სავარაუდო მარაგები (probable reserves), ხოლო HKSE ბირჟაზე საკმარისია პროგნოზული რესურსები (inferred resources);

- სამთო სექტორის ექსპერტის ანგარიში;

- შეადგინონ ფულადი ნაკადებისა ან მოგების პროგნოზული მონაცემები (ჩვეულებრივ 12-18 თვის). ასევე, ლონდონისა და ჰონკონგის ბირჟები ითხოვენ კომპანიებისგან, რომლებიც პირველად ახდენენ აქციების გამოშვებას, მათი ფინანსური ანგარიშების წარდგენის პროცედურების ადეკვატურობის შესახებ ოფიციალურ განცხადებას, რათა დაადასტურონ საკუთარი ვალდებულებები. ჰონკონგის ბირჟაზე ამ მხრივ განსაკუთრებით მკაცრი მოთხოვნებია, მათ შორის კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების შემოწმების მხრივ;

- წლიური ფინანსური ანგარიშების წარმოება. კანადის საფონდო ბირჟებზე ითხოვენ ფინანსურ ანგარიშებს სამ თვეში ერთხელ, ხოლო ავსტრალიის საფონდო ბირჟაზე მოითხოვება კომპანიის კვლევითი/სამთო საქმიანობის შესახებ კვარტალური ანგარიშებს.

ლიტერატურა:

1. საბადო 2018. Pwc (2018) (ინგლისურ ენაზე);
2. წარმატებული ლისტინგის განხორციელება, ბირჟები სამთო კომპანიებისთვის. PwC IPO Centre publication (2013)
3. საზღვარგარეთის ქვეყნების სამთო კომპანიების ლისტინგი ლონდონის საფონდო ბირჟაზე. White & Case LLP (2010)
4. <http://data.resourcegovernance.org/listings/>
5. <http://www.londonstockexchange.com>
6. <http://www.asx.com.au/documents/rules/Chapter01.pdf>
7. https://www.hkex.com.hk/eng/rulesreg/listrules/mbrules/Documents/consol_mb.pdf
8. <http://www.tmx.com/newsroom/newsfeed?id=289>

REFERENCES:

1. Mine 2018. Pwc 2018
2. Executing a successful listing, Markets for miners, PwC IPO Centre publication (2013)
3. Listing an Overseas Mining Company on the London Stock Exchange, White & Case LLP (2010)
4. <http://data.resourcegovernance.org/listings/>
5. <http://www.londonstockexchange.com>
6. <http://www.asx.com.au/documents/rules/Chapter01.pdf>
7. https://www.hkex.com.hk/eng/rulesreg/listrules/mbrules/Documents/consol_mb.pdf
8. <http://www.tmx.com/newsroom/newsfeed?id=289>

INTERNATIONAL STOCK EXCHANGES AND THE ISSUE OF PARTICIPATION OF MINING COMPANIES

Roden Memarnishvili

Ph.D. Candidate at the School of Business,
Computing and Social Sciences
of St. Andrew the First-Called Georgian
University of the Patriarchate of Georgia

RESUME

Issuing securities at Stock Exchanges serves as an efficient capital source for mining companies. When mining companies issue shares, they obtain necessary funds for covering mine exploration and development cost with the small risk and restrictions.

The world's leading mining companies are listed at the largest stock exchanges (such as London Stock Exchange, Australian Securities Exchange, Hong Kong Stock Exchange, Toronto Stock Exchange), while smaller mining companies try to access smaller stock exchanges (such as Alternative Investment Market and Toronto Stock Exchange Venture), where listing requirements are easier to meet.

These two kinds of stocks exchanges basically differ by listing requirements. The mining companies should take into consideration these requirements in advance in order to have an orientation and to prepare for specific markets. On the second hand, the government has to implement the mining policy and regulations, which will be in accordance with standards and principles of internationally acclaimed mining codes.

Key words: Stock Exchanges, Shares, Mining Companies, Mining Policy, Mining Codes.

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (100-250 სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი**, **ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

ჟურნალი“ეკონომიკა“ გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

სხვა სათაურით

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.

განახლებული ISSN 2587-4713

UDC: 338(922)(05)



შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 14.09.2018 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.09.2018 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 14,5